საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№7 (336)
24 თებერვალი - 1 მარტი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



უკრაინელებს ჰომოსექსუალიზმი საფოსტო მარკებით გაანათლებენ ანუ როგორ ნერგავენ უკრაინაში «დასავლურ ფასეულობებს» 3

# გაუმაძღართა კოალიცია

„20 წელია, ქართველი ამომრჩეველი უყურებს ამ სახეებს და, სავარაუდოდ, მიდის დასკვნამდე, რომ მთავარი ის კი არ არის, კონსერვატორები არიან ეს პოლიტიკოსები თუ ლიბერალები, არამედ ის, რომ ისინი დეგენერატები არიან. აშკარაა, რომ ბრძოლამ თბილი ადგილებისთვის მმართველი ძალის საარჩევნო სიებში უკვე საზოგადოების შეურაცხყოფის სახე მიღო“.



4 „ამ ჯგუფების კონკურენცია განსხვავდება პოლიტიკური ბრძოლისგან დემოკრატიის ან, თუნდაც, ზომიერი ავტორიტარიზმის პირობებში და შესაბამის წესებს არ ექვემდებარება. ის ყველაზე მეტად მოგვაგონებს ფეოდალური ხანის ინტრიგებს, რომელთა დროს მთავარ რესურსს მმართველთან სიახლოვე წარმოადგენდა“.

# უკრაინის სააკაშვილიზაცია



2006 წლის 2 მაისი. თბილისი



2016 წლის 7 თებერვალი. კიევი



„ტრაგიკული შემთხვევა კიევში საპატრულო ეკიპაჟის მიერ გამოჩენილი დაუნდობლობითა და სისასტიკით ძალიან ჰგავს 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტეჟთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, როდესაც სამართალდამცველებმა ზურაბ ვაზაგაშვილი 18 ტყვიით გამოასალმეს სიცოცხლეს“. 12

# ხელები შორს გოგი თოფაძისგან!



ვინ აგებს პასუხს: თოფაძე ხიდაშელის მხილებისთვის თუ რესპუბლიკური პარტია არჩევნების გაყალბებისთვის?



7

## ლონდონის მერი: ევროკავშირი ძირს უთხრის დემოკრატიის საფუძვლებს 3

## «ვიკილიქსი»: აშშ მერკელს, ნეთანიაჰუს, სარკოზის, ბერლუსკონისა და პან გი მუნს უსმენდა და უთვალთვალებდა 3

## ზავი სირიაში — დასკვნები საქართველოსთვის 5

## საქართველომ ზედმეტი აქტიურობისგან ან რომელიმე მხარის გაღიზიანებისგან თავი უნდა შეიკავოს 6

## ვის მხარეზე უნდა იყოს საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში? 8

## «საბჭოთა კომუნისტური» წერილი «პატრიოტ კაპიტალისტებს» 10

## დაუფასდებათ «მუხროვანის ამბოხის» მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა? 22

## ლგბტ-თა ეროვნული კონფერენცია თუ სამშობლო და პატრიოტიზმი? 6

## ეს ხელისუფლება გილიოტინაა, გაჭირვებული ადამიანების თავს ზემოთ აღმართული! 14

## რატომ უნდა იყოს თბილისში ვასილ მჟავანაძის სახელობის ქუჩა, ბუშის კი — არა 9

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რუსეთი საქართველოდან აბიტურიენტების მისაღებად სახელმწიფო გრანტებს გამოყოფს



**„2015-2016 სასწავლო წლისთვის რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოდან აბიტურიენტების მისაღებად 90 სახელმწიფო გრანტს გამოყოფს.** „ყოველწლიურად განსაზღვრული კვოტები გამოიყოფა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ჩვენი კავშირი მოიცავს. კვოტები ნაწილდება 30 ორგანიზაციაზე, რომლებიც კავშირ „მამულში" ერთიანდებიან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და მსხვილ ქალაქებს წარმოადგენენ. ამასთანავე, რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრის მსურველთა დოკუმენტაცია გროვდება. შეიქმნება კომისია, რომლის სხდომა 25-27 თებერვალს გაიმართება. შემდეგ მოხდება შერჩევა. შერჩევის კრიტერიუმია ატესტატი, კარგი ნიშნები და აკადემიური მოსწრება", — განაცხადა საქართველოში რუს თანამემამულეთა კავშირ „მამულის" პრეზიდენტმა ვალერი სვარჩუკმა.



## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: თუ ამას გავიგებთ, გადავრჩებით

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ადამიანის რწმენის შესახებ იქადაგა და მრევლს ლოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა.**

„რა ახასიათებს დღევანდელ ადამიანს? — უპირველეს ყოვლისა, უიმედობა. იმედი არ აქვს ხვალინდელი დღისა და თავისი თავის. არ იცის, რა მოელის ხვალ, ამიტომ, როცა ვლოცულობთ, უფალს უნდა ვთხოვოთ, გახსნას ჩვენი გული და გონება, რათა ჭეშმარიტება ვცნათ. უფალი ბრძანებს: „მე ვარ გზა ჭეშმარიტებისკენ". თუ ამას გავიგებთ, ჩვენ გადავრჩებით", — ბრძანა ქადაგებისას პატრიარქმა.

მისივე თქმით, ადამიანის დამშვიდებისთვის საჭიროა გულწრფელი ლოცვა.

„ჩვენთან არს ღმერთი! — ეს სიტყვები ბიბლიიდანაა და ებრაულად გამოითქმება, როგორც ემანუელ. როდესაც ჩვენ ამ სიტყვებს ვამბობთ, ღრმად უნდა ჩავწვდეთ სიტყვების შინაარსს. თუ ჩვენთან არს ღმერთი, ყველაფერი დამშვიდდება", — აღნიშნა უწმინდესმა.



## სერგეი ლავროვი: თუ ნატო საქართველოს ალიანსში «ჩათრევის» პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ, თუ ნატო საქართველოს ალიანსში „ჩათრევის" პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი შესაბამისი ზომებით უპასუხებს.**

„ჩვენ განვიხილეთ თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, კავკასიის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობის საკითხი. ამასთანავე, ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საჭიროა სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტის გაფორმება ძალის გამოუყენებლობაზე, რაც 2008 წლის მოვლენების გამეორებას თავიდან აგვაცილებს", — განაცხადა ლავროვმა. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ნატოს მიერ თბილისის „ჩათრევის" მცდელობის ფონზე და, თუ ნატო საქართველოს ალიანსში „ჩათრევის" პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი შესაბამისი ზომებით უპასუხებს.



## გია ხუხაშვილი: ხიდაშელის ქცევა ქვეყნისთვის ძალიან დიდი პრობლემაა

**ექსპერტ გია ხუხაშვილის შეფასებით, დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადება, რომ თინა ხიდაშელმა საგარეჯოში არჩევნები გააყალბა, საფუძველსმოკლებული არ ყოფილა. ამის შესახებ ხუხაშვილმა გაზეთ „რეზონანსთან" საუბრისას განაცხადა.**



„ვფიქრობ, საქმე ძალიან მარტივად არის, რადგანაც „მრეწველებისა" და რესპუბლიკელების მსოფლმხედველება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ჩვენ ვხედავთ, რომ „მრეწველები" საერთო ენის გამონახვას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან" უფრო ახერხებენ, ვიდრე თინა ხიდაშელთან, ამიტომაც თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეჯოს არჩევნებზე ირმა ინაშვილს უფრო გულშემატკივრობდნენ, ვიდრე რესპუბლიკურ პარტიას. მათი შეფასება სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ბატონი გოგი თოფაძე ამბობს. ახალი არავისთვის არის, რომ თავდაცვის მინისტრი ამ არჩევნებში ძალიან და ზედმეტადაც აქტიურობდა. თინა ხიდაშელი სოციალურ ქსელში არჩევნების დროს გადაღებულ ფოტოებს დებდა, ვხედავდით, თავდაცვის მინისტრი ხმებს როგორ ითვლიდა. მისი ეს აქტიურობა, რა თქმა უნდა, ბევრ ეჭვს და კითხვას აჩენს. თავი რომ დავანებოთ სხვა ყველა დანარჩენ საკითხს, თავდაცვის მინისტრი როდესაც ერთ-ერთ რაიონში ღამით, რიგითი მაჟორიტარი კანდიდატის მხარდასაჭერად ხმებს ითვლის და ამით ამაყობს, ეს ქვეყნისთვის ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს", — განაცხად გია ხუხაშვილმა.



## შოთა გლურჯიძე: ქალბატონო თამარ, ლოცვით ნებისმიერი საქმის დაწყება კარგია

**მხატვარი შოთა გლურჯიძე სოციალურ ქსელში განათლების მინისტრის — თამარ სანიკიძის განცხადებას გამოეხმაურა. მისი თქმით, ლოცვით ნებისმიერი საქმის დაწყება კარგია.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემა „ეპიცენტრში" მაყურებლის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება.

„აბსოლუტურად მიუღებელი და დაუშვებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება", — ეს თამარ სანიკიძის აზრია.

ქალბატონო თამარ, ლოცვით ნებისმიერი საქმის დაწყება კარგია და განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს აბსოლუტურად მიუღებლად და დაუშვებლად მიაჩნიათ!" — წერს გლურჯიძე.

## «ბეჭებზე დაგდებთ! ოღონდ ეს იქნება არა რუსული პროპაგანდა, არამედ ანტიამერიკული და თავისი არსით ყველაზე პროქართული»

**ისტორიკოსმა დავით გოგიშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მიმართვა ამერიკის ელჩისადმი.**





„საგანგებო მიმართვა აშშ-ის საელჩოს და პირადად ელჩს — იან კელს!

გუშინ ერთ-ერთი ქართული ტელეარხის საშუალებით შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია საქართველოში მომძლავრებული რუსული პროპაგანდით და ანტირუსული პროპაგანდის გასაძლიერებლად გამოყო 65 მილიონი დოლარი... ცდებით ბატონებო, მწარედ ცდებით! საქართველოში სინამდვილეში იოტისოდენადაც არ გაძლიერებულა რუსეთისადმი ნოსტალგია და ტრფიალი! ქართველი ხალხი ობიექტურად აფასებს რუსეთთან ურთიერთობის ყველა ნეგატიურ თუ დადებით მხარეს, მათ შორის, ქართული ტერიტორიების ოკუპაციას. უბრალოდ, ანტიამერიკული განწყობილება გაიზარდა. იცით რატომ? — თქვენი ხელისუფლების (და არა ამერიკელი ხალხის) საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი ზრახვები და მიზნები ამოიცნო. რა გააკეთეთ საიმისოდ, რათა საქართველო რუსეთის აგრესიისგან დაგეცვათ? რა გააკეთეთ საიმისოდ, რათა თქვენ მიერ გადმორიცხული მილიარდები წლების განმავლობაში ერთეულებს არ მოხმარებოდა და ამერიკული ფული სრულიად საქართველოს მატერიალური კეთილდღეობის საშუალება გამხდარიყო? გამოზარდეთ თქვენი დასაყრდენი, თქვენს „კარმუშკაზე" მყოფი ელიტა და მხოლოდ იმათი გამოკვებით შემოიფარგლებით, იმათ აშოვნინეთ მილიონები. სწორედ ეს ,,ელიტა" აღრმავებს საქართველოში ანტიამერიკულ განწყობილებებს. შეიგნეთ და გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამერიკულ ფერებში დახატული სანეტარო საქართველოს ოცნებით გამოკვებილ, მრავალგზის გაცუცურაკებულ, მოტყუებულ, სულში ჩაფურთხებულ ქართველ ხალხს უკიდურესი პროტესტი აქვს იმ „ელიტის" მიმართ, რომელსაც თქვენ დაახარჯავთ მაგ 65 მილიონ დოლარს. გია კორკოტაშვილი მოსკოვში წავა და ჩვენს თანამემამულე ერთ მილიონ ემიგრანტ ქართველს მოეფერება ეკრანიდან, მე აქ, „ფეისბუქზე" პოსტს დავწერ და მერე თქვენ, სახელმწიფო დეპარტამენტმა, ეს 65 მილიონი დოლარი დაახვიეთ და თქვენს დედებს გაუკეთეთ სათითაოდ! ბეჭებზე დაგდებთ! ოღონდ ეს იქნება არა რუსული პროპაგანდა, არამედ ანტიამერიკული და თავისი არსით ყველაზე პროქართული!" — წერს დავით გოგიშვილი.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ხორვატიას სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლისთვის 16 000 ევროს გადახდა დააკისრეს

**ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაციულად ცნო ხორვატიის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ ქალს ხორვატიაში ბინადრობის დოკუმენტის მიღების უფლება არ მიეცა.**

ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე „პაჟიჩი ხორვატიის წინააღმდეგ“ და დაასკვნა, რომ ხორვატიამ დაარღვია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-14 (დისკმინაციის აკრძალვა) და მე-8 სტატია (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ხორვატიის წინააღმდეგ სარჩელი მოქალაქე დანკა პაჟიჩმა შეიტანა, რომელსაც ხორვატიაში მცხოვრებ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხორვატიამ დანკა პაჟიჩს 16 000 ევრომდე უნდა გადაუხადოს.

## უკრაინელებს ჰომოსექსუალიზმში საფოსტო მარკებით გაანათლებენ ანუ როგორ ნერგავენ უკრაინაში «დასავლურ ფასეულობებს»



**უკრაინის საფოსტო სამსახურმა („უკრპოშტა“) გამოუშვა სერია საფოსტო მარკებისა, რომლებიც პროპაგანდას უწევს ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს. თითოეულ მარკაზე გამოსახულია ერთნაირსქესიანი წყვილი და წარწერა „Love is my right“ (ინგლ. „სიყვარული ჩემი უფლებაა“).**

„ეს საფოსტო მარკები სრულიად უკრაინაში გავრცელდება და ხელს შეუწყობს თანასწორუფლებიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას“, — ამტკიცებენ მარკების ავტორები, ორგანიზაცია „ტოჩკა აპორის“ წარმომადგენლები.

უფრო ადრე საკონდიტრო კორპორაცია „როშენმა“, რომლის მფლობელიც უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკოა** (საკონდიტრო კორპორაციის სახელწოდება წარმოდგება პოროშენკოს გვარის 5 ასოსგან (პო)**როშენ**(კო), თავისი პროდუქციის გასაღების ქსელი უკრაინის ფოსტის განყოფილებებში შექმნა, ახლა უკრაინელები საფოსტო განყოფილებებში შოკოლადსა და კარამელთან ერთად „ევროპულ ფასეულობებსაც“ ეზიარებიან.

**საკონდიტრო კორპორაცია «როშენმა», რომლის მფლობელიც უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკოა (საკონდიტრო კორპორაციის სახელწოდება წარმოდგება პოროშენკოს გვარის 5 ასოსგან (პო)როშენ(კო), თავისი პროდუქციის გასაღების ქსელი უკრაინის ფოსტის განყოფილებებში შექმნა, ახლა უკრაინელები საფოსტო განყოფილებებში შოკოლადსა და კარამელთან ერთად «ევროპულ ფასეულობებსაც» ეზიარებიან**



## პარიზის სასამართლო ამერიკელი გენერლის, გუანტანამოს ყოფილი ხელმძღვანელის დაპატიმრებას აპირებს

**საფრანგეთის სასამართლომ დასაკითხავად გამოიძახა გუანტანამოში ამერიკული ბაზის ხელმძღვანელი. 1 მარტს გენერალ ჯეფრი მილერს პარიზის მოსამართლე საბინა კერის ოფისში ელოდებიან. გენერალს საფრანგეთის ორი მოქალაქის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და წამებაში ადანაშაულებენ. სასამართლოში გენერლის გამოძახებას 15 წელიწადი დასჭირდა.**

საქმის წარმოება დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ფრანგები — ნიზარ სასი და მურად ბენშენლალი გაემგზავრნენ ავღანეთში, რათა მომზადებულიყვნენ ჯიჰადისტთა საწვრთნელ ბანაკში. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაიწყო ავღანეთის დაბომბვა, რამაც ფრანგები აიძულა, გადაბარგებულიყვნენ პაკისტანში, სადაც ისინი ამერიკელებმა ტყვედ აიყვანეს. მოგვიანებით ისინი გუანტანამოში აღმოჩნდნენ.

ფრანგებმა საპყრობილეში 2 წელი და 6 თვე გაატარეს და უამრავი საშინელება გადაიტანეს. ისინი ამბობენ, რომ გენერალი მილერი პირადად აკონტროლებდა ხელქვეითების მოქმედებას და მკაცრად მოითხოვდა დაწესებულების პრინციპების დაცვას. ხელქვეითები კი პატიმრებს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ, დიდხანს ჰყავდათ გამომწყვდეული კარცერში, აიძულებდნენ უხერხულ პოზებში დგომას და აბუჩად იგდებდნენ. მოკლედ, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა არ დაეცვათ ჟენევის კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ.

2006 წელს მილერი პენსიაზე გავიდა, მაგრამ მანამდე ერაყში აბუ-გრეიბის ციხის უფროსი იყო, სადაც ამერიკელებმა ტყვეების მიმართ საშინელი მოპყრობით გაითქვეს სახელი.

ფრანგები წლების განმავლობაში ცდილობდნენ, გენერლის გამოძახებას სასამართლოში, მაგრამ საფრანგეთის სასამართლო სარჩელს არ იღებდა. ახლა კი, როგორც იქნა, გენერალი გამოიძახეს. მაგრამ,დაზარალებულთა ადვოკატების თქმით, გენერალი პარიზის სასამართლოში არ გამოცხადდება.







## ლონდონის მერი: ევროკავშირი ძირს უთხრის დემოკრატიის საფუძვლებს

**ლონდონის მერმა მორის ჯონსონმა 21 თებერვალს განაცხადა, რომ ევროკავშირი თავისი პოლიტიკური მექანიზმებით „ძირს უთხრის ბრიტანეთის სუვერენიტეტს“, აგრეთვე, დემოკრატიის საფუძვლებს, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ დევიდ კემერონსა და ევროკავშირის ხელმძღვანელთა შორის მიღწეული გარიგება პოზიტიურ ცვლილებებს ვერ მოიტანს.**

თავისი სახლის კარის ზღურბლიდან ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას ჯონსონმა განაცხადა, რომ „მძიმე გულით“ მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის შემადგენლობიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის კამპანიისთვის მხარდაჭერის შესახებ. მერის თქმით, ევროკავშირი ძირს უთხრის დიდი ბრიტანეთის სუვერენიტეტს და განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დევიდ კემერონმა მოითხოვა ბრიუსელის სამიტზე გაერთიანებული სამეფოსთვის, პოზიტიურ ცვლილებებს ვერ მოიტანს.

**„ევროკავშირიდან გამოსვლისთვის მხარდაჭერა ერთადერთი საშუალებაა, ვაჩვენოთ, რომ ბრიტანელებისთვის განსაკუთრებულად საჭიროა თვითმმართველობა, მეორე მხრივ, ეს ბრიუსელისთვის იქნება მწვანე შუქის ანთება, დაიწყოს ფედერალიზმის გაძლიერება და დემოკრატიის საფუძვლების ფეხქვეშ გათელვა“,** — განაცხადა ლონდონის მერმა.

## «ვიკილიქსი»: აშშ მერკელს, ნეთანიაჰუს, სარკოზის, ბერლუსკონისა და პან გი მუნს უსმენდა და უთვალთვალებდა

**„ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა ახალი საიდუმლო დოკუმენტები, რომლებშიც წერია, რომ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა და უთვალთვალებდა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებს, მათ შორის, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, ისრაელის პრემიერმინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, იტალიის ყოფილ პრემიერ სილვიო ბერლუსკონის, საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, აგრეთვე, გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნს.**




30 დეკემბერს გაზეთი Wall Strit Journal-ი იუწყებოდა, რომ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო კვლავაც განაგრძობდა მოკავშირე ქვეყნების ლიდერების მიყურადებასა და თვალთვალს, მიუხედავად თეთრი სახლის დაპირებისა, რომ შეწყვეტდა ამ პრაქტიკას. ამას გარდა, ცნობილი შეიქნა, რომ ობამას ადმინისტრაციას აქვს სია იმ სახელმწიფოებისა და ლიდერებისა, რომლებსაც დაზვერვამ არ უნდა უთვალთვალოს.





## ფრანგული ჯოჯოხეთი: ქალაქ კალეში ათასობით მიგრანტი ძალადობს ქალებსა და ბავშვებზე

**საფრანგეთის ქალაქ კალეში მიგრანტები ძარცვავენ და ძალადობენ ქალებსა და ბავშვებზე, პოლიცია კი მათ დასაცავად არაფერს აკეთებს.**

კალეს მკვიდრმა **სიმონა ერიკურმა** კონფერენციაზე „გადაარჩინეთ ჩვენი ქვეყანა“ სიტყვით გამოსვლისას მოყვა, თუ რა საშინელებები ატყდებათ თავს ფრანგ ქალებს. მისი აზრით, ხელისუფლება ვერ უმკლავდება მიგრანტების ნაკადს, რომლებიც ყოველდღე აწყობენ არეულობებს.

**„ისინი მოდიან ქალაქის ცენტრში — ორი, სამი, ოთხი ათასი ადამიანი, რკინის ჯოხებით აზიანებენ ავტომობილებს, თავს ესხმიან ადამიანებს, ბავშვებსაც კი. გაუპატიურება, ძარცვა — ვერ წარმოიდგენთ რისი გადატანა გვიწევს“,** — განაცხადა ერიკურმა, რომელმაც დასძინა, რომ დახმარების ნაცვლად ხელისუფლება პროტესტის ჩახშობას ცდილობს.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ოცნების“ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ხმას მისცემს არა კოალიციის პროგრამას ან მისი მთავრობის წარმატებულ მუშაობას და არც სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანდება, არამედ მხარს დაუჭერს ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის ფაქტობრივ მმართველს და სტაბილურობის გარანტს. ამ მხრივ, არჩევნები რეფერენდუმზე ნდობის საკითხის გამოტანას დაემსგავსება.**

# გაუმაძღართა კოალიცია და მექსიკური ოცნება

**„რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ კონფლიქტი არ არის ტროას ომი და მას პოემებს არ მიუძღვნიან, თუმცა გასულ კვირას მან კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა იმაზე, რას წარმოადგენს მმართველი კოალიცია და როგორია მისი პერსპექტივები. ხომ არ მოუტანს არჩევნები „ქართულ ოცნებას“ „პიროსის გამარჯვებას“, რომლის შემდეგ კრახი გარდაუვალი გახდება?**



ბოლო სამი წლის განმავლობაში „ოცნებამ“ საკმარისზე მეტი ამომრჩეველი დაკარგა. მას შორდებიან როგორც კონსერვატორები, ისე ლიბერალები, ამიტომ დღეს მისი ხელმძღვანელობა მოკლებულია შესაძლებლობას, შიგა კოალიციურ კონფლიქტებში ერთ-ერთი მხარე ერთმნიშვნელოვნად გაამტყუნოს, რადგან მის უკან მდგომი ამომრჩევლების გაღიზიანებას ერიდება. აქ საუბარია არა იმდენად „მრეწველებისა“ და რესპუბლიკელების ტრადიციულ და შედარებით მცირერიცხოვან ელექტორატზე, რამდენადაც ყველა პირობით „ლიბერალსა“ და „კონსერვატორზე“, რომლებიც მსგავს დაპირისპირებებში ერთ-ერთ მხარეს გულშემატკივრობენ. **რაც ყველაზე საინტერესოა (ეს კარგად აისახება სოცქსელებში), მათ უმრავლესობას ის კი არ აინტერესებს, რომ კონკრეტულ ეპიზოდში თოფაძემ ან ბერძენიშვილმა (თუ ვინც იქნება) თავისი სიმართლე დაამტკიცოს, არამედ ის, რომ მათთვის საძულველ ფიგურას რაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს. მთლიანობაში ეს გამოიყურება, როგორც გაკოტრებული ცირკი დაბერებული გლადიატორებით,** თუმცა აქ მთავარია სხვა რამ: **არჩევნებამდე დარჩენილ დროში „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა (თუ კოალიციის დაშლას არ აპირებს) იძულებული იქნება, დაიცვას ბალანსი, რათა განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ამომრჩევლები არ დაკარგოს.**

საზოგადოდ, პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტიები, როგორც წესი, ცდილობენ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიათაშორისი ბრძოლა შიდაპარტიული დაპირისპირებით ჩაანაცვლონ. როდესაც ცხადი ხდება, რომ ამა თუ იმ პრობლემის განხილვა გარდაუვალია, ოპოზიციას ინიციატივას არ უთმობენ და თვითონვე იწყებენ დისკუსიას თავიანთი „კონსერვატორების“, „ლიბერალების“, შინაური ექსპერტებისა და არასამთავრობოების მონაწილეობით. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, მაგალითად, 1997-2000 წლების „მოქკავშირი“ თავისი „ახალგაზრდა რეფორმატორებით“, მათი ოპონენტებით და (სავსებით მართვადი) პაექრობა ტელესტუდიებში თუ პრესის ფურცლებზე, თუმცა ეს ხერხი მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლება ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში დღის წესრიგის ფორმირებას მყარად აკონტროლებს. დღეს ასე არ არის და ამიტომ აუდიტორიას, დიდი ალბათობით, შეიძლება მმართველ კოალიციაში დიდი დაპირისპირებისა და კრიზისის შთაბეჭდილება შეექმნას.

ვინაიდან 1990-იანების მეორე ნახევარს შევეხეთ, საინტერესო, ალბათ, იმის გახსენებაც იქნება, რომ იმხანად **სრული სერიოზულობით განიხილებოდა ე.წ. მექსიკური მოდელი და „მოქალაქეთა კავშირის“ გარდაქმნა მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ადგილობრივ ანალოგად.** ეს პარტია ქვეყანას, ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში, 70 წლის განმავლობაში მართავდა და მისთვის, იდეოლოგიის უკანა პლანზე გადაწევის გარდა, დამახასიათებელი იყო ფრაქციების შექმნისა და შემდგომი ურთიერთქმედების (თავისი კონფლიქტებითა და ალიანსებით) კარგად გააზრებული და მართვადი პროცესი. რეალურად, ამ პარტიამ „შეისრუტა“ მთელი პოლიტიკა და მრავალპარტიულობა მრავალფრაქციულობით ჩაანაცვლა. ამ მოდელის საქართველოში დამკვიდრებას ხელი რამდენიმე გარემოებამ შეუშალა. მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ერთიანობას უზრუნველყოფდნენ არა იმდენად ლიდერები, რამდენადაც გარკვეული პრინციპები და თამაშის წესები, რომელიც საქართველოსთვის, პარტიული აღმშენებლობის „ბელადისტური ტრადიციებით“ და უცნაური სიძულვილით ყოველგვარი შეზღუდვების მიმართ, უცხო იყო. ამასთანავე, შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, რომ იტყვიან, „ბუქსაობა“ დაიწყეს. ისინი ვერა და ვერ ახერხებდნენ დამაკმაყოფილებელი შედეგების მოპოვებას შიდაპარტიულ ბრძოლაში და რაღაც მომენტში მათთვის, ისევე, როგორც მათი უცხოელი პარტნიორებისთვის, ცხადი შეიქნა, რომ უფრო შედეგიანი იქნებოდა „მოქკავშირის“ დატოვება და ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა. საუბრები „მექსიკურ მოდელზე“ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პირველ წლებში განახლდა, მაგრამ მალევე შეწყდა. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ყველასათვის ცხადი გახდა — მმართველი პარტია ჰგავს ყაენის გარშემო გაერთიანებულ შუა საუკუნეების მონოლითურ ურდოს და გარდაქმნას არ დაექვემდებარება. ყველა შემდგომი დაპირისპირება მის შიგნით პირადი ამბიციებისა და ფინანსური ინტერესების შეუთავსებლობის შედეგად წარმოიქმნა. მართალია, დაახლოებით 2010 წლის დასაწყისში მის წიაღში დაიბადა განწყობა, რომელსაც პირობითად შეიძლება **„ნაციონალური ტერმიდორის იდეა“** ვუწოდოთ, მაგრამ პარტიის შედარებით წინდახედული ხელმძღვანელები მივიდნენ დასკვნამდე, რომ **„იაკობინელების“** ჩამოცილების გარეშე რეჟიმს და საკუთარ კეთილდღეობას ვერ გადაარჩენდნენ. თუმცა ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის რესურსები და გამბედაობა არ ეყოთ. თანაც, როგორც ჩანს, თავის სიმართლეში **მიხეილ სააკაშვილი** ვერ დაარწმუნეს. იყო რაღაც არაოფიციალური საუბრები, მინიშნებები მედიაში, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ბზარს, რომელიც ნაპრალად არ გადაიქცა, შიდაპარტიული ფრაქციების შექმნასთან საერთო არაფერი ჰქონდა. საზოგადად კი, ბოლო ათწლეულში საუბარი ფაქტობრივ ერთპარტიულობაზე, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის ხელშემწყობ ფაქტორზე, ერთობ უხერხული გახდა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ „მექსიკური მოდელი“ არავის გახსენებია (არადა, რეალურად „მთელი ეს მექსიკა“ დღეს, შესაძლოა, გაცილებით ახლოა, ვიდრე ოდესმე).

**რა აერთიანებს „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს? 2012-ში ყველაფერი ცხადი იყო: არსებობდა სააკაშვილის რეჟიმი, რომლის განადგურება ამომრჩეველთა უმრავლესობას სწყუროდა. დღეს ეს ფაქტორი მოხსნილია, ხოლო რეჟიმის ნარჩენები არ გამოიყურება საკმარისად მრისხანედ იმისთვის, რომ წინასაარჩევნო საფრთხობელად წარმოაჩინონ (თუმცა ამის მცდელობას ადგილი, სავარაუდოდ, ექნება).** არ არსებობს არანაირი გამაერთიანებელი პოზიტიური იდეა („ერთად ვაშენოთ“ ტიპის ლოზუნგები ასეთად ვერ ჩაითვლება), კოალიციის შემადგენელი ელემენტები ზოგიერთი საკითხის მიმართ დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. საბოლოოდ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩვენ შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ **დღეს კოალიციასა და მის ამომრჩევლებს აკავშირებს მხოლოდ ლოიალურობა ბიძინა ივანიშვილის მიმართ,** როგორც უცნაური კვაზიმონარქიული პრინციპი. თავის დროზე დიდი ბრიტანეთის და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ეგვიპტის პოლიტიკურ ისტორიაში იყო ასეთი ტერმინი — „მეფის მეგობართა პარტია“. საუბარმა იმაზე, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული ახალი რეჟიმი, არსებითად, კრიპტომონარქიაა, შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს, უბრალოდ, იმის კონსტატაციით შემოვიფარგლოთ, რომ **„ოცნების“ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ხმას მისცემს არა კოალიციის პროგრამას ან მისი მთავრობის წარმატებულ მუშაობას და არც სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანდება, არამედ მხარს დაუჭერს ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის ფაქტობრივ მმართველსა და სტაბილურობის გარანტს. ამ მხრივ, არჩევნები რეფერენდუმზე ნდობის საკითხის გამოტანას დაემსგავსება.** ეს მოტივები და პოლიტიკური ნების რეალიზაციის ფორმები ძალიან შორია დემოკრატიის ძირითადი იდეებისგან, მაგრამ მათი გათვალისწინება მოგვიწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, ვერ გავშიფრავთ იმ ადამიანების ქცევას, რომლებიც ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემენ.

იმისთვის, რომ ამ კატეგორიის ამომრჩეველი არ დაიბნეს, კოალიცია ადეკვატურად უნდა გამოიყურებოდეს და ერთიანობას ფორმალურად მაინც გამოხატავდეს, მაგრამ, როგორც გვიჩვენებს ბოლო ეპიზოდები რესპუბლიკელების, „მრეწველების“ და კოალიციის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით, ამას ყველა როდი ახერხებს. საგულისხმოა (და ეს ისევ კრიპტომონარქიის იდეასთან გვაბრუნებს), რომ **ამ ჯგუფების კონკურენცია განსხვავდება პოლიტიკური ბრძოლისგან დემოკრატიის ან, თუნდაც, ზომიერი ავტორიტარიზმის პირობებში და შესაბამის წესებს არ ექვემდებარება. ის ყველაზე მეტად მოგვაგონებს ფეოდალური ხანის ინტრიგებს, რომელთა დროს მთავარ რესურსს მმართველთან სიახლოვე წარმოადგენდა.** „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში ნდობა ივანიშვილის მიმართ კვლავინდებურად მაღალია და ის მათ „აკავებს“, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან აღიზიანებთ დაპირისპირება კოალიციის შიგნით და სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ერთ მწყობრში დგომის აუცილებლობა.

**ყველაზე დიდი კოშმარი, რომელიც შეიძლება საპარლამენტო არჩევნებზე მოხდეს, ქვეყნის მასშტაბით საგარეჯოს შუალედური არჩევნების გამეორებაა, ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებითა და ცინიკური თაღლითობით. საგარეჯოში კატასტროფული არაფერი ხდებოდა, იმ რაუნდის მოგება ხელისუფლებას სუფთად, პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით შეეძლო (ან თუნდაც წაეგო, ერთი მანდატი არაფერს წყვეტდა), მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მინიმალური ნიჭი, მონდომება და, რაოდენ პარადოქსულად უნდა იყოს ამ სიტუაციაში, ღირსება.** მაგრამ ხელისუფლების ძირითად რესურსად სისულელე და გაუმაძღრობა იქცა და ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ მომავალ არჩევნებში მის მთავარ პოლიტტექნოლოგებად გუბერნატორები, გამგებლები და პოლიციის უფროსები მოგვევლინონ. ასეთი არჩევნები კი გარდაუვალს გახდის „ქართული ოცნების“ შემდგომ ტრანსფორმაციას გვიანდელი „მოქკავშირის“ ან „ნაცმოძრაობის“ნაირსახეობად გარანტირებული კრახით 4-5 წლის პერსპექტივაში. ყოველივე ეს, ალბათ, ერთი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის რგოლებია – არაჯანსაღ სისტემაში ვერც შიდასახელისუფლო კონკურენცია იქნება ნორმალური, ის ყოველთვის „არაბუნებრივი გადარჩევით“ დასრულდება და ავანსცენას უნიჭო და გაუმაძღარი ადამიანები დაიკავებენ, რომელნიც მმართველ ძალას განადგურებამდე მიიყვანენ; ეს უკვე იყო, თანაც არაერთგზის.

**20 წელია, ქართველი ამომრჩეველი უყურებს ამ სახეებს და, სავარაუდოდ, მიდის დასკვნამდე, რომ მთავარი ის კი არ არის, კონსერვატორები არიან ეს პოლიტიკოსები თუ ლიბერალები, არამედ ის, რომ ისინი დეგენერატები არიან. აშკარაა, რომ ბრძოლამ თბილი ადგილებისთვის მმართველი ძალის საარჩევნო სიებში უკვე საზოგადოების შეურაცხყოფის სახე მიიღო.**

თუ გავიხსენებთ **მარტინ ლუთერ კინგის** გენიალური სიტყვებს „მე მაქვს ოცნება...“, რომელმაც ამერიკა შეცვალა, ალბათ, არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, როგორ სხედან დღეს „ქართული ოცნების“ რიგი ამომრჩევლებისა, იხსენებენ მშფოთვარე 2012 წელს და სევდიანად იმეორებენ: „ჩვენ გვქონდა ოცნება... ჩვენ გვქონდა ისეთი ოცნება, რომელსაც ნამდვილად შეეძლო საქართველო შეეცვალა“. არჩევნების წინ ივანიშვილი, სავარაუდოდ, იძულებული იქნება, მათ უშუალოდ მიმართოს და მხარდაჭერის აუცილებლობაში დაარწმუნოს, მაგრამ ის ველარ ეტყვის „მე მაქვს ოცნება“, რადგან ეს შესაძლებლობა 2012 წლის შემდეგ განვლილ პერიოდში დაკარგა, ასე რომ, განსხვავებული ტაქტიკის გამოყენება მოუწევს. ვერაფერს ვიზამთ, **სააკაშვილმა სიტყვა „გმირი“ გააუფასურა, რომელსაც წამდაუწუმ უადგილოდ იმეორებდა, ივანიშვილმა კი ოცნების დევალვირება მოახდინა.**

**უკრაინამ მაინც გაიმეორა ჩვენი შეცდომები, ხოლო ამ შეცდომების შემოქმედი ოდესის ოლქში მიიწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ახლო მომავალში სააკაშვილს არ დაითხოვენ, შეცდომების კასკადი შეუქცევად ხასიათს მიიღებს. ჩვენ კი მართლაც არ გვაქვს არც საკუთარი, არც სხვისი შეცდომების გამეორების უფლება, უკან დასახევი აღარ გვაქვს – ჩვენ უკან საქართველოა, „დროებით“ და „ნაწილობრივ“ დაშლილი.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზავი სირიაში დასკვნები საქართველოსთვის

**სანამ ექსპერტები და პოლიტიკოსები მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხეზე კამათობდნენ, 22 თებერვალს სრულიად მოულოდნელად გამოქვეყნდა აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის (როგორც სირიის მხარდაჭერის საერთაშორისო ჯგუფის თანათავმჯდომარეების) ერთობლივი განცხადება სირიაში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე. ეს საზავო შეთანხმება 27 თებერვალს ამოქმედდება და არ გავრცელდება ტერორისტულ ორგანიზაციებზე, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“, „ჯებჰათ ან-ნუსრა“ და სხვ. „სირიის კრიზისის დარეგულირებისკენ სწრაფვით, გაეროს ფუძემდებლური როლის პატივისცემით მზად ვართ, ყველა საშუალებით შევუწყოთ ხელი სირიაში კონფლიქტის შეწყვეტას და თვითონ სირიელების მიერ გაეროს მხარდაჭერით პოლიტიკური გამოსავლისთვის პირობების შესაქმნელად,“ — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.**



ვინც ბოლო 20 წლის განმავლობაში საერთაშორისო პროცესებს თვალს ადევნებს, უთუოდ ყურში მოხვდება „გაეროს ფუძემდებლური როლი“, რომელსაც შეერთებული შტატები პატივს არასოდეს სცემდა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე იჭრებოდა. ისიც ნათელია, რომ ასადის დაუყოვნებელი გადადგომის მოთხოვნა (აშშ-ის მუდმივი მოთხოვნა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში) შეიცვალა არჩევნების გზით „თვითონ სირიელი ხალხის“ მიერ საკუთარი მომავლის განსაზღვრის დებულებით, რომელსაც მუდმივად მოითხოვდა რუსეთი.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ პუტინთან სატელეფონო საუბრისას ობამამ საგანგებოდ აღნიშნა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში უახლოეს მომავალში ადგილობრივი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. ესეც დაუმორჩილებელი რეგიონებისა და ოფიციალური მოსკოვის მოთხოვნა იყო, რომელსაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა უკრაინის ცენტრალური ხელისუფლება.

Washington Post-ი სკეპსისით აღნიშნავს, რომ დამასკო განზრახ აჭიანურებდა ამ შეთანხმებას, რათა დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლი აღედგინა. შეთანხმების კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდა და შექმნილი ვითარება სწორედ სირიის ხელისუფლებას აძლევს ხელს. ავიადარტყმებითა და სახმელეთო ოპერაციით მან მნიშვნელოვნად გაიფართოვა კონტროლი საკუთარ ტერიტორიებზე.

ბრიტანული Daily Mail-ი იხსენებს **ბაშარ ასადის** ინტერვიუს გაზეთ El Pais-თან. ზავის საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური იყო და სირიის პრეზიდენტმა მისი შესრულების მზადყოფნა გამოხატა. ასადმა განაცხადა, რომ სირიის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში 80 ქვეყანა მონაწილეობს. მისი აზრით, მთავარია არა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტა, არამედ ტერორისტებისთვის შეიარაღებისა და სამხედრო ძალის მიწოდების აღკვეთა, პირველ რიგში, თურქეთიდან.

გაეროს გენერალური მდივანი **პან გი მუნი** მიესალმა საზავო შეთანხმებას. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** ფრთხილი ოპტიმიზმი გამოხატა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ფილიპ ჰამონდი** აღნიშნავს, რომ ოფიციალურ დამასკოსა და მოსკოვს სერიოზულად მოუწევთ მოქმედების შეცვლა, რათა სირიაში მშვიდობა დამყარდეს. მისი აზრით, ზავი სერიოზული ნაბიჯია სირიის ახალი ხელისუფლების შესაქმნელად ასადის გარეშე.

ამასობაში **ბაშარ ასადმა უკვე დანიშნა საპარლამენტო არჩევნები 13 აპრილს.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარკ ტონერმა** განაცხადა, რომ საზავო შეთანხმება ყველა მხარეს შეეხება, მათ შორის, სირიელი ქურთების მიერ თურქეთის დაბომბვებსაც და ანკარის შეშფოთება გაიზიარა. იქვე აშშ-ის ხელმძღვანელობამ თურქეთს მოუწოდა, „შეწყვიტოს კონტრპროდუქტიული დარტყმები საზღვრის სიახლოვეს“. თურქეთი მიესალმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. მანამდე, **ერდოღანის მცდელობა, ჩაერთო რუსეთთან დაპირისპირებაში აშშ და ნატო, უშედეგოდ დასრულდა. მას თავაზიანად მიუთითეს, რომ ნატოს წესდების მე-5 მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ რუსეთი მის ტერიტორიაზე შეიჭრება.**

შეთანხმების შესასრულებლად რუსეთი ოფიციალურ დამასკოსთან იმუშავებს, აშშ კი — მის მიერ მხარდაჭერილ ე.წ. ზომიერ ოპოზიციასთან. მოსკოვი და ვაშინგტონი საგანგებო ცხელ ხაზსა და სამუშაო ჯგუფს ქმნიან ინფორმაციის მუდმივი გაცვლის მიზნით.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ** ბოლო ათი დღის განმავლობაში რამდენჯერმე დააანონსა საომარი მოქმედებების შეწყვეტა. 12 თებერვალს მან განაცხადა, რომ ცეცხლი 19 თებერვალს შეწყდება, მაგრამ ამ დღეს ყველაფერი უცვლელი იყო, მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანა დაიწყო სირიის ხუთ ქალაქში. ამერიკულ მედიაში კერის „მარადიულ ოპტიმისტს“ უწოდებენ, თუმცა პროცესმა აჩვენა, რომ მართალია, „დროებით“ და „ნაწილობრივ“, მაგრამ შეთანხმების მიღწევა მაინც შესაძლებელი გახდა.

არადა, სულ რაღაც ორი კვირის წინათ შეერთებული შტატების პოზიცია სულ სხვაგვარი იყო. ატლანტიკური საბჭოს პროექტ „ევროპის მომავალის“ უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა **ეველინ ფარკასმა** აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომისიას წარუდგინა ვრცელი მოხსენება „რუსეთის გაგება და შეკავება: აშშ-ის პოლიტიკა და სტრატეგია“.

სირიის ნაწილში ამერიკული გეგმა ასე გამოიყურებოდა: „უნდა დავარწმუნოთ ჩვენი მოკავშირეები შეიყვანონ ჯარები, მიაწოდონ ოპოზიციას სამხედრო აღჭურვილობა და სხვა სახის მხარდაჭერა. ზემოქმედებისთვის ეკონომიკური და სხვა ბერკეტების გამოყენება რომ მოგვეხერხებინა, ეს სამხედრო მოქმედებათა გაგრძელების აუცილებლობას შეამცირებდა, მაგრამ ამჟამად სამხედრო ოპერაცია გარდაუვალია. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ უნდა გაწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა რუსეთთან. ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის თავდაცვის მრეწველობამ უარი უნდა თქვას რუსულ რაკეტებზე (რაზეც პენტაგონმა მყისიერად უპასუხა, რომ რუსული ძრავების გარეშე ამერიკული კოსმოსური რაკეტები დედამიწაზე დარჩება – ნ. დ.) და უნდა შევქმნათ ახალი ფონდი სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დახმარებისთვის, რათა დავეხმაროთ მოკავშირეებსა და პარტნიორებს ევროპასა და ავღანეთში, უარი თქვან რუსულ შეიარაღებაზე ამერიკული ტექნიკის შესყიდვის სასარგებლოდ“.

**განვითარებულმა პროცესმა ცხადყო, რომ ამ გეგმიდან არაფერი შესრულებულა, მეტიც – ყველაფერი სწორედ საპირისპიროდ მოხდა. „გარდაუვალი“ სამხედრო ოპერაცია წყდება, პენტაგონი რუსულ ძრავებზე უარს არ (ვერ) ამბობს, თავდაცვის უწყებები მჭიდროდ იწყებენ თანამშრომლობას, ხოლო რუსეთმა შეიარაღების გაყიდვა 264%-ით გაზრდა როგორც აზიაში, ისე ევროპის ნაწილში.**

კიდევ ერთი ფრაგმენტი ამ ვრცელი მოხსენებიდან: „ჩვენ უნდა გავამყაროთ ერთიანობა მოკავშირეებთან და პარტნიორებთან მსოფლიოში და მტკიცედ აღვკვეთოთ რუსეთის არამართლზომიერი ქმედებები. ჩვენ არ ვართ ვალდებული, შევიდეთ ახალ ცივ ომში ან გლობალურ დაპირისპირებაში რუსეთთან. იმ სფეროებში, რომლებშიც კრემლი მზად არის თანამშრომლობისთვის და სადაც საერთო ინტერესები გვაქვს, მოსკოვთან უნდა ვითანამშრომლოთ. თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი ითანამშრომლებს მხოლოდ მანამდე, სანამ ეს მის ინტერესებშია, ან — თუ აშშ საკმარის გავლენას მოიპოვებს პუტინის კურსის შესაცვლელად. ჩვენ ბერკეტები გვესაჭიროება მოლაპარაკებებში შედეგების მისაღწევად. თუ ჩვენ ამ ქმედებებს მივმართავთ, მაშინ ავწევთ ფასს, რომლის გადახდაც პუტინს მოუწევს თავისი საერთაშორისო მიზნების მისაღწევად. რუსეთი იძულებული შეიქნება, გადახედოს საკუთარ მიდგომებს. მაშინ, შესაძლოა, დათრგუნვილი და გზას აცდენილი რუსი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს მზერა მომავალს გაუსწოროს. ხოლო ჩვენ წარმატებით შევძლებთ, გავუმკლავდეთ აშშ-ის ეროვნული ინტერესების უდიდეს გეოსტრატეგიულ საფრთხეს“.

**რას იზამს „დათრგუნვილი და გზას აცდენილი რუსი ხალხი“, ამას იგი თავად გადაწყვეტს, მით უფრო, რომ, სადაც აშშ ჩაერია, „ფერადი რევოლუციებისა“ თუ გარედან მართული სახელმწიფო გადატრიალებების სახით, „მომავალს მზერა“ ვერც ერთმა ხალხმა ვერ გაუსწორა; როგორც წესი, ასეთი ქვეყნები ან იშლებოდა (ლიბიისა და უკრაინის მაგალითზე, ჩვენზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ან წლების განმავლობაში ქაოსისა და არასტაბილურობისთვის იყო განწირული (ორიოდე გამონაკლისის გარდა). ამ ეტაპზე რუსეთში უკმაყოფილებას სწორედ ის იწვევს, რომ საზავო შეთანხმება „გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯით ადრე“ გაფორმდა.**

ვინ მოიგო და ვინ წააგო ამ შეთანხმებით, მომდევნო დღეებში ბევრს იკამათებენ. ასადს გზა გაეხსნა რაკისკენ, რუსეთმა არ დაუშვა მორიგი გადატრიალება სირიაში, სადაც მისი სამხედრო ბაზები ათწლეულის განმავლობაში დგას, დონბასი არჩევნებს ჩაატარებს „ეუთოს სტანდარტებით“. კიდევ რაზე შეთანხმდნენ აშშ და რუსეთი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ და დავინახავთ (ყველაფერს არა, ცხადია). ჩვენ რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ?

ერთადერთი, რაშიც ეჭვს ვერ შეიტან ფარკასის მოხსენებაში, არის ის, რომ აშშ და რუსეთი ითანამშრომლებენ, სადაც მათი ინტერესების თანხვედრა იქნება და ზუსტად იმ მომენტამდე, სანამ ეს მათ ინტერესებშია. თავდაცვის ყოფილი მინისტრისა არ იყოს, რა ვქნათ? **რაკი აშშ-ისა და რუსეთის შეთანხმებებს წინ ვერ აღვუდგებით, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, საქართველო მათი ინტერესების თანხვედრის არეალად ვაქციოთ და არა — მათი დაპირისპირების. ამას კი სუბიექტის როლის დაბრუნება სჭირდება, ინიციატივები ჩვენგან უნდა მოდიოდეს. უნდა ვიმოქმედოთ და არ დაველოდოთ, როდის შეთანხმდებიან დიდი მოთამაშეები, რაც ხშირად პატარა ქვეყნების ინტერესების ხარჯზე ხდება ხოლმე.**

**ცნობისათვის:** ერთი დოკუმენტი, რომელიც ახლახან გამოაქვეყნა უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭომ, 2014 წლის 28 თებერვლის სხდომის სტენოგრამაა.

თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **იგორ ტენიუხი** ამბობდა: **„მთელი ქვეყნიდან სამხედრო ამოცანის შესრულების უნარის მქონე 5-ათასიანი სამხედრო დაჯგუფების შეგროვება შეგვიძლია. შეგვიძლია გადავისროლოთ ყირიმში, მაგრამ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს, უბრალოდ, ჩავხოცავთ იქ. და რა ვუყოთ ათასკილომეტრიან საზღვარს და შემოჭრისთვის რუსეთის მზადებას? დილით ჩერნიგოვიდან რომ შემოვიდნენ, საღამოს უკვე კიევში იქნებიან“.**

**იულია ტიმოშენკო: „არც ერთი ტანკი არ უნდა გამოვიდეს ყაზარმიდან, არც ერთმა ჯარისკაცმა არ უნდა აიღოს იარაღი. მცოდნე ხალხთან კონსულტაციები გავიარე და უნდა ვთქვა, რომ პუტინს აფხაზეთის სცენარის რეალიზება უნდა და მხოლოდ საბაბი სჭირდება. გაიხსენეთ, როგორ წამოეგო მაშინ პროვოკაციაზე სააკაშვილი და წააგო. მისი შეცდომის გამეორების უფლება არ გვაქვს“.**

„მცოდნე ხალხი“ ვინ არის, ამას მიხვდებოდით, თუმცა იგივე „მცოდნე ხალხი“ გარკვევით გვეუბნება, რომ MAP-ის მოთხოვნა არარელევანტურია და მეხუთე მუხლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვერ იმოქმედებს! უკრაინამ მაინც გაიმეორა ჩვენი შეცდომები, ხოლო ამ შეცდომების შემოქმედი ოდესის ოლქში მიიწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ახლო მომავალში სააკაშვილს არ დაითხოვენ, შეცდომების კასკადი შეუქცევად ხასიათს მიიღებს. ჩვენ კი მართლაც არ გვაქვს არც საკუთარი, არც სხვისი შეცდომების გამეორების უფლება. უკან დასახევი აღარ გვაქვს – ჩვენ უკან საქართველოა, „დროებით“ და „ნაწილობრივ“ დაშლილი.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ირანს სანქციები მოუხსნეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა წლების განმავლობაში არსებული იზოლაციიდან გამოვა და თავისი ენერგორესურსების წყალობით, შესაძლოა, ახლო მომავალში დაჩრდილოს საუდის არაბეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა“.**



# ვასილ პაპავა: საქართველომ ზედმეტი აქტიურობისგან ან რომელიმე მხარის გალიზიანებისგან თავი უნდა შეიკავოს

**ვითარება სირიაში და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა დღითიდღე იძაბება. დგას თუ არა მსოფლიო ახალი ომის დაწყების საფრთხის წინაშე და როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა, „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში — ვასილ პაპავა ესაუბრება:**

5 წელიწადია, სირიაში კონფლიქტი მიმდინარეობს და ის დღეს კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ამის მხოლოდ ერთი მიზეზი არ არსებობს, ეს მოვლენების ჯაჭვური რეაქციაა, რომელსაც საუდის არაბეთისა და თურქეთის ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებელი ნაბიჯები იწვევს.

მოგეხსენებათ, ირანს სანქციები მოუხსნეს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ეს ქვეყანა წლების განმავლობაში არსებული იზოლაციიდან გამოვა და თავისი ენერგორესურსების წყალობით, შესაძლოა, ახლო მომავალში დაჩრდილოს საუდის არაბეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა.** ამას გარდა, პოსტსანქციურ პერიოდში ირანს, რა თქმა უნდა, გაუჩნდება დამატებითი თანხა, რომელსაც ეკონომიკისა და არმიის მოდერნიზებისთვის გამოიყენებს. მაგალითად, ერთი კვირის წინათ ირანის თავდაცვის მინისტრი რუსეთში იმყოფებოდა და 8-მილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა შეიარაღების შესყიდვაზე.

ბოლო რამდენიმე თვეა, **რუსეთისა და ირანის ერთობლივი ძალისხმევით, ასევე, სირიის სამთავრობო არმიისა და მათი მოკავშირეების მხარდაჭერით, ხდება ფართომასშტაბიანი გარღვევა ყველა ფრონტზე და ახლა აქტიურად მიმდინარეობს შეტევა აღმოსავლეთისკენ, „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქისკენ, რაც, რა თქმა უნდა, იწვევს იმ სახელმწიფოების უკმაყოფილებას, რომლებიც, წლებია, ამ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ამარაგებდნენ. გამოდის, რომ პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავდა სირიის ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობას, კრახი განიცადა.** იქ სხვადასხვა დაჯგუფება მოქმედებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო და ირანმა სირიაში თავისი სამხედრო წარმომადგენლობა გაზარდა, „ბოევიკებს“ არც ერთი წარმატებული სამხედრო ოპერაცია აღარ განუხორციელებიათ.

საუდის არაბეთი და თურქეთის მეორე არმია, დაახლოებით 100 ათასი ჯარისკაცი, მზად არის და სირია-თურქეთის საზღვარზე ბრძანებას ელოდება, რათა შეიჭრას სირიაში ე.წ. ქურთი ტერორისტების წინააღმდეგ (როგორც ისინი უწოდებენ) ან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. რა თქმა უნდა, ეს არის საბაბი, რადგან წლების განმავლობაში სწორედ ისინი აფინანსებდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს, მაგრამ, რადგან მათი მეშვეობით ასადის დამხობა ვერ მოხერხდა, ახლა კი, უკვე რუსეთისა და ირანის უშუალო ჩართვის შემდეგ, ფანტაზიიის ზღვარს სცდება, რომ ისინი ამას ოდესმე მოახერხებენ. სწორედ იმან გამოიწვია საუდის არაბეთისა და თურქეთის გაღიზიანება, რომ მათ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს.

რუსეთმა გააფრთხილა თურქეთი, თუ ის თავის საჯარისო ნაწილებს დამასკოსთან შეუთანხმებლად შეიყვანს სირიაში, თუნდაც ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ის მას აგრესორად მიიჩნევს და თავს დაესხმება.

**— თურქეთი ნატოს წევრია, როგორი იქნება ნატოს პოზიცია რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის შემთხვევაში?**

— რაც შეეხება ნატოს პოზიციას, ეს ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა, თუ თურქეთს თავს ვინმე დაესხმება, მაგრამ ახლა გამოდის, რომ თურქეთი იჭრება სხვა სახელმწიფოში.

**— ამ შემთხვევაში რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ? როდესაც რუსეთსა და თურქეთს შორის სიტუაცია დაიძაბა, საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის, მათ შორის თავდაცვის მინისტრის მხრიდანაც, ფაქტობრივად, თურქეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის, მხარდამჭერი განცხადებები მოვისმინეთ. ამ ვითარებაში ასეთი განცხადებები მართებულია?**

— ამ სიტუაციაში ნატოს წევრი ქვეყნებიც კი იკავებენ თავს თურქეთის ხმაურიანი მხარდამჭერი განცხადებისგან, ამიტომ ჩვენი განცხადებები ალოგიკურია და **საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი აქტიურობისა და პროთურქული ან პრორუსული განცხადებებისგან, რადგან ეს მეორე მხარის ადეკვატურ რეაქციას გამოიწვევს.** რაკი ვხედავთ, რომ არც ერთი მხარე უკან დამხევი არ არის, ჩვენი რაიმე განცხადება ამ ვითარებაში მხოლოდ გამაღიზიანებელი იქნება და ვერც ვერაფერს გადაწყვეტს.

**— საქართველოში ზოგი ფიქრობს, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების დაბრუნების შანსი გაუჩნდება. გამართლებულია ასეთი პროგნოზი?**

— როგორც ჩანს, ენთუზიასტები გამოჩნდნენ. საქართველო არც ეკონომიკური, არც სამხედრო, არც დიპლომატიური კუთხით დღეს არ არის ისეთი ძლიერი, რომ თუნდაც თურქეთის დაშლით ან რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებით დივიდენდები მიიღოს. პირიქით — ეს დაპირისპირება ჩვენს ეკონომიკურ ვითარებაზე უარყოფითად აისახება, რადგან თურქეთი ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ამიტომ მეც ვფიქრობ და არაერთმა ექსპერტმა თქვა უკვე, რომ საჭიროა ეკონომიკიური ურთიერთო- ▶

# ლგბტ-თა ეროვნული კონფერენცია თუ სამშობლო და პატრიოტიზმი?

**„2016 წლის 22 თებერვალს ლგბტ საკითხებში მეოთხე ეროვნული კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, პროექტის — „გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე სტუდენტობის მგრძნობელობის გაზრდა“ ფარგლებში გაიმართება, რომელიც მხარდაჭერილია კანადის მთავრობის მიერ. პროექტის მიზანია ადამიანის უფლებების სწავლების, ტოლერანტული საზოგადოების მშენებლობის და ლიბერალური ღირებულებების განმტკიცებისთვის სტუდენტების ინფორმირებას გენდერის და სექსუალობის საკითხებთან დაკავშირებით და ამ მხრივ მათი ცნობიერების ამაღლებას...“
— ეს განცხადება (სტილი დაცულია) 21 თებერვალს გაჩნდა სოციალურ ქსელში.**




მოდი, როგორც ილიკო ჩიგოგიძე და ილარიონ შევარდნაძე არჩევდნენ ზურიკელა ვაშალომიძის ლექსებს, ჩვენც განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი განცხადებები, რათა გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე.

**რას ნიშნავს „გბტ საკითხებში ეროვნული“? ვის მოუვიდა თავში აზრად სიტყვა „ეროვნულის“ გამოყენება ლგბტ-კონტექსტში და ვინ დაგეგმა სოდომისტების შაბაში უნივერსიტეტის წმიდათაწმინდა კედლებში? თსუ-ს ხელმძღვანელობამ როგორ გასცა ნებართვა გარყვნილების პროპაგანდის აქციის ჩასატარებლად?..**

როგორ და, უნივერსიტეტის რექტორის იმ სავარძელში, რომელშიც დიდი ეროვნული მოღვაწეები **პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი** და ა.შ. ისხდნენ, დღეს რესპუბლიკელი **ლადო პაპავაა** წამოპლაკული.

მაგრამ ამაზე, ანუ რესპუბლიკელ ხლისტებზე — ქვემოთ. ახლა კი ისევ „ლექსის გარჩევა“ განვაგრძოთ:

**„გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე სტუდენტობის მგრძნობელობის გაზრდაზე“** საუბრისას რომელი მგრძნობელობის გაზრდას უპირებენ ჩვენს შვილებს, ეს მკითხველმა განსაჯოს. მე კი ისევ ილიკო ჩიგოგიძეს დავესესხები — **„ეტყობა უგრძვნია კაცს, უგრძვნია“...** და ვინ არის ეს კაცი? ვინ და კანადის მთავრობა, რომელიც ამ პროექტის ავტორიცაა და დამფინანსებელიც და რომელსაც არ აინტერესებს საქართველოს დუხჭირი ცხოვრება, რადგან **კანადელებისა და, საზოგადოდ, დასავლეთისთვის მთავარი ქართველი ხალხის კეთილდღეობა არ არის, მათ მხოლოდ ის აღელვებთ, რომ „ეროვნული“ ლგბტ-პედერასტები იყვნენ კარგად...**

ერთად გავიხსენოთ, როგორ მივედით იქამდე, რომ ლგბტ-პედერასტები თავიანთ კონფერენციებს ეროვნულს უწოდებენ, რადგან სალადაოდ ნალდად არ გვაქვს საქმე...

პირველად 2012 წლის 17 მაისს გაიფხაკურეს ქართველმა ლგბტ-ებმა, როდესაც 51-ე სკოლასთან დემონსტრაციულად „დაუზასეს“ საპატიო ამერიკელ ლგბტ-სტუმარს და ფილარმონიის ტერიტორიიდან აღლუმით ჩავლა სცადეს პარლამენტის შენობამდე, მაგრამ აღშფოთებულმა ხალხმა (რომელთა შორის მეც გახლდით) ზემელზე, კინოს სახლთან შეაჩერა „პარადი“, რომელსაც მცირე შეხლა-შემოხლა და „ქათმების“ გალახვა მოჰყვა.

**ეს ის პერიოდია, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ახალი მოსულია და ნაცებს თავიანთი ბუნებრივი მოკავშირე პედერასტებისთვის არ სცხელოდათ.**

სამაგიეროდ, ბიძინას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „დასცხათ“ და ნაცების ხელდასხმით, 2013 წლის 17 მაისს პედერასტებს მორიგი აღლუმის მცდელობა ჰქონდათ, რომელიც უკვე ერმა და „ტაბურეტკიანმა“ ბერმა ერთად ჩავშალეთ!

შემდეგ წელს, აბა, რაღას გაბედავდნენ, რადგან **ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა „შემთხვევით“ სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდისა და, საზოგადოდ, ქართული ტრადიციების დაცვის დღედ. და პედერასტებმა ტაქტიკა შეცვალეს — აშკარად დასავლეთიდან ორკესტრირებული, მიზანმიმართული ტელეპროპაგანდის თანხლებით, საკუთარი უფლებების დაცვის „სამართლებრივ გზას“ დაადგნენ — სწორედ ამითაა განპირობებული ლგბტ-თა „ეროვნული“ კონფერენციაც და მაცაცოს მიერ შეტანილი სარჩელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით...**

ამას წინათ ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გააოცა ადამის მოდგმის უმრავლესი კონსერვატიული (წაიკითხე — ზნეობრივი) ნაწილი და, შესაბამისად, შეაშფოთა აგრესიული ნეოლიბერალები (წაიკითხე — უზნეო, ამორალური სატანისტები), ნეოტროცკისტები, კაცობრიობის უმცირესი ნაწილი, რომლებიც, სამწუხაროდ, მართავენ დასავლურ საზოგადოებას და უფრო მეტიც, პრეტენზია აქვთ, მართონ მსოფლიო.

**ვლადიმერ პუტინმა** ისაუბრა ე.წ. რუსული იდეის შესახებ, რომლის ძიებაშიც არის პოსტსაბჭოთა რუსეთი და იქვე კითხვაც დასვა ახალგაზრდების წინაშე — „რა შეიძლება იყოს ის იდეა, რომლის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს რუსეთის ფედერაციაში შემავალი სხვადასხვა ერი და რელიგიური კონფესია?“

ამ რთულ კითხვას რუსეთის პრეზიდენტმა მარტივად უპასუხა:

**— სამშობლო და პატრიოტიზმი!**

დააკვირდით — **რუსეთის ეროვნული იდეა სამშობლო და პატრიოტიზმია. ჩვენ რა იდეოლოგია გვაქვს, ქართველებს? — რა და ნატოს კარზე ფხაჭუნი, რომელიც ახლა** ▶

**თუ პრეზიდენტი ბრძანდებით, გამოიყენეთ ძალაუფლება და გაეცით განკარგულება, დაიწყოს გამოძიება საგარეჯოს რაიონში შუალედური არჩევნების დროს მომხდარი კანონდარღვევის შესაძლო ფაქტზე. მხოლოდ ამ გზით გაირკვევა, ვინ უნდა აგოს პასუხი არჩევნების გაყალბებისთვის.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბების დივერსიფიკაცია, რადგან, თუ მოვლენების განვითარებას დავაკვირდებით, სავარაუდოდ, **თურქეთის სტაბილურობა წარსულს ჩაბარდა და ქვეყანაში ტერორისტული საფრთხეების ალბათობა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც, ბუნებრივია, საქართველოზეც აისახება.**

ცოტა ხნის წინათ საუდის არაბეთში სიკვდილით დასაჯეს შიიტი სასულიერო მოღვაწე **ნიმრ ბაქრ ალ-ნიმრი.** რისთვის დასჭირდა საუდის არაბეთს ეს მოქმედება ასეთ რთულ ვითარებაში? როგორც ჩანს, ეს ერთგვარი გამოწვევა იყო, ვინაიდან საუდის არაბეთი დასავლეთსა და ირანს შორის სანქციების მოხსნის თაობაზე გაფორმებულმა ხელშეკრულებამ გააღიზიანა. საუდის არაბეთი შეეცადა, ირანი წამოეგო პროვოკაციაზე, გაუაზრებელ ნაბიჯზე, რაც ეკონომიკური სანქციების ნიველირებას გამოიწვევდა, მაგრამ ირანმა სატყუარა არ გადაყლაპა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ **მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში ბევრი სახელმწიფო, რომლებიც დღეს ასე ომახიანად ბაქიბუქობენ, საერთოდ შეწყვეტს არსებობას. აქედან გამომდინარე, საქართველომ პრაგმატიზმი უნდა გამოიჩინოს და ზედმეტი აქტიურობისგან ან რომელიმე მხარის გაღიზიანებისგან თავი შეიკავოს.**

ესაუბრა **შორენა ციკლარაშვილი**

◀**ნატოს „ფორტოჩკაზე“ ბობღვით შეგვიცვალა თინა მამიდამ, ასო, ანტიდისკრიმინაციული კანონი და ლგბტ-თა ეროვნული კონფერენცია...** საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ნათლად ხედავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ აშშ-ის მონა, უთავმოყვარეო ხელისუფლებას. **ეს „ასოები“ წარამარა გაიძახიან, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 % აქვს მიტაცებული, მაგრამ ხმას არ იღებენ იმაზე, რომ დანარჩენი 80% ლგბტ-თა დროშის ქვეშ, ბრიუსელს, სტრასბურგსა და ვაშინგტონს აქვთ ოკუპირებული. მათი რეკომენდაციების (წაიკითხე — ბრძანებების) გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება და ეს არის ჩვენი ყველა უბედურების სათავე.** ამის შემყურე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არჩევანს რუსეთის სასარგებლოდ რომ აკეთებს, გასაკვირი სულაც არ არის და ცხადია, რომ ე.წ. რუსული პროპაგანდა, რომლითაც ყურები გამოგვიჭედა ნაც-ქოცების ხელისუფლებამ, სპეკულაციაა, რადგან პრორუსული განწყობილების მატება საქართველოში დასავლეთის მოქმედებების, თსუ-ში მამათმავალთა ეროვნული კონფერენციებისა და სხვა უმსგავსო ქმედებათა შედეგია და არა — რუსული პროპაგანდის.

**დავით მხეიძე**

# ვინ აგებს პასუხს: თოფაძე ხიდაშელის მხილებისთვის თუ რესპუბლიკური პარტია არჩევნების გაყალბებისთვის?

**ჩვენი გაზეთის ამა წლის 10-16 თებერვლის ნომერში (№5) გამოქვეყნდა ინტერვიუ ცნობილ მეწარმესა და პარლამენტართან, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ თავკაც გოგი თოფაძესთან. დეპუტატმა ბრალი დასდო თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელს საგარეჯოს რაიონში შუალედური საპარლამენტო არჩევნებისას კანონმდებლობის დარღვევაში. ვინაიდან ამ მასალის ავტორი ვარ, მინდა, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს რამდენიმე საკითხი განვუმარტო.**





ამა წლის 8 თებერვალს ვესტუმრე ბატონ გოგი თოფაძეს იმის გასარკვევად, რისთვის დაიმსახურა მან „ლიბერალების“ რისხვა, რადგან ბატონი გოგის მიმართვაში პრეზიდენტისადმი, ვითარცა ბიბლიურმა პილატემ (ღმერთო, მაპატიე!), ვერანაირი დანაშაული ვერ ვიპოვე.

ჩემმა მასპინძელმა დაწვრილებით განმიმარტა „კოსმოპოლიტების“ განაწყენიანების მიზეზი, რომელიც აისახა კიდეც გამოქვეყნებულ ინტერვიუში. საუბრის დასასრულს გამახსენდა ქალბატონი ხიდაშელის დაუფარავი ირონიით დასმული კითხვა ჟურნალისტებისადმი: **„რა, თოფაძე დღემდე პარლამენტშია?“** და, ბუნებრივია, დამაინტერესა, როგორ შეაფასებდა ბატონი თოფაძე თავდაცვის მინისტრის ირონიულ ფრაზას. სიმართლე გითხრათ, მისგან ასეთ მწვავე რეაქციას არ ველოდი. ერთია, როცა არჩევნების გაყალბებაში გადანაშაულებს შენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ქალბატონი ინაშვილის სახით და სულ სხვაა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე მითითება თანაგუნდელის მხრიდან.

„საქართველო და მსოფლიოს“ ის ნომერი, რომელმაც **„შეძრა ქვეყანა და ლამის კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშალა“,** 10 თებერვალს გამოვიდა, მაგრამ იმ დღეს ბატონი თოფაძის ბრალდებაზე კრინტი არავის დაუძრავს; და რაოდენ გასაოცარი იყო, როდესაც 11 თებერვალს ატყდა დიდი აურზაური. „აფეთქდა“ რედაქციის ტელეფონები. ვინ აღარ მოითხოვდა ჩემს „ცოდვილ თავს“ — „თვით“ „რუსთავი 2“-ით დაწყებული და რომელიღაც უცნობი საინფორმაციო სააგენტოთი დამთავრებული. ყველას სურდა საუბრის ჩანაწერის ხელში ჩაგდება. სავალალოდ, განგებამ არ დამაჯილდოვა ვაჭრული სულით, თორემ, ჩემ ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, ამ ჩანაწერს სარფიანად მიჰყიდიდა თუნდაც იმავე „რუსთავი 2“-ს. ამის მაგივრად ყველა ტელეკომპანიას, რომელმაც ჩემთან ინტერვიუ ჩაწერა, განვუცხადე: **სანამ პირადად არ დაველაპარაკები ბატონ გოგი თოფაძეს, არ მოვასმენინებ ჩანაწერს, მის მიმართ არავითარ კრიტიკულ განცხადებას არ გავაკეთებ-მეთქი.** სხვათა შორის, ჩანაწერის მოსმენის სურვილი გამოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა **უსუფაშვილმაც**. ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს გამითბობდა სულსა და გულს ე.წ. დიდების შარავანდედი, რომ არა **„ობიექტივის“** სტუდიაში ჟურნალისტ **ილია ჩაჩიბაიას** მიერ გოგი თოფაძისადმი დასმული კითხვები. **გაცემული პასუხებით ბატონმა გოგიმ დაადასტურა, რომ, დიახაც, დაადანაშაულა ქალბატონი ხიდაშელი საგარეჯოში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაში, რაც სხვა არაფერია, თუ არა არჩევნების გაყალბება, და დასძინა: ის მალე აღარ იქნებაო მინისტრი!** დასანანია, რომ ბატონი თოფაძის ამ განცხადების შემდეგ ჩემი პერსონისადმი გაჩენილი ეგზომ დიდი ინტერესი მინავლდა.. სამაგიეროდ, არნახულად გაიზარდა ინტერესი ბატონი თოფაძის მიმართ „ლიბერალების“ მხრიდან, რაც გამოიხატა მის გაკიცხვაში, მასზე ზემოქმედებასა და აშკარა დევნაში. რა თქმა უნდა, აქაც თავი გამოიჩინეს რესპუბლიკელებმა და მათი მავნე იდეოლოგიის თანაზიარმა პირებმა. ყველასთვის ცნობილმა „პროცენტ-ნახევრიანმა ჩამშვებმა“, ბატონმა **ლევან ბერძენიშვილმა** ბრძანა: მე ვთვლი, რომ ბატონი გოგის ადგილი არ არის არც კოალიციაში, არც „მრეწველებში“ და არც პოლიტიკაშიო. „სახელოვან“ ძმას მხარი აუბა **დავით ბერძენიშვილმაც.** მან გოგი თოფაძე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში „ამხილა“. ესეც არ იკმარა და, რესპუბლიკელებისთვის ჩვეული თავხედობით, „მრეწველებს“ კატეგორიულად მოსთხოვა მათი ლიდერისგან გამიჯვნა.

**რესპუბლიკელებს სოლიდარობა გამოუცხადა ყველა ხელისუფლებაზე მორგებულმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა.** ბატონი სოზარი 21 თებერვალს „რუსთავი 2“-ის ეთერში ვიხილე. „როდესაც ბატონი გოგი ლაპარაკობს საგარეჯოს არჩევნებზე, აბსოლუტურად არასწორია ის, რასაც ამბობს, იმიტომ, რომ ყველა არჩევნები, რომელიც კი ჩატარდა 2012 წლის შემდეგ, იყო სამაგალითო და ევროპულ დონეზე ჩატარებულიო“, — განაცხადა მინისტრმა. ერთი დეტალი — საუბრისას ბატონი სუბარის ზურგს უკან მოთხილამურემ გაიელვა და გავიფიქრე, სოზარმა, ალბათ, წეროვნისა და წილკნის დაჭაობებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სამაჩაბლოელ დევნილებს ელემენტარული ყოფა-ცხოვრების საკითხები მოუგვარა და ტიტანური შრომით გადაღლილი, გამოფიტული ორგანიზმის აღსადგენ პროცედურებს ახლა ბაკურიანში იტარებს-მეთქი.

ყველაზე მეტად კი გამაოცა 19 თებერვალს გამართულ მთავრობის სხდომაზე ახალი პრემიერმინისტრის განცხადებამ, **თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებები აბსოლუტურად მიუღებელია და ჩირქს სცხებს არა ერთ პარტიას, არამედ მთლიანად მთავრობასო.**

მიჩნდება კითხვა ბატონი კვირიკაშვილისადმი — **როდიდან გახდა სიმართლის თქმა „ჩირქის მოცხება“?! თუ ასე განაგრძობთ, ბატონო გიორგი, მალე თქვენც ვეღარ გიხილავთ პრემიერმინისტრის პოსტზე. სიმართლეს, როგორც ცეცხლს, არ ეთამაშებიან!**

ბატონი გოგი თოფაძე ერთადერთი აღმოჩნდა მმართველი გუნდიდან, რომელმაც კოალიციის გასაჯანსაღებლად თქვა სიმართლე საგარეჯოში გაყალბებულ არჩევნებზე და რა მიიღო სამაგიეროდ? — პოლიტიკური დევნა თავისივე თანაგუნდელებისგან. საინტერესოა, **სად გაქრნენ ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დამცველები(?!), გოგი თოფაძეც ხომ ადამიანია და, მაშასადამე, უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ პირზე ან მიმდინარე მოვლენებზე. რატომ დაიგუბეს პირში წყალი „ადამიანის უფლებათა დამცველებმა“, როდესაც რესპუბლიკელებმა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე აიძულეს, დაეტოვებინა თანამდებობა? რა არ მოეწონათ უცხოური გრანტებით გაზულუქებულ, „დემოკრატიული ფასეულობების“ დამცველებს ბატონ ბრეგაძეში? ის, რომ უარყოფითად მოიხსენია ე.წ. ლგბტ-ს ლიდერი, ვინმე ვაჭარაძე? არ მოეწონათ, რომ გაილაშქრა ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ? იმავე ვაჭარაძისგან შეურაცხყოფილი პატრიარქი რომ დაიცვა?**

ან ბატონ თოფაძეს ბრალს რომ სდებენ „მეოცნებეები“, თითქოს თავისი „დაუფიქრებელი“ განცხადებით მან გუნდურობის პრინციპი დაარღვია, რატომ „ავიწყდებათ“, რომ ეს პრინციპი პირველმა თვითონ ქალბატონმა ხიდაშელმა გათელა ფეხქვეშ, როდესაც ჟურნალისტებს დაუსვა ირონიული კითხვა: „რა, თოფაძე დღემდე პარლამენტშია?“.




თინა ხიდაშელის „ფეისბუკ-სტატუსი“

აგეტეხათ მაშინვე განგაში, მოგეწოდებინათ ხიდაშელისთვის, მამის ტოლი კაცისთვის ბოდიში მოეხადა, იქნებ არც ბატონ გოგის დაედანაშაულებინა ქალბატონი თინა არჩევნების გაყალბებაში?

დასასრულ, მინდა, კითხვით მივმართო ქვეყნის პრეზიდენტს — **გიორგი მარგველაშვილს: ვინ ხართ თქვენ? დამოუკიდებელი საქართველოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნის მმართველი თუ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ახირებების უყოყმანო შემსრულებელი?..**

**თუ პრეზიდენტი ბრძანდებით, გამოიყენეთ ძალაუფლება და გაეცით განკარგულება, დაიწყოს გამოძიება საგარეჯოს რაიონში შუალედური არჩევნების დროს მომხდარი კანონდარღვევის შესაძლო ფაქტზე. მხოლოდ ამ გზით გაირკვევა, ვინ უნდა აგოს პასუხი არჩევნების გაყალბებისთვის.**

აგრეთვე იზრუნეთ, რომ შეწყდეს გამოთქმული განსხვავებული აზრის გამო დეპუტატ გოგი თოფაძის პოლიტიკური დევნა რესპუბლიკური პარტიის მიერ. საქმისადმი ასეთი მიდგომა არის დემოკრატიის ანა-ბანა და, თუ ასე არ ფიქრობთ, მაშინ ან თქვენი ადგილი აღარ არის პრეზიდენტის სავარძელში, ან ასეთი „დემოკრატიის“ ადგილი — ქართულ პოლიტიკაში.

**გიორგი კორძაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოსმალეთმა 1787-91 წლების ომში რევანშის აღება სცადა, მაგრამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი იწვნია — იასის საზავო ხელშეკრულების პირობებით რუსეთმა სამუდამოდ დაისაკუთრა ყირიმი, ტამანის ნახევარკუნძული, ყუბანი და ა.შ. ამასთანავე, თურქეთმა აღიარა 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე და ივალდებულა, რომ მის მიმართ არავითარ მტრულ მოქმედებებს არ განახორციელებდა.**

# ვის მხარეზე უნდა იყოს საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში?

**XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ისტორიამ რუსეთ-თურქეთს შორის სულ 11 ომი იცის, რომელთაგან, სამის გარდა, ყველა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ეს ომები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმ თვალსაზრისით არის, თუ რა სარგებელი ნახა ან პირიქით — რა ზიანი მიადგა საქართველოს ამ ომებისგან.**

ათვლა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომიდან იწყება და ყველა შემდგომ ომს მოიცავს... ამ ომში საქართველოც ჩაება ირიბად: აღმოსავლეთში — ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II**, ხოლო დასავლეთში — **სოლომონ I.**

ერეკლე II სამცხე-ჯავახეთის დაბრუნების განზრახვა ამოიჭრა გულში, ხოლო სოლომონ I აჭარისა და თურქთაგან მიტაცებული სხვა მიწების დაბრუნების იმედი გაუჩნდა.

საბოლოოდ, **ორივე ქართველი მეფე ნაწილობრივ იმედგაცრუებული დარჩა ტოტლებენის მუხანათური ღალატის გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერეკლეს სამხედრო ნიჭმა ასპინძის ბრძოლაში ტრიუმფალური გამარჯვება მოუტანა საქართველოს, რომელმაც დიდი ხნით დაუკარგა თურქებს ახალციხის საფაშოდან ქართლში თარეშის სურვილი.**

**ქუჩუკ-კაინარჯის** ზავის 23-ე მუხლი კი პირდაპირ საქართველოს ეხებოდა, ოსმალეთი „საზეიმოდ“ აცხადებდა, რომ იგი ამიერიდან „სამუდამოდ“ იღებდა ხელს ხარკის მოთხოვნაზე იმერეთისგან და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროებაზე. ხელშეკრულებაში იყო სადავო ადგილებიც — იმერეთის ციხესიმაგრეებს, რომლებიც რუსეთის ჯარმა გაათავისუფლა (ბაღდადი, შორაპანი, ქუთაისი), რუსეთი იმის საკუთრებად ცნობდა, „ვისაც იგი ძველთაგან ეკუთვნოდა“, ხოლო ოსმალეთს უკრძალავდა საქართველოში ახალი რაიონების (ის, რაც „ძველთაგან არ ეკუთვნოდა“) მითვისებას. **დამარცხებულ ოსმალეთს სოლომონმა არ მისცა ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების სადავო მუხლების სათავისოდ გამოყენების საშუალება — ქვეყანა დამშვიდდა და მოსახლეობამაც მნიშვნელოვნად იმატა.** თუმცა ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა და ოსმალეთმა 1787-91 წლების ომში რევანშის აღება სცადა, მაგრამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი იწვნია — იასის საზავო ხელშეკრულების პირობებით რუსეთმა სამუდამოდ დაისაკუთრა ყირიმი, ტამანის ნახევარკუნძული, ყუბანი და ა.შ. ამასთანავე, **თურქეთმა აღიარა 1783 წლის გიორგიევსკი ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე და ივალდებულა, რომ მის მიმართ არავითარ მტრულ მოქმედებებს არ განახორციელებდა.**

**რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის შემდეგ კი ქართველები ერთმორწმუნე რუსებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ჯერ 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომელიც ბუქარესტის ზავით დამთავრდა და რომლის მიხედვითაც თურქეთმა აღიარა დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლა; შემდეგ 1828-1829 წლების ომმა ახალციხე დაგვიბრუნა, ხოლო 1877-78 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს.** ზემოთქმული, ვფიქრობ, ნათელი დასტურია იმისა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ყველა დაპირისპირების შემთხვევაში საქართველო მეტ-ნაკლებად ყოველთვის მოგებული რჩებოდა...

ალსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებულ ომებში რუსეთი მარტოდმარტო იბრძოდა, უფრო მეტიც, იმჟამინდელი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების დიპლომატია და არა მხოლოდ დიპლომატია, ოსმალეთს უჭერდა მხარს.

ასეთი ფაქტების სიმრავლემ ათქმევინა მოგვიანებით რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე მესამეს** ფრთიანი ფრაზა, რუსეთის მოკავშირეები, მხოლოდ მისი არმია და ფლოტიაო... სწორედ საფრანგეთისა და ინგლისის პირდაპირი მონაწილეობის შედეგად განიცადა რუსეთმა დროებითი მარცხი 1854-56 წლებში ოსმალეთთან ომში.

ალარაფერს ვამბობ პირველ მსოფლიო ომზე, რომელში გამარჯვებაც რუსეთს სწორედ ანტანტელმა „მოკავშირეებმა“ — საფრანგეთმა და ბრიტანეთმა „მოპარეს“. 1917 წელს ბრიტანეთმა თავის ელჩს 3 მილიონი მისცა რუსეთში არეულობების მოსაწყობად და აკი მოაწყვეს კიდეც ჯერ თებერვლის რევოლუციის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალების სახით, რომლის შედეგადაც რუსეთის მართლმადიდებელი მონარქია დაემხო, რუსეთის არსებობა კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. რომ არა ეს მუხანათობა, დღეს შეიძლებოდა, თურქთაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთიც საქართველოსი ყოფილიყო, ფორმალურად თუნდაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც...

არადა, მოხდა გაუგონარი რამ: **ანტანტის ბლოკი, რომელშიც რუსეთი შედიოდა, გამარჯვებული დარჩა პირველ მსოფლიო ომში, მაგრამ პარიზში გამართულ გამარჯვების აღლუმში რუსეთის ნაცვლად აშშ მონაწილეობდა. აშშ, რომელიც ამ ოთხწლიანი სასაკლაოს ბოლო თვეებში ჩაება ომში და, აქედან გამომდინარე, მსხვერპლი პრაქტიკულად არ გაუღია, მაგრამ ომში გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ტორტის ყველაზე მსუყე ნაჭერი მას ერგო. ომში ყველაზე დიდი მსხვერპლის გამღები რუსეთი კი სამოქალაქო ომის ხანძარში იწვოდა და, რომ არა სტალინის გენია, დღეს რუსეთი საერთოდ არ იარსებებდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე...**



**დამფრთხალი თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ სხვა კოალიციის შექმნაზე ჩალიჩობს და ამ კოალიციაში უკრაინასა და საქართველოს განიხილავს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ანტიეროვნული რესპუბლიკელები დომინირებენ და თავდაცვის მინისტრი რესპი თინა ხიდაშელია, საქართველო რეალური საფრთხის წინაშეა!**

ნაცნობი სურათია, არა?

მას შემდეგ, რაც რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვა დაიწყეს (გასული წლის 30 სექტემბერიდან) სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შემზარავი ტერაქტი მოხდა პარიზში და, საფრანგეთის პრეზიდენტი თითქოს გამოფხიზლდაო, რუსეთთან სამხედრო მოკავშირეობის კონტურებიც გამოისახა: ფრანსუა ოლანდი მოსკოვში ეახლა პუტინს, მაგრამ ეგ იყო და ეგ... ისევე, როგორც ოლანდი დაუბრუნდა საწყის ანტირუსულ პოზიციებს, საფრანგეთის ავიამზიდი „შარლ დე გოლიც“, როგორც შეცურდა ხმელთაშუა ზღვაში, ისევე უკან გამოცურდა და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მარტოდმარტო მებრძოლ რუსეთს, როგორც ზემოხსენებულ ომებში, დღესაც უპირისპირდება დასავლეთის დიპლომატია და არა მხოლოდ...

**მას შემდეგ კი, რაც პუტინმა ჯერ კასპიის ზღვის აკვატორიიდან უზუსტესი დარტყმები განახორციელა ფრთოსანი რაკეტებით, იგივე გაიმეორა წყალქვეშა ნავიდან და ბრძოლაში შორს მოქმედი ავიაციაც ჩართო. დასავლეთმა დაინახა, რომ რუსეთის სამხედრო ტექნიკა არც ისეთი ჟანგიანი ყოფილა, როგორიც ნატოში ეგონათ.** და რუსეთმა იქიდან მიიღო დარტყმა, საიდანაც არ ელოდა: სირიაში თურქების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება, იმ თურქეთისა, რომელთანაც რუსეთს თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, მართლაც ზურგში დანის ჩარტყმა იყო. ამის შემდეგ უკან დასახევი გზა ორივე ქვეყანას მოჭრილი აქვს...

ვითარებას ისიც მატებს სიმწვავეს, რომ ნატომ ერდოღანისთვის სასურველი რეაგირება ვერ შეძლო რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში. უფრო მეტიც — ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრ **ჟან ასელბორნის** განცხადებით, ნატო მოკავშირეს მხარს მხოლოდ პირდაპირი თავდასხმის შემთხვევაში დაუჭერს.

მიუნხენში ამას წინათ გამართულ ე.წ. უსაფრთხოების სამიტის მიმდინარეობისას, ერთ-ერთ ბრიფინგზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ** რომელიღაც ჟურნალისტის ანტირუსულ კითხვას კითხვითვე უპასუხა: **„რა გინდათ — რუსეთს ომი დავუწყოთ?“.**

ამ უკიდურესად დაძაბულ ვითარებას ცეცხლზე ნავთი დაასხა გაეროს უშიშროების საბჭომ. მან არ მიიღო რუსეთის რეზოლუცია, რომელიც სირიის სუვერენიტეტის დაცვასა და სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკურ პროცესში გადაყვანას გულისხმობდა. ამ რეზოლუციის „ჩამგდებთა“ შორის უშიშროების საბჭოს ის სამი წევრიც იყო, რომლებსაც ვეტოს უფლება აქვთ: **აშშ, ბრიტანეთი და საფრანგეთი...**

დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, გაეროს უშიშროების საბჭომ სიტუაცია საშიშ, გამოუვალ ჩიხში შეიყვანა.

**ყოველივე ამის ფონზე დამფრთხალი თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ სხვა კოალიციის შექმნაზე ჩალიჩობს და ამ კოალიციაში უკრაინასა და საქართველოს განიხილავს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ანტიეროვნული რესპუბლიკელები დომინირებენ და თავდაცვის მინისტრი რესპი თინა ხიდაშელია, საქართველო რეალური საფრთხის წინაშეა!**

**რესპუბლიკელები არად დაგიდევენ იმ ფაქტს, რომ ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი არც მალავს პანთურქულ მისწრაფებებს. თავის დროზე ყოფილმა საგარეო მინისტრმა და დღეს პრემიერმა ახმედ დავითოღლუმ საჯაროდ განაცხადა, რომ თურქეთის მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის აღდგენაა, სტამბულიდან ბათუმის ჩათვლით, ვიდრე სარაევომდე?!**

ჩვენი „თურქი მეგობრებისთვის“ სასურველი სცენარით მიდიოდა დღემდე საქმე — იქით სირიასა და ერაყში ვითომ ტერორისტებს ებრძოდა (სინამდვილეში ქურთებს ჟლეტდა) და აქეთ აჭარაში თურქთა ეკონომიკურ-იდეოლოგიურ ექსპანსიას ეწეოდა...

**ერდოღანის ბოდვით იდეებს წერტილი რუსეთმა დაუსვა სირიაში, რომელსაც თურქები ერაყთან ერთად ისევე განიხილავენ დიდ თურანში, როგორც აჭარას.**

მოკლედ, მხოლოდ უფალმა იცის, რა მოხდება ხვალ — რუსეთ-თურქეთს შორის დიდი ომი გამორიცხული არ არის და, ზემოთ მოყვანილი ისტორიული ექსკურსიდან გამომდინარე, მკრეხელობაა კითხვის დასმაც კი — **რუსეთ-თურქეთის ცივი თუ ცხელი ომის შემთხვევაში ვის მხარეზე უნდა იყოს საქართველო?**

**დავით მხეიძე**

**რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის შემდეგ კი ქართველები ერთმორწმუნე რუსებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ჯერ 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომელიც ბუქარესტის ზავით დამთავრდა და რომლის მიხედვითაც თურქეთმა აღიარა დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლა; შემდეგ 1828-1829 წლების ომმა ახალციხე დაგვიბრუნა, ხოლო 1877-78 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს. ზემოთქმული, ვფიქრობ, ნათელი დასტურია იმისა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ყველა დაპირისპირების შემთხვევაში საქართველო მეტ-ნაკლებად ყოველთვის მოგებული რჩებოდა...**

„ვასილ მჟავანაძე ნამდვილად ღირსია, რომ იყოს მისი სახელწოდების ქუჩა თბილისში. როდესაც ვლაპარაკობთ ვასილ მჟავანაძეზე, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს მისი პიროვნული ღირსებები. ის იყო პატრიოტი, უაღრესად წესიერი ადამიანი, პრინციპული. მის ხელში განვითარდა საქართველო ეკონომიკურად და სოციალურად. ის ხელს უწყობდა ადამიანთა კეთილდღეობას. 18 წელი ხელმძღვანელობდა ქვეყანას და მის მიმართ ხალხი ყოველთვის დადებითად იყო განწყობილი. ვასილ მჟავანაძე, როგორც ჭეშმარიტი სახელმწიფო მოხელე, პირველ რიგში, იცავდა ქართველი ხალხის ინტერესებსა და ტრადიციებს“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ უნდა იყოს თბილისში ვასილ მჟავანაძის სახელობის ქუჩა, ბუშის კი — არა



## როგორ გადაარჩინა ვასილ მჟავანაძემ თუშეთის მოსახლეობა გასახლებას, ხოლო ხახულის კარედი — გაყიდვას

**ყველა ქვეყანაში ქუჩებს, მოედნებს, სკვერებსა და ა.შ. იმ ადამიანების სახელებს არქმევენ, რომლებსაც მნიშვნელოვანი რამ გაუკეთებიათ ამ ქვეყნისთვის, თბილისში კი არის ქუჩები, რომელთა სახელწოდებაც ქართველებს არაფერს ეუბნება. მაგალითად, ბევრმა არ იცის, რა გაუკეთა საქართველოს და ვინ იყო იბრაჰიმ ისპაჰანლი, რომლის სახელიც დაარქვეს ვახტანგ გორგასლის მეოთხე შესახვევს. გაუგებარია, რატომ დაარქვეს სტალინის სახელობის სანაპიროს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის — ჰეიდარ ალიევის სახელი; რა დამსახურებისთვის დგას აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის — რონალდ რეიგანის ძეგლი თბილისში და რატომ ჰქვია დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას აშშ-ის კიდევ ერთი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის სახელი? ეს, როგორც ჩანს, პოლიტიკური კონიუნქტურის გამოძახილი იყო და ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევითა და რეიგანის ძეგლის დადგმით „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს თავიანთ ოკეანისგაღმელ პატრონებს. არადა, საქართველოში იყვნენ და არიან პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. ერთ-ერთი მათგანია ვასილ მჟავანაძე, რომელიც საქართველოს მართავდა საბჭოთა კავშირის პერიოდში —1953-1972 წლებში. საზოგადოების ბევრი წარმომადგენლის აზრით, ვასილ მჟავანაძე ნამდვილად იმსახურებს, რომ მისი სახელი დაერქვას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას... გვესაუბრება ვასილ მჟავანაძის ქალიშვილი, ქალბატონი ნინა მჟავანაძე.**



**— ქალბატონო ნინა, ქართველი საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი თვლის, რომ თქვენი მამის სახელი აუცილებლად უნდა ერქვას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას...**

— რომელიმე ქუჩისთვის მამაჩემის სახელის დარქმევის იდეა ჩემგან არ მოდის. მე საპატრიარქოში ვმუშაობ და ჩვენი ხშირი სტუმრები არიან „ჩოხოსნები“. სწორედ მათ შემომთავაზეს, რომელიმე ქუჩისთვის დაგვერქმია ვასილ მჟავანაძის სახელი. ვუთხარი, არ ვარ ის ადამიანი, რომელიც პიარს გაუკეთებს საკუთარი მამის სახელს-მეთქი. მერე ხალხი დაიწყებდა ლაპარაკს, რომ, აი, შვილს უნდაო... არა, ბატონო! დიდი მადლობელი ვარ ჩოხოსნების, რომ მოვიდნენ და მკითხეს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო. მადლობელი ვარ, მამას ასეთ პატივს რომ სცემენ და ახსოვთ. დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, მაგრამ რატომღაც მიჩუმათდა ეს ყველაფერი, გამოგვიცხადეს, — კომუნისტი იყოო. არადა, თბილისის ქუჩებს რომ გადავხედოთ (მელიქიშვილი და ა.შ.), ყველა კომუნისტი იყო. მამას მართლაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, მაგრამ ჩემგან ცუდი საქციელი იქნება, მოვითხოვო მისი სახელის დარქმევა რომელიმე ქუჩისთვის, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ ასე მოხდება, უბედნიერესი ვიქნები. უბრალოდ, გულსატკენია, რომ ბევრმა არ იცის ვასილ მჟავანაძის დამსახურება საქართველოს წინაშე. ხალხი გაიძახის, — აი, რა ხდებოდა კომუნისტების დროსო და რა ხდებოდა? იმაზე უარესი ხდებოდა, რაც მიშას მმართველობის პერიოდში?..

**— თქვენი მამის ცხოვრებიდან საზოგადოებისთვის უცნობ დეტალს ხომ ვერ გაიხსენებთ?**

— მინდა, ერთი ამბავი გიამბოთ მამაზე, რომელიც ბევრმა არ იცის. მეც 5 წლის წინათ შევიტყვე, როდესაც მასზე ვაგროვებდი მასალებს. მეუფე დავითის ეპარქიაში ერთი დედაოა და მას ვთხოვე, გაეკითხა, ვინმემ ხომ არ იცოდა რამე მამას საქმიანობაზე თუშეთში. მირეკავს ცოტა ხანში და მეუბნება, — ნინა, საინტერესო ამბავი შევიტყვე ერთი პიროვნებისგან, რომელიც თვითონ ჩამოვა შენთან და მოგიყვებაო. მართლაც, რამდენიმე დღეში მოვიდა ის ადამიანი ჩემთან და მომიყვა, რომ თურმე თუშებს გადასახლებას უპირებდა **ნიკიტა ხრუშჩოვი**. 1958 წელს ხრუშჩოვთან შესულა ცნობილი დაღესტნელი პოეტი **რასულ გამზათოვი** და უთქვამს, თუშეთში, რომელიც დაღესტანს ესაზღვრება, არავინ ცხოვრობს და, თუ შეიძლება, დავაყენოთ დაღესტნისთვის თუშეთის გადაცემის საკითხიო. იმხნად ტერიტორიების გადაცემა პრობლემა არ იყო. მამამ ეს ამბავი რომ შეიტყო, დაურეკა ხრუშჩოვს და უთხრა: ნიკიტა სერგეევიჩ, თუშეთში 30 წელია, არ ვყოფილვარ, მაგრამ, ვფიქრობ, იქ საკმაოდ ბევრი ადამიანი ცხოვრობს და როგორ შეიძლება მათი გადასახლებაო?! ხრუშჩოვმა უთხრა, წადი, გაეცანი ვითარებას, რა ხდება, როგორი სიტუაციააო. წავიდა. გზა თუშეთში ძალიან ცუდია, ამიტომ ცხენებით ავიდნენ მამაჩემი, რაიკომის მდივანი და კა-გე-ბეს უფროსი ინაური. მამამ რომ ნახა თუშეთის სილამაზე და რა დღეში იყვნენ თუშები, რომლებსაც დანგრეულ სახლებში უწევდათ ცხოვრება, ელექტროენერგია არ ჰქონდათ და მცირერიცხოვანი მოსახლეობა მხოლოდ ცხვრებს უვლიდა (სათანადო პირობების უქონლობის გამო მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით ადიოდა თუშეთში), როგორც კი თბილისში ჩამოვიდნენ, სასწრაფოდ შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ აეტანათ გენერატორები, სახლებში დაეყენებინათ და ღამე აემუშავებინათ. რატომ კეთდებოდა ეს? იმიტომ, რომ თურმე ხრუშჩოვი ძალიან ეჭვიანი კაცი იყო და აუცილებლად შეამოწმებდა, დასახლებული იყო თუ არა თუშეთი. მამამ დაურეკა ნიკიტას, — აქ ხალხი ცხოვრობს, უბრალოდ, არ აქვთ გენერატორები, ღამე სახლები რომ გაანათონ, ისე კი, ბევრნი არიანო. თუშეთში აიტანეს 100-ზე მეტი გენერატორი. მამამ იცოდა ხრუშჩოვის ხასიათი, ამიტომ ღამე ადიოდნენ თუშეთში და ამუშავებდნენ გენერატორებს, თითქოს იქ მართლა ბევრი ადამიანი ცხოვრობდა. სამი ღამე გადააფრენდა ხოლმე ხრუშჩოვი თვითფრინავს თუშეთის თავზე. დაინახავდა პილოტი, რომ განათებული იყო და მოახსენებდა ხრუშჩოვს. როდესაც დარწმუნდა ნიკიტა, თუშეთში მართლაც ბევრი ადამიანი ცხოვრობსო, გადასახლების იდეაც გაუქრა. აი, ასე გადარჩა თუშეთი... რამდენიმე დღის წინათ მყავდა სტუმარი — წალკელი ბერძენი, რომელიც 40 წელია, წასულია ყაზახეთში, საერთო ნაცნობი გვყავს, უბრალოდ, მოვიდა და მომიყვა: „იმხანად პატარა ვიყავი, მესამე კლასში, როცა 18 წლის წალკელმა ბიჭმა მოიპარა ერთი ტომარა ფქვილი. ეს მაშინვე ვასილ პავლოვიჩს შეატყობინეს, — ფქვილი მოიპარა და ციხეში ჩავსვამთო. მან კი უთხრა, ციხეში კი არ უნდა ჩასვათ, ჯარში უნდა გაუშვათ სასწავლებლად, ადამიანს შიოდა და ამიტომ მოიპარაო...“ წარმოიდგინეთ, ამ ადამიანს ეს ამბავი ახსოვდა, მოვიდა და მადლობა გადამიხადა.

ხახულის კარედის ეპიზოდს გავიხსენებ, რომელიც ბატონმა **როინ მეტრეველმა** გვიამბო. ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით, ეს სიწმინდე — ხახულის კარედი, თურმე ერთ ამერიკელისთვის უნდა მიეყიდათ — თბილისში ჩამოსულან ეს ამერიკელი და კულტურის საკავშირო კურატორი კრემლიდან. მუზეუმის შეშფოთებული დირექტორი **შალვა ამირანაშვილი** ტელეფონით დაუკავშირდა ვასილ მჟავანაძეს. მამას უთქვამს, — დაადე ბოქლომი მუზეუმს და ერთი კვირით სადმე გადაიკარგეო. ბატონი შალვა ასეც მოიქცა. ამ ერთი კვირის განმავლობაში მამამ მოახერხა ხრუშჩოვის გადარწმუნება და ხახულის კარედი გაყიდვას გადარჩა. დღეს ეს სიწმინდე საქართველოშია.



**ბაკურ გულუა, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე:**

— ვასილ მჟავანაძე ნამდვილად ღირსია, რომ მისი სახელწოდების ქუჩა თბილისში იყოს. როდესაც ვლაპარაკობთ ვასილ მჟავანაძეზე, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს მისი პიროვნული ღირსებები. ის იყო პატრიოტი, უაღრესად წესიერი ადამიანი, პრინციპული. მის ხელში განვითარდა საქართველო ეკონომიკურად და სოციალურად. ის ხელს უწყობდა ადამიანთა კეთილდღეობას. **18 წელი ხელმძღვანელობდა ქვეყანას და მის მიმართ ხალხი ყოველთვის დადებითდ იყო განწყობილი. ვასილ მჟავანაძე, როგორც ჭეშმარიტი სახელმწიფო მოხელე, პირველ რიგში, იცავდა ქართველი ხალხის ინტერესებსა და ტრადიციებს.**



**ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი, პოლიტიკოსი:**

— ვასილ მჟავანაძის ქუჩა აუცილებლად უნდა იყოს თბილისში. ამ ადამიანმა ურთულეს პერიოდში გამოიყვანა საქართველო მძიმე მდგომარეობიდან. სწორედ მჟავანაძის მმართველობის პერიოდში აშენდა თბილისში ბევრი უბანი და სამრეწველო ცენტრი. **ისეთი ადამიანების სახელობის ქუჩებია თბილისში, არც კი ვიცით, ვინ არიან ან რა დამსახურება აქვთ ქართველი ხალხის წინაშე და ვასილ მჟავანაძისა არ უნდა იყოს? ზოგიერთ ქუჩას ისეთი ადამიანების სახელები ჰქვია, რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ თბილისისთვის, ნამყოფებიც კი არ არიან აქ და უხერხულია, რომ ისეთი მოღვაწის ქუჩა არ არსებობდეს, რომელსაც ნამდვილად დიდი დამსახურება აქვს ქართველი ხალხის წინაშე. ვასილ მჟავანაძე საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული ადამიანი იყო. მას აუცილებლად უნდა იცნობდეს და პატივს სცემდეს მომავალი თაობა.**



**გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე:**

— რატომ გიკვირთ, რომ თბილისში არ არის ვასილ მჟავანაძის სახელობის ქუჩა და უზარმაზარი პორტრეტით არის წარმოდგენილი ჯორჯ ბუშის ქუჩა?! რატომ გიკვირთ, რომ ქართველი გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ოქროსვარსკვლავიანი, უკეთილშობილესი კაცის — ვასილ მჟავანაძის მშობლიურ ქალაქშიც არ დგას პატარა ბიუსტი, მაშინ, როდესაც უცოდინარ და დამთხვეულ კაცს, რონალდ რეიგანს, ჩვენთან ყოფილი სტალინის სახელობის სანაპიროზე ძეგლი დაუდგეს?

თბილისში, სტალინის ყოფილ სასულიერო სემინარიაში, ერთი პატარა აბრის გაკვრა — „აქ სწავლობდა ი.ბ სტალინი“, კანონის ძალით არის აკრძალული. ევროპის შუაგულში, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში კი, სადაც მხოლოდ სამ კვირას იმყოფებოდა სტალინი, უზარმაზარი მემორიალური დაფაა, რომელზეც წერია: ,,აქ ცხოვრობდა ი.ბ სტალინი, რომელმაც შექმნა გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ხოლო ბრაზილიის ყველაზე დიდ ქალაქ რიო დე ჟანეიროში ერთ-ერთი პროსპექტი მარშალი იოსებ სტალინის სახელობისაა.

ჩვენ ასეთი ერი ვართ, ასეთნი ვართ ქართველები, რაც შესანიშნავად შენიშნა დიდმა **ილია ჭავჭავაძემ:**

„მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**ცნობისათვის: ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე დაიბადა 1902 წლის 20 სექტემბერს ქუთაისში (გარდაიცვალა 1988 წლის 31 აგვისტოს მოსკოვში). ქართველი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1944), სოციალისტური შრომის გმირი (1962). 1924 წლიდან მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1937 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია. დიდი სამამულო ომის (1941-1945) წლებში იყო შენაერთების კომისარი, არმიების სამხედრო საბჭოს წევრი. 1945-1953 წლებში — ხარკოვის, კიევისა სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოს წევრი. 1953-1972 წლებში — საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მის დროს აშენდა სპორტის სასახლე, საფუძველი ჩაეყარა მეტროპოლიტენის მშენებლობას და დაარსდა სტალინის მუზეუმი.**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მედიასაშუალებები და განსაკუთრებით — ტელევიზიები სწორედ, აი, ამ ადამიანებს იწვევენ ნებისმიერი საჭირბოროტო თემის განსახილველად ეთერში და ისინიც მიედ-მოედებიან, რა თემაზეც უნდა იყოს საუბარი — დაწყებული რომელიმე რაიონში მოსავლის აღების სიძნელეებით, ორბიტულ სადგურზე კოსმოსური ქარიშხლის მიერ წარმოქმნილი გრავიტაციული ღრუბლების ხვედრითი წონის განსაზღვრის მეთოდებით დამთავრებული! მათთვის არ არსებობს თემა, რომელზეც არ ისაუბრებენ.**

# «საბჭოთა კომუნისტური» წერილი «პატრიოტ კაპიტალისტებს»

**რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, ეს საგაზეთო პუბლიკაცია ე.წ. ღიმილაკებით დამეწყო... მაგრამ, ერთი ის, რომ „ინტერნეტ-ჩეთში" არ ვარ და მეორეც, არც მთლად ეგრე სასაცილოდ გვაქვს საქმე... იმთავითვე იოლად რომ გაერკვეს მკითხველი, მოვიყვან ნიმუშს, თუ როგორი ტიპის აზროვნება, ანუ რა სახის ლოგიკური კრიტერიუმი მკვიდრდება დღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.**



დღეს ქართველი საზოგადოების ე.წ. მოაზროვნე ნაწილი შემდეგნაირად აზროვნებს:

ფრაზები — „მე ჩემი საკუთარი აზრი გამოვთქვი" ან „განსხვავებული აზრის მოსმენის კულტურა უნდა გაგაჩნდეთ" — „მოდურ" გამოთქმებად გადაიქცა და არ გაგიკვირდეთ, თუ ვინმე ასეთ რამესაც განაცხადებს: „ჩემი აზრით, ბაკურ სვანიძე გაქანებული ლოთი და გამოუსწორებელი ნარკომანია".

რა თქმა უნდა, ნორმალურ ადამიანს უჩნდება კითხვა — საიდან იცით ეს?

და რა გგონიათ, პასუხი პრობლემაა?

ინებეთ:

„ეს ჩემი პირადი აზრია. რა იყო, არ მაქვს უფლება, ჩემი აზრი მქონდეს?"

შეუვალი ლოგიკაა! რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს აზრი, რომ დღისით დედამიწას, მზის კი არა, მთვარის სხივები ეცემა! მერე რა, რომ, თუ დღისით დედამიწიდან მზე ჩანს და ღამით მთვარე, ასტრონომიული აქსიომაა?

ასეთ ადამიანებს მაინც „აქვთ უფლება, საკუთარი აზრი გააჩნდეთ"!

მეტიც — შეიძლება, ბაკურ სვანიძეც წაიყვანონ შესაბამის ექსპერტიზაზე, რომელიც დაადგენს, რომ „ბაკურ სვანიძის ორგანიზმში არ არის არც ერთ მილიგრამი ნარკოტიკული ნივთიერება და არც ერთი პროცენტი ალკოჰოლი".

ამ დროს თუ კითხვას დაუსვამთ თანამედროვე ქართველ „მოაზროვნეს" — ა, ბატონო ექსპერტიზის დასკვნა, ბაკურ სვანიძე ლოთი და ნარკომანი არ არის და ახლა რაღას იტყვიო, — გგონიათ, წარბს შეიხრის?

არა! მას მზად აქვს „ყველაფერზე რომ მიდის", ისეთი პასუხი:

**„მე ჩემი განსხვავებული აზრი გამოვთქვი იმის შესახებ, რომ ბაკურ სვანიძე ნარკომანია! მე ხომ არ მითქვამს, რომ ეს ექსპერტის დასკვნაა? ის, რომ ბაკურ სვანიძე არის ლოთი და ნარკომანი, ჩემი პირადი აზრია და საერთოდ, დროა, მიეჩვიოთ განსხვავებული აზრის მოსმენას! ეს ევროპული ღირებულებაა და, თუ არ შეეგუებით განსხვავებულ აზროვნებას, ევროპაში არ შეგვიშვებენ! ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა გამოხვიდეთ ამ საბჭოთა და კომუნისტური აზროვნების ტყვეობიდან?"**

რაო, მკითხველო, თავბრუ დაგესხათ, ხო? დიახ! სწორედ ასეთი თავბრუდამხვევი ლოგიკა აქვთ დღეს კლასიკურ „ქართველ მოაზროვნეებს", რომელთაგან განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან მდედრობითი სქესის აქტიური „ინწილექტუალკები" თვალებზე მხოლოდ „ჭკვიანი სახის მიღების" მიზნით წამოსკუპებული სათვალით, თანაც ისე არაბუნებრივად, რომ სათვალემ, ლამისაა, იყვიროს: **„მე აქ რა მესაქმება?"**

აი, სწორედ ამ კატეგორიის ადამიანთა საყვარელი „კლიშეა" ის, რაც ამ თავბრუდამხვევი ფრაზის ბოლოს ვახსენეთ — **„საბჭოთა და კომუნისტური აზროვნება და მენტალიტეტი"** — ეს ფრაზა უკვე გარდაუვალ აუცილებლობად იქცა ნებისმიერ თემაზე ძალიან „ინწილექტუალნი" კამათისას.

მაგალითები? ინებეთ:

*** „დღეს მარიხუანის ლეგალიზების წინააღმდეგ გამოდიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ძველი და უხარისხო საბჭოთა დიპლომები";**

*** „დღემდე შემორჩათ ადამიანებს საბჭოთა აზროვნება, რომ გოგო, რომელიც სიგარეტს ეწევა, ბოზია";**

*** „კომუნისტური მენტალიტეტის მქონე ადამიანებს მიაჩნიათ, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს არ უნდა მიეცეთ ქორწინების უფლება";**

*** „პარლამენტში ქალებისა და მამაკაცების კვოტის გათანაბრებას კომუნისტური მენტალიტეტის ადამიანები ეწინააღმდეგებიან".**

და სხვა მსგავსი ბევრი „სიბრძნის" მოსმენა-წაკითხვა შეგიძლიათ, თუკი თანამედროვე ქართველ „მოაზროვნეთა" გვერდებს ეწვევით სოციალურ ქსელებში ან ტელევიზიით მოუსმენთ მათ.

საქმე და საფიქრალიც ესაა! **მედიასაშუალებები და განსაკუთრებით — ტელევიზიები სწორედ, აი, ამ ადამიანებს იწვევენ ნებისმიერი საჭირბოროტო თემის განსახილველად ეთერში და ისინიც მიედ-მოედებიან, რა თემაზეც უნდა იყოს საუბარი — დაწყებული რომელიმე რაიონში მოსავლის აღების სიძნელეებით, ორბიტულ სადგურზე კოსმოსური ქარიშხლის მიერ წარმოქმნილი გრავიტაციული ღრუბლების ხვედრითი წონის განსაზღვრის მეთოდებით დამთავრებული. მათთვის არ არსებობს თემა, რომელზეც არ ისაუბრებენ.**

მართლაც და, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის თემას? მაინც ის უნდა თქვან, რომ **„კომუნისტური მენტალიტეტი აღმოსაფხვრელია და საბჭოთა აზროვნებაში ჩარჩენილი ადამიანები ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას".** და ამ დაზეპირებულ ფრაზას რასთან დაკავშირებით იტყვი, რა მნიშვნელობა აქვს?

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული რამ, რაზე ხაზგასმაც, როგორც ჩანს, სპეციალურ დავალებად აქვთ მიღებული ასეთ „მოაზროვნეებს" — ეს არის საბჭოთა პერიოდში მიღებული განათლება.

**„ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ჩამოშორდნენ ნებისმიერ მაღალ თუ საშუალო თანამდებობას ის ადამიანები, რომლებსაც საბჭოთა პერიოდის განათლება აქვთ მიღებული, რადგან ისინი ვერასოდეს გამოვლენ მონის ფსიქოლოგიიდან და მათი განათლების ხარისხიც ძალიან საეჭვოა. ეს ადამიანები ჩემზე გაუნათლებლის შთაბეჭდილებას ტოვებენ",** — ეს ერთმა მართლაც ძალიან საეჭვო განათლების მქონე ქალბატონმა განაცხადა ტელეეთერში. მოგვიანებით კი, როდესაც სოციალურ ქსელებში გამოვეხმაურეთ, თავისი „განათლებულობის" დამადასტურებელ არგუმენტად საბჭოთა სკოლაში აღებული „ოქროს მედალი" დაგვისახელა.

ამ მხრივ მდგომარეობა მართლა კომიკურია, მეტად დამაფიქრებელიც რომ არ იყოს!

ჯერ ის რად ღირს, რომ **„მონურ ფსიქოლოგიაზე" საუბრობენ ადამიანები, რომლებიც იმასაც კი, კერძო ტელევიზიაში რომელ მეწილეს რამდენი წილი უნდა გაუფორმდეს, კონკრეტული ქვეყნის საელჩოსთან ათანხმებენ...**

საზოგადოდ, დაწყებული ახალგამოჩეკილი „ტელესახეებიდან" და დასრულებული ცნობილი ჟურნალისტებით, ყოველი მათგანი იმას, რაც უსიამოვნოა „მუდამ კარლია" ჩვენი ოკეანისგაღმელი ე.წ. პარტნიორებისთვის, „საბჭოთა მენტალიტეტად" ასაღებს და „კომუნისტური" სიბნელიდან ამოსვლისკენ მოგვიწოდებს.

**თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიმართ გამოთქმული სავსებით სამართლიანი პრეტენზიებიც კი ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა მისი ოპონენტების „კომუნისტურ და საბჭოთა აზროვნებას" მიაწერა... ხაზს ვუსვამ — „პრორუსულ განწყობებს" კი არა, კომუნისტურ, საბჭოთა მენტალობას!**

ზოგჯერ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც დღეს ცნობილ **პოლიტოლოგებად, ცნობილ ექსპერტებად, ცნობილ ჟურნალისტებად იწოდებიან, რუსეთი მისი, როგორც სახელმწიფოს, დაარსების პირველივე დღიდან კომუნისტური და საბჭოთა ჰგონიათ. მათი ასეთი ყოვლად უაზრო „კლიშეები" ან მათ სრულ უვიცობაზე მიუთითებს, ან მიზანმიმართულ დემაგოგიაზე, ან ორივეზე ერთად.**

პრინციპში, ისიც ხომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სიტყვა „პრორუსული", რიგი მიზეზების გამო, ისე „ეფექტურად" უარყოფითად ველარ მოქმედებს საქართველოს მოსახლეობაზე და ამიტომ ხდება მისი ასეთი ტოტალური და სრულიად არაადეკვატური ჩანაცვლება საბჭოთათი ან კომუნისტურით?

თუ არადა, დავიჯეროთ, ამ ხალხმა არ იცის, რომ რუსეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კომუნისტურს და საბჭოთას მხოლოდ 70 წელი უჭირავს და დანარჩენ საუკუნეებში ის ჩვეულებრივი ბატონყმური, შემდგომ კი ფეოდალური სახელმწიფო იყო?! ამ **„მოაზროვნეთაგან" ბევრმა, მგონი, ისიც კი არ იცის, რომ საქართველო-რუსეთის „მოკავშირეობის" მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველოს ყველაზე უკეთესი სტატუსი სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდში ჰქონდა.**

როგორც მათი ნააზრევიდან გამოდის, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე აფრქვევენ ხოლმე „სიბრძნეებს", ბევრ მათგანს ჰგონია, თბილისში რუსეთის მეფისნაცვალი რომ იჯდა, ის „საქართველოში" იყო მოვლინებული. სინამდვილეში კი, ის მეფისნაცვალი კავკასიაში იყო მოვლინებული და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყანა „საქართველოდ" არც კი იწოდებოდა.

მაშ, რატომ არის „საბჭოთა კავშირი" ჩვენთვის უფრო საშიში და მიუღებელი რამ, ვიდრე „მეფის რუსეთი"?

მაგრამ რა გინდა, ელაპარაკო ადამიანებს, რომლებსაც საბჭოთა ზნეობრივი მენტალიტეტი მაშინდელი მსოფლიოს ზოგადი მენტალიტეტისგან განსხვავებული ჰგონიათ!

* რა, **განა მეოცე საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში „სიგარეტის მწეველი ქალის" სახე ძალიან ზნეობრივ და ჩვეულებრივ, მისაღებ ტიპად ითვლებოდა ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთში ან სხვა ევროპულ ქვეყნებში?**

* რა, **განა ცხრაასიანი წლების გარიჟრაჟზე, უცხოეთში სადმე ძალიან სწყალობდნენ ჰომოსექსუალებს და ისინი მხოლოდ საბჭოთა კავშირში იჩაგრებოდნენ?**

* რაც შეეხება **ქალთა უფლებების დაცვასა და მათ უფლებრივ გათანასწორებას მამაკაცებთან — ეს მსოფლიოში პირველმა სწორედ საბჭოთა კავშირმა გააკეთა და ვიდრე ვინმე რასიზმზე საუბარს დაიწყებს, ჯერ ის გაიგოს, რომ, როდესაც ევროპა-ამერიკაში შავკანიანი, ყვითელკანიანი და თეთრკანიანი ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი არ ადიოდნენ, საბჭოთა კავშირში რასობრივი დისკრიმინაცია დანაშაულის რანგში იყო აყვანილი!**

ასე რომ, ქალთა უფლებებისა და ქსენოფობიის საკითხების განხილვისას ვინმეს მიერ **საბჭოთა მენტალობის** წამოძახება სასაცილომდე მისული სრული უვიცობაა!

სასაცილოა ისიც, როდესაც მავანი თუნდაც 1937 წლის მოვლენებს ოცდამეერთე საუკუნის „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციების" კვალობაზე განიხილავს და აფასებს... **რა, იმავე წლებში მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს დახვრეტით, ჩამოხრჩობითა და გილიოტინით არ უსწორდებოდა ევროპა?** კიდევ გავიმეორებ — ეს შეუგნებელი უგუნურებაა თუ შეგნებული მოქმედება, ამის დადგენა ძნელია...

არ მგონია, შემთხვევითი იყოს ასეთი მიზანმიმართული შეტევა, განსაკუთრებით საბჭოთა დიპლომიანების წინააღმდეგ.

რატომ უტევენ ეს ადამიანები ასე შეთანხმებულად საბჭოთა დიპლომებს?

დასკვნა შეიძლება ერთადერთი გამოვიტანოთ: **ჩანს, მათივე მშობლებს, მათ დედ-მამას მართლა არ ჰქონდათ სათანადო გონებრივი შესაძლებლობები და საბჭოთა განათლების სისტემამ მართლა არ მისცა მათ უმაღლესი განათლების დიპლომები... ამიტომაც არიან ახლა მათი შთამომავლები გამწარებულებ-გაბოროტებულები და სურთ, დაამტკიცონ, რომ ამის მიზეზი „საბჭოთა განათლების სისტემის" უვარგისობა იყო და არა მათი მშობლების ინტელექტუალური მონაცემების სიმწირე!**

სამაგიეროდ, **ახლა ყველა შტერი ორ-ორი დიპლომით დააბიჯებს ამაყად და ვერ გამიგია, 1990-იანი წლებიდან ყოველ სადარბაზოსა და სარდაფში გახსნილი „უნივერსიტეტების" დიპლომები რატომ და რით შეიძლება სჯობდეს საბჭოთა დიპლომებს?**

დასასრულ — ვითომ ღირს კი ჩამოთვლა იმ ბუმბერაზი ადამიანებისა, რომლებიც სწორედ საბჭოთა დიპლომებით ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და თავის სფეროში მსოფლიოში საუკეთესოდაც იყო აღიარებული?

არა მგონია... როდესაც ადამიანების ტვინები ასეთი უკურნებელი სენით არის შეპყრობილნი, არა მგონია, მათზე ვინმემ ან რამემ იმოქმედოს!

**კაცმა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ლევან ვასაძეს მკაცრი შენიშვნა მისცა ოფიციანტების, როგორც პროფესიის, „უდიერად“ მოხსენიების გამო (არადა, მსგავსი არაფერი უქნია ვასაძეს), უცებ „დიდი პატივით“ მოიხსენია საპნის ქარხნის თანამშრომლები — ვიღაც მესაპნეების სახსენებელი არ ვარ მეო!**

სატირა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძმებ ბერძენიშვილებს რეკლამაში გადაიღებენ

**პარლამენტარ-ბიზნესმენ გოგი თოფაძის განცხადებებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ასევე ოპოზიციად წოდებულ „ნაციონალებში“ და ბოლოს — სახელისუფლო კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“, უფრო ზუსტად, კოალიციის ყველაზე ურეიტინგო და, ამასთანავე, ყველაზე ამპარტავანი სუბიექტის — რესპუბლიკელების წარმომადგენლებში.**

როგორც ხდება ხოლმე, „ხმამაღლა აზრაგუნებული დოლის“ ფუნქცია ამჯერადაც რესპუბლიკელთა „ტვინმა და სინდისმა“ — „ქართველ რობესპიერად“ წოდებულმა „დიდმა მოაზროვნემ“ და „აზრის გიგანტმა“ **ლევან ბერძენიშვილმა** შეასრულა.

შეასრულა „ღირსეულად“! **კაცმა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ლევან ვასაძეს მკაცრი შენიშვნა მისცა ოფიციანტების, როგორც პროფესიის „უდიერად“ მოხსენიების გამო (არადა, მსგავსი არაფერი უქნია ვასაძეს), უცებ „დიდი პატივით“ მოიხსენია საპნის ქარხნის თანამშრომლები — ვიღაც მესაპნეების სახსენებელი არ ვარ მეო!**

ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა უმალ ჩაავლო და ჩაუფიქრდა დიდი ლევანის ამ განცხადებას. **თუ საპნის ქარხნის თანამშრომლებისა არა, მაშ, ვისი სახსენებელია იგი? — ავეჯის ქარხნის თანამშრომლების? პურის ქარხნის? ძეხვის საამქროს? ნეტავ, ვის აქვს უფლება ამ ქვეყანაში, ახსენოს ხოლმე „დიდი ლევანის“ სახელი?**

ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი ისე ღრმად ჩაუფიქრდა ამ თემას, რომ გამოკითხვაც კი ჩაატარა და დარწმუნდა, რომ **ქართველი ხალხი ისედაც ხშირად ახსენებს ხოლმე ლევან ბერძენიშვილსაც და მისი ოჯახის სხვა წევრებსაც, მაგრამ როგორ და რა კონტექსტში, ამის გაზეთში დაწერა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია...**

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ საყურადღებოა ლევან ბერძენიშვილის ძმის, **დავით ბერძენიშვილის,** უჩვეულო გააქტიურება და განსაკუთრებით მისი მხრიდან **თინა ხიდაშელის** თავგამოდებული დაცვა...

ან **რა კავშირშია საპონი თოფაძე-ხიდაშელის დაპირისპირებასთან?**

საბოლოოდ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, აღმოჩნდა, რომ ჩვენს არც ისე სპეციალურ კორესპონდენტს არც ამჯერად უმტყუნა ალღომ. უკვე დადასტურებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ძმები ბერძენიშვილების ასეთი გაღიზიანება „თოფაძის საპნის“ მიმართ გამოიწვია ჰიგიენური საშუალებების ბაზარზე ახალი ბრენდის — „ხიდაშელის მათეთრებლის“ გამოჩენამ.** ეს ბრენდი, როგორც ამბობენ, უკვე დიდი ხანია, წარმატებით სარგებლობს ე.წ. ჩრდილოვან, ანუ შავ ბაზარზე და მისი მწარმოებლები უკვე ამ პროდუქტის ლეგალიზებას აპირებენ. ის მალე ოფიციალურად გამოჩნდება დახლებზე **„ხიდაშელის გრანტების მათეთრებლის“** სახელწოდებით და მარკეტინგული კვლევები აჩვენებენ, რომ განსაკუთრებული პოპულარობით არასამთავრობო სექტორში ისარგებლებს.

ჰოდა, როგორც გაირკვა, სწორედ ამ ახალი პროდუქტის სატელევიზიო რეკლამაში იღებენ ძმებ ბერძენიშვილებს. რეკლამის სიუჟეტი ბანალურია:

**ლევან ბერძენიშვილს ხელში უჭირავს „თოფაძის საპონი“ და ცდილობს, მისი მეშვეობით გარეცხოს მის წინ მაგიდაზე დაყრილი ფულის ტომრები. არაფერი გამოსდის, ოფლში იწურება, თანაც ძველი ბერძნული ფილოსოფიიდან ციტატებს ბუტბუტებს, მაგრამ ვერც ეს შველის... გვერდით კი გაბადრული სახით უდგას დავით ბერძენიშვილი, რომელსაც ხელში უჭირავს „ხიდაშელის გრანტების მათეთრებელი“, მაგიდაზე მასაც უყრია ფულის ტომრები, მაგრამ, ძმისგან განსხვავებით, ერთი მეორეზე მიყოლებით რეცხავს და რეცხავს ძალიან იოლად.**



ვიდრე ლევანი „თოფაძის საპნით“ ერთ ტომარა გრანტს გარეცხავს, დავითს უკვე ასზე მეტი ტომარა აქვს გარეცხილ-გაკრიალებული „ხიდაშელის გრანტების მათეთრებლით“.

როგორც ამბობენ, რეკლამა ძალიან ეფექტური გამოვიდა და მისი სლოგანია: **„ხიდაშელის გრანტების მათეთრებელი. რეკომენდებულია დიასახლისი ბერძენიშვილების მიერ“.**

ვნახოთ, როგორ მიიღებს ახალ პროდუქტს და ახალ რეკლამას მრავალგრანტიჭამიანახული ქართველი მომხმარებელი.

**მაკა აბარავა**

# გამოლოცვის საიდუმლო რიტუალები «მაესტროში»

**ჩვენმა წყარომ, რომელიც ყოველთვის ოპერატიულ-კონსპირაციულ რეჟიმში მუშაობს, არც ამჯერად გაგვიცრუა იმედები და სკანდალური ინფორმაცია მოგვაწოდა ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე პროცესებზე.**
**მაშ ასე, წყარო იხსენებს ფაქტს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ, შუაღამეს მოხდა, მაშინ, როდესაც ქალაქს ეძინა, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა პირს.**

„დიღომში ვცხოვრობ, ზუსტად იქ, სადაც „მაესტრო“ მდებარეობს. პირველ სართულზე ვარ და ჩემი სახლის ფანჯრები ტელევიზიის შენობას გაჰყურებს. ღამის სამი საათი იქნებოდა, ის-ის იყო ძილისკენ მივდიოდი, რომ მოულოდნელად მანქანის ფარების ნათებამ შემაფხიზლა. როგორც ცნობისმოყვარე ადამიანმა, უმალ გავიხედე ფანჯარაში და დავინახე შავი მიკროავტობუსი, რომლიდანაც შავ კაბაში ჩაცმული სამი ქალი და ერთი მამაკაცი გადმოვიდნენ.

სამივეს სახე დაფარული ჰქონდა და ამან დამაეჭვა. უმალ ჩავიცვი და გარეთ გავედი. მათაც რამე რომ არ ეეჭვათ, ნაგვის პარკები ავიღე და იქვე მდგარი ურნისკენ გავემართე. ამასობაში უკანალზე კამერა მივიმაგრე და სიტუაციას ასე ვზვერავდი, თან პერიოდულად უკან ვიყურებოდი, იქნებ რამე დამენახა და მართლაც, საოცარი შემთხვევის მომსწრე გავხდი.

შავ კაბებში ჩაცმული ქალები აღმოჩნდნენ **ბაია გადაბაძე, ნინია კაკაბაძე** და **ნინო ჯანგირაშვილი.** ხელში რაღაც პარკები ეჭირათ და ტელევიზიის შენობაში ეზიდებოდნენ. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ მათი თანამოაზრე მამაკაცი **ნიკა გვარამია** ყოფილა.

ქალებმა პარკები შეიტანეს ტელევიზიაში და ცოტა ხანში ნიკაც შეჰყვა. სად იყო და სად არა, მოულოდნელად შავი „ვოლგა“ გაჩერდა, იქიდანაც ერთი შავოსანი ქალბატონი გადმოვიდა, თავდაპირველად ვერა, მაგრამ მერე ვიცანი — ეს იყო ცნობილი **ელისო** (ჟურნალისტი), რომელიც, ტრადიციულად, სიტუაციის დასაზვერად იყო მოსული. ელისოსაც შავი კაბა ემოსა, შავი სათვალე ეკეთა, აქეთ-იქით იყურებოდა და სიტუაციას აკონტროლედბა, ვინმეს რომ არ შეემჩნია.

უკვე აზარტში შევედი და ელისოს დანახვაზე კიდევ უფრო გამიმძაფრდა სურვილი, სკანდალური ექსკლუზივი ხელთ ჩამეგდო. იქვე მაზუთიანი „ბოჩკა“ იდგა, ელისო სწორედ იმ „ბოჩკაში“ დაიმალა და მისი კონსპირაციული სპეცოპერაციაც დაიწყო, თუმცა მალე მივხვდი, რომ ექსკლუზივს ვკარგავდი, მივეპარე „ბოჩკას“, იქვე, ძირს დაგდებული ლითონის სახურავი დავაფარე და ზედ დიდი ქვა დავადე, მოკლედ, ელისოს სპეცოპერაცია ჩავუშალე და ახლა მე დავიწყე ნადირობა.

გამიმართლა — ქალბატონ ბაიასა და მის თანამოაზრეებს არხის შენობის კარი ღია დარჩენოდათ და მეც ჩუმად შევიპარე ტელევიზიაში. ფეხაკრეფით ავუყევი კიბეს და ის-ის იყო სტუდიაში უნდა შემეჭყიტა, დავინახე ჰოლში მდგარი ნინია კაკაბაძე შავი ხელთათმანებით, რომელიც კედელზე ჩემთვის გაურკვეველ ნივთიერებას უსვამდა და თავისთვის ღიღინებდა. **ოდნავ მოშორებით შევნიშნე ნინო ჯანგირაშვილიც, რომელიც, ასევე შავი ხელთათმანებით, კიბის სახელურებსა და კარს უსვამდა ქონის მაგვარ მასას. ჩემი ვარაუდით, ეს იყო მგლის ან დათვის ქონი. როგორც გაგებული მაქვს, ამ ნივთიერებებს სხვადასხვა რიტუალისთვის, კერძოდ, ჯადოს ან გამოლოცვის დროს, იყენებენ.**

ცოტა შემეშინდა, მაგრამ მყისვე გავიფიქრე, რომ სკანდალური მასალა მელოდა წინ, ამიტომ ამ ფიქრებით მოტივირებულმა განვაგრძე ჩემი მისიის შესრულება. მივადექი გადაცემებისთვის განკუთვნილ სტუდიას, შევიპარე და იქ ნამდვილი საშინელება დამხვდა.

**სტუდიაში იატაკზე იყო მიმოფანტული ძმები გაჩეჩილაძეების, ბიძინა ივანიშვილის, გიორგი კვირიკაშვილის, თეა წულუკიანისა და კახა კალაძის ფოტოები. ბაია და ნიკა სკამზე ისხდნენ, მათ შუაში „მაესტროს“ ლოგოს ნათება იდგა და ორივეს ზედ ჰქონდა შემოწყობილი ხელები. როგორც მივხვდი, ნიკა და ბაია ტრანსში იყვნენ შესულნი და არხის მოდავე მხარეს ჯადოს უკეთებდნენ. ნიკაც და ბაიაც არაამქვეყნიურ ხმებს გამოსცემდნენ. უცებ ბაიამ თავი გადააგდო და გაურკვეველი ფრაზების წარმოთქმა დაიწყო. ხელში გია გაჩეჩილაძის, იმავე უცნობის, ფოტო ეკავა და გამოფხიზლების შემდეგ ნაკუწებად აქცია.**



ახლა ნიკამ გადააგდო თავი, მას ივანიშვილის ფოტო ეჭირა და ენით ლოკავდა, ალბათ, რაღაც ასეთი რიტუალია და, როგორც ჩანს, ამართლებს, აბა, „რუსთავი 2“-ს ისევ ეგ რატომ ხელმძღვანელობს?

ცოტა ხანში ორივე გამოვიდა ტრანსიდან, თანამოაზრეები მოიხმეს და გაიმართა საიდუმლო სერობაც. მე ჩუმად მივიყუჟე და მათი საუბრის მოსმენა დავიწყე. მოულოდნელად საშინელი ბრაგუნის ხმა გაისმა, ყველა შეშინდა, მათ შორის, მეც. ბაიამ შენობის დათვალიერება დაიწყო და თან იგინებოდა, უეჭველი ვიღაც გვითვალთვალებსო. როგორც შემდეგ გაირკვა, **ელისოს, რომელიც მეგონა, რომ მაზუთიან „ბოჩკაში“ საიმედოდ ჩავკეტე, იქიდან თავი დაუღწევია და შენობის სახურავიდან უცდია ჩამოსვლა, სტუდიის კამერის „ტროსს“ დაჰკიდებია, მაგრამ „ტროსმა“ ვერ გაუძლო, ჩამოწყდა და დეკორაციებში მოადინა ბრაგვანი.**

ბაიას გაუკვირდა და ჰკითხა, რას აკეთებდა იმ შუაღამეს ელისო „მაესტროს“ შენობაში, ის ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მათ ფარულად უთვალთვალებდა, ამიტომ გულახდილად იკითხა მისი იქ ყოფნის მიზეზი, რაზეც ჟურნალისტმა მიუგო, რომ მათ დასახმარებლად იყო მისული და სურდა, სიკეთე მალულად ეკეთებინა.

მოკლედ, ბაიამ, ნინომ, ნინიამ და ნიკამ ელისო „სასტავში“ მიიღეს და ერთობლივი სამოქმედო გეგმაც დასახეს. ელისო ქუთაისიდან ეშმაკის კიტრანის, ჯოჯოხეთის ქვისა და ორთქლგაუვალი ყვავის ჩამოტანას დაჰპირდა, იმის გარანტიაც მისცა, რომ ეს ჯადო ყველაზე კარგად იმუშავებდა.

**ელიკო სილაძე**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა, რომლებიც უკრაინის მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე მოკალათდნენ ამერიკელთა ხელშეწყობით, უკრაინშიც დაიწყეს მუშაობა იმ მეთოდებით, რომლებსაც საქართველოში 9 წლის განმავლობაში იყენებდნენ და უკრაინაშიც ზუსტად ისეთი რაღაცები ხდება, რასაც საქართველოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვუყურებდით.**

# უკრაინის სააკაშვილიზაცია

## 2015 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა, უკრაინის სააკაშვილიზაცია დაიწყო

**საქართველოს მოსახლეობას არასოდეს დაავიწყდება სააკაშვილის რეჟიმის მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულები, რომელთა დიდი ნაწილიც დღესაც გამოუძიებელია. სწორედ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი თავკაცის მმართველობის პერიოდში აღმოცენდა ე.წ. ელიტური კორუფცია, დაიწყო ბიზნესმენთა დაწიოკება, მათი ქონების „ნაცმოძრაობის“ წევრებზე გადაფორმება, ბიზნესმენების ღამით წამოყრა ლოგინიდან და საპყრობილეში გამომწყვდევა ან მათთვის უზარმაზარი თანხის გადახდევინება, სააკაშვილის ნათესავებისა და მისი გუნდის წევრებისთვის სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად ან სულაც უსასყიდლოდ გადაცემა, ახალგაზრდების დახვრეტა ქუჩაში, წამება და ცოცხებით გაუპატიურება საპყრობილეებში, პოლიციელების თავაშვებულობა და მათ მიერ დაკავებულთა ცემა-ტყეპა პოლიციის განყოფილებებში, ადამიანების გამოყრა ახალაშენებული საცხოვრებლიდან (თაბუკაშვილის ქუჩის), განათლების სისტემის, სპორტის, კულტურის განადგურება, ნაციონალებისთვის არასასურველი ტელევიზიების დახურვა, მართლმადიდებლობასა და ყოველივე ქართულზე შეტევა.**



### მგელი მგლობას არ მოიშლის, მის თავზე რამდენჯერაც უნდა წაიკითხო სახარება

სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავიანთი „საგმირო საქმეები“ 2004 წლის 12 მარტს **გლდანის ეკლესიის** დარბევით დაიწყეს, როდესაც ეკლესიის კარი სატვირთო ავტომობილით შელეწეს, მრევლი, რომლის დიდი ნაწილი ქალები იყვნენ, თმით ათრიეს, მოგვიანებით კი ტაძრის მღვდელმსახური **მამა ბასილი** მისი მრევლის რამდენიმე წევრთან ერთად ციხეში გამოამწყვდიეს.

შემდეგ იყო მკვლელობა **ბუტა რობაქიძისა**, რომელსაც პოლიციელებმა 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, დიდუბის ეკლესიასთან მოუსწრაფეს სიცოცხლე. ამას მოჰყვა 28 წლის **სანდრო გირგვლიანის** „შარდენ ბარიდან“ გატაცება ოქროყანაში და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმჟამინდელი მაღალჩინოსნების მიერ, რომლებსაც ხელი სწორედ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა დააფარეს მათთვის სასჯელის ასაცილებლად.

2006 წლის 2 მაისს სამართალდამცველებმა ე.წ. კორტების ოპერაციისას ავტომობილში ჩაცხრილეს ორი ახალგაზრდა — **ზურაბ ვაზაგაშვილი** და **ალექსანდრე ხუბულოვი**. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ვაზაგაშვილს თავში 18 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

2008 წლის 8 მაისს კი საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 31 წლის **გიორგი გამცემლიძე** თბილისში, რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოკლა.

რაც შეეხება ელიტურ კორუფციას, ყოფილი მთავარი პროკურორის — **არჩილ კბილაშვილის განცხადებით, 27 ათასი შემთხვევაა, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად — 1 ლარად ან უსასყიდლოდ გაასხვისა სახელმწიფო ქონება.**

ტერიტორიების დაკარგვაში გაწაფულმა სააკაშვილმა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განაცხადა, რა მოხდა, სულ რაღაც რამდენიმე სოფელი დავკარგეო (ეს „რამდენიმე“ 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტია სამაჩაბლოში), მოასწრო და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, 2012 წლის 5 ნოემბერს გამოსცა განკარგულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რამდენიმე კომპანიის, მათ შორის, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ძმის — ირაკლი უგულავას კომპანიისთვის ძვირად ღირებული სახელმწიფო ქონების 1 ლარად გადაცემის შესახებ.

**ბევრს, ალბათ, ემახსოვრება, როგორ ადანაშაულებდა მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძეს, — რაღა მაინცდამაინც შენს ნათესავებს აღმოაჩნდათ ბიზნესის კეთების ნიჭიო, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ არც მისი ნათესავები აღმოჩნდნენ „უნიჭონი“ ბიზნესის კეთების საქმეში.**

მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო ქონებას ისე გააჩუქებდა ხოლმე თავის ნათესავებსა და ახლობლებზე, თითქოს ხელმწიფე იყო, საქართველო კი — მისი საკუთრება. მაგალითად, სააკაშვილის დედამ — **გიული ალასანიამ** თითქმის უსასყიდლოდ ჩაიგდო ხელში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რამდენიმე კორპუსი, ბათუმში საჯარო რეესტრის 1556 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 987 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; სააკაშვილის მამამ კი — ბალნეოლოგიური კურორტი. სააკაშვილის ძმები „ნავთობმაგნატები“ არიან, ბიძას — **თემურ ალასანიას** „კვარციტში“ — ოქროს საბადოში — ჰქონდა წილები. თვითონ მიხეილ სააკაშვილსა და მის მეუღლე **სანდრა რულოვსს** კი უკრაინული მედია ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში ადანაშაულებს.

ამას გარდა, ყველასთვის ცნობილია სააკაშვილის ახლო ურთიერთობის შესახებ კიევში მოღვაწე ბიზნესმენ ძმებთან — **ლევან** და **გია ყარამანაშვილებთან, ძმებ ბეჟუაშვილებთან,** „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ელვისებურად გამდიდრებულ **დავით კეზერაშვილთან** და სხვებთან.

**ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა, რომლებიც უკრაინის მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე მოკალათდნენ ამერიკელთა ხელშეწყობით, უკრაინაშიც დაიწყეს მუშაობა იმ მეთოდებით, რომლებსაც საქართველოში 9 წლის განმავლობაში იყენებდნენ და უკრაინაშიც ზუსტად ისეთი რაღაცები ხდება, რასაც საქართველოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვუყურებდით.**

### ეკა ზღულაძის შექმნილმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 17 წლის ბიჭი ავტომობილში ჩაცხრილა

7 თებერვალს ამერიკელების დახმარებითა და საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილის — ეკა ზღულაძის თაოსნობით შექმნილი კიევის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა **სერგეი ოლიინიკმა**, „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომობილის დევნისას, რომელშიც 4 ადამიანი იჯდა, 17 წლის **მიხეილ მედვედევი** მოკლა. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის სამმა თანამშრომელმა, რომლებიც ოლიინიკთან ერთად კიევის ხალხმრავალ ქუჩებში 40 წთ-ის განმავლობაში სდევნიდნენ „ბე-ემ-ვე“-ში მსხდარ პირებს,



2006 წლის 2 მაისი. თბილისი. კორტებთან სპეცოპერაციის შემდეგ





2016 წლის 7 თებერვალი. კიევი. სირკას ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ

**ტრაგიკული შემთხვევა კიევში საპატრულო ეკიპაჟის მიერ გამოჩენილი დაუნდობლობითა და სისასტიკით ძალიან ჰგავს 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, როდესაც სამართალდამცველებმა ზურაბ ვაზაგაშვილი 18 ტყვიით გამოასალმეს სიცოცხლეს**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „90 კომპანიის, ანუ „კეთილსინდისიერი იმპორტიორების“ სიის გამოქვეყნების შემდეგ ეს კომპანიები დააკავშირეს „შემომწირველებთან“, რომლებიც უზარმაზარ თანხებს სწირავდნენ ფონდში სახელწოდებით „ოდესის კეთილდღეობისთვის“. ეს ფონდი კი უკრაინაში იმით არის ცნობილი, რომ მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს“.

38 ტყვია ესროლეს ავტომობილს, მიხეილ მედვედევი კი ზურგში მოხვედრილმა ტყვიამ იმსხვერპლა.

„პოლიციელმა ოლიინიკმა იცოდა, რომ ავტომობილში საგზაო მოძრაობის დამრღვევ მძღოლთან ერთად კიდევ სამი ადამიანი იჯდა. ამის მიუხედავად, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ტაბელური იარაღი ამოიღო და გაისროლა ავტომობილის მიმართულებით. ამით მან გაამჟღავნა განზრახვა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მოეკლა. არადა, პოლიციელს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება ავტომობილის დაზიანების მიზნით აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამასთანავე, პოლიციელს ეკრძალება იარაღის გამოყენება ადგილებში, სადაც შეიძლება ადამიანი დააზიანოს. როდესაც ავტომობილი სირკოს ქუჩაზე გაჩერდა, სამართალდამცველმა მასთან მიირბინა და ახლოდან ესროლა. სწორედ ეს გასროლა აღმოჩნდა საბედისწერო 17 წლის მიხეილ მედვედევისთვის.

ამის შემდეგ „ბე-ემ-ვემ“ უკანსვლა დაიწყო, პოლიციელმა კი კიდევ 5-ჯერ გაისროლა, ტყვიები ავტომობილის წინა ნაწილსა და საქარე მინას მოხვდა. პატრულმა ოლიინიკმა რევოლვერის ორი მჭიდი დაცალა და 25 ტყვია გაისროლა, სულ კი საპატრულო პოლიციის სამმა თანამშრომელმა 37 ტყვია გაისროლეს.

„იქ ოთხი ადამიანია. მოდი, ვესროლოთ. აბა, რა გავაკეთოთ?“ — ამბობს აუდიოჩანაწერში ოლიინიკი. მეწყვილე მას ეთანხმება: „დავხოცოთ, მაგათი დედაც...“. ამის შემდეგ ოლიინიკმა და მისმა კოლეგებმა სროლა ატეხეს.

**პატრულმა წინასწარგანზრახვით მოკლა „ბე-ემ-ვეს“ მგზავრი.** მთავარი დამნაშავე კი მძღოლი როსტისლავ ხრაპაჩევსკი იყო, რომელიც ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტომობილს“, — განაცხადა უკრაინის მთავარმა სამხედრო პროკურორმა **ანატოლი მატიოსმა.**

აღსანიშნავია, რომ 17 წლის ბიჭის მკვლელი სერგეი ოლიინიკი საპატრულო პოლიციაში მიღებამდე მილიციაში გამომძიებლად მუშაობდა და მონაწილეობდა ე.წ. ავტომაიდნელთა მიმართ ტერორსა და მათი საქმის ფაბრიკაციაში. მიუხედავად ამისა, ის თავგამოდებით დაიცვა უკრაინის შს მინისტრმა **არსენ ავაკოვმა,** რომელმაც განაცხადა, რომ „სასამართლო და პროკურორები სპეციალურად გაუსწორდნენ ახალგაზრდა პოლიციელს“.

ბოლო ინფორმაციით, 17 წლის ბიჭის მკვლელობაში კიევის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი **იური ზოზულიაც** მონაწილეობდა, ოღონდ საკუთარი ავტომობილით.

**ეს ტრაგიკული შემთხვევა კიევში საპატრულო ეკიპაჟის მიერ გამოჩენილი დაუნდობლობითა და სისასტიკით ძალიან ჰგავს 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, როდესაც სამართალდამცველებმა ზურაბ ვაზაგაშვილი 18 ტყვიით გამოასალმეს სიცოცხლეს.**

### პოლიციელთა მიერ ადამიანების გატაცება და წამება

17 თებერვალს ოდესის ოლქის ქალაქ ჩერნომორსკის (ყოფილი ილიჩევსკი) პოლიციის თანამშრომლები ადამიანების გატაცებასა და წამებაში ამხილეს. ამ სკანდალურ ფაქტს უკრაინის უშიშროების სამსახურის ოდესის ოლქის სამმართველოს ხელმძღვანელმა **სერგეი ბატრაკოვმა** და უკრაინის სამხრეთი რეგიონის სამხედრო პროკურორმა **მაქსიმ იაკუბოვსკიმ** სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნეს.

15 თებერვალს უკრაინის უშიშროების სამსახურმა მიიღო მოქალაქეთა განცხადება, რომ მათი ნათესავი ჩერნომორსკელმა პოლიციელებმა გაიტაცეს. სამართალდამცველები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს ადამიანი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ის 3 დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული ჩერნომორსკის პოლიციის განყოფილებაში. უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გატაცებული პირი სწორედ პოლიციის განყოფილებაში იპოვეს. მასთან ერთად გაათავისუფლეს პოლიციელების მიერ უკანონოდ დაკავებული კიდევ ერთი ადამიანი. თავიანთ **ჩვენებებში ორივემ განაცხადა, რომ პოლიციელები აწამებდნენ, სცემდნენ, გაჰყავდათ გარეთ და საფლავებს ათხრევინებდნენ.** ამ პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა რამდენიმე მუხლით — ძალაუფლების გადამეტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, უკანონო სარგებლის მიღება და წამება. მიუხედავად ამისა, პოლიციელები არ დაუკავებიათ, რადგან, უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პოლიციელის დაპატიმრება მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიძლება, მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ორივეს მიმართ მაინც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

**ჩერნომორსკელ პოლიციელებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ადამიანები, რომლებიც უკანონოდ გაიტაცეს, ყაჩაღურ თავდასხმებში მონაწილეობდნენ და წამებით ცდილობდნენ მათგან აღიარებითი ჩვენების მოპოვებას.**

„სხვა რას უნდა ველოდოთ ასეთი „სამართალდამცველებისგან“, თუკი მათი უშუალო უფროსი არის **გიორგი ლორთქიფანიძე (სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს შს მინისტრის მოადგილე — ნ.კ.),** რომელსაც არასოდეს ჰქონია შეხება ოპერატიულ სამუშაოსთან და უცნობია, რა დამსახურებისთვის დანიშნეს ის ოდესის ოლქის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე“, — განაცხადა ოდესის ოლქის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა **სერგეი ბატრაკოვმა.** სამხედრო პროკურორმა მაქსიმ იაკუბოვსკიმ კი დასძინა, რომ ადამიანის გამტაცებელ პოლიციელებთან შეხვედრის შემდეგ გაოგნებული იყო მათი ცინიზმით: „მათ მკითხეს, როგორ გავხსნათ დანაშაული, თუკი ეჭვმიტანილის ცემა არ შეგვეძლებაო?“





გიორგი ლორთქიფანიძე

**«სხვა რას უნდა ველოდოთ ასეთი «სამართალდამცველებისგან», თუკი მათი უშუალო უფროსი არის გიორგი ლორთქიფანიძე, რომელსაც არასოდეს ჰქონია შეხება ოპერატიულ სამუშაოსთან და უცნობია, რა დამსახურებისთვის დანიშნეს ოდესის ოლქის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე»**



**პეტრე პოროშენკოს ტყუილად ნუ ექნება სააკაშვილის იმედი, რომელიც სწორედ თვითონ დანიშნა (ამერიკელთა მითითებით) ოდესის გუბერნატორის პოსტზე. ამერიკელების ძაღლისშვილი სააკაშვილი მას ისევე არ დაინდობს, როგორც არ დაინდო ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც პოლიტიკურ ასპარეზზე გაუკვალა გზა**

აღსანიშნავია, რომ ეს პოლიციელები ადრეც იყვნენ შემჩნეულნი „ტრადიციული მეთოდების“ გამოყენებაში.

### სააკაშვილის ფონდი და „კეთილსინდისიერი შემომწირველები“

„კეთილსინდისიერი იმპორტიორების“ სიაში, რომელიც სააკაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა შეადგინეს ოდესის საბაჟო სამსახურში, იპოვეს „შემომწირველი“ კომპანიები, რომლებიც დიდძალ თანხებს რიცხავენ მიხეილ სააკაშვილის კონტროლს დაქვემდებარებული ფონდის („ოდესის კეთილდღეობისთვის“) ანგარიშზე.

„გასაგებია, რომ ხელით მართვა და იმპორტიორების სიის შედგენა, უსაფრთხო პრაქტიკა არ არის და შემთხვევით არ მოხდა, რომ 90 კომპანიის, ანუ „კეთილსინდისიერი იმპორტიორების“ სიის გამოქვეყნების შემდეგ ეს კომპანიები დააკავშირეს „შემომწირველებთან“, რომლებიც უზარმაზარ თანხებს სწირავდნენ ფონდში სახელწოდებით „ოდესის კეთილდღეობისთვის“. ეს ფონდი კი უკრაინაში იმით არის ცნობილი, რომ მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს.

„კეთილსინდისიერი იმპორტიორებისა“ და „შემომწირველი“ კომპანიების სიაში ერთი და იგივე კომპანიებია, მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „შაბო“, შპს „ინტერხიმი“, შპს „ტის-უგოლი“, თითოეულმა მათგანმა 2014 წელს ფონდში 2 მლნ გრივნა შეიტანა. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით კი, ფონდმა 5 მლნ დახარჯა. სად წავიდა დანარჩენი თანხა და რამდენი გრივნა შევიდა ახალი შემოწირულობების სახით, უცნობია. მას შემდეგ, რაც ფონდს სათავეში ჩაუდგა (2015 წლის აგვისტოში) უკრაინაში საქართველოს ექსკონსული **თეიმურაზ ნიშნიანიძე,** სახსრების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება პრობლემურია“, — წერს გამოცემა ZN.UA-ს სპეციალური კორესპონდენტი ოდესის ოლქში **ნინა პერსტნევა.**

„ბედნიერი კომპანიების სიაში“, ძირითადად, მოხვდნენ სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი ორგანიზაციები, მეტალურგიული და სატრანსპორტო საწარმოები, დისტრიბუტორი კომპანიები. მაგალითად, **„უკრტატნაფტა“, „აზოვსტლი“, „პორტინვესტ ლოჯისტიკი“, ფაბრიკა „სვიტოჩი“, „უკრიმპორტ KV“, „მედფარკომ-ცენტრი“, „ჰიუნდაი მოტორ უკრაინა“, ოდესის კონიაკის ქარხანა, „ოდესავინპრომი“, ოდესის პორტისპირა ქარხანა და სხვ.**

ნდობის კრედიტი მიიღეს სავაჭრო ქსელებმაც: „ტავრიამ“, „ტავრია პლუსმა“, „ანტოშკამ“, „მეტრომ“, „ფოზზი ფუდმა“ და სხვ.

ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს ქართველებს? — „შემოწირულობებით“ უზარმაზარი თანხების მოზიდვა ხომ სააკაშვილის რეჟიმის ნაცადი მეთოდია?!

რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ თავისი პოლიტიკური ამბიციების რეალიზებას უკრაინაში აპირებს.

**„ჩემი მოღვაწეობა უკრაინაში გადამწყვეტია ჩემს ცხოვრებაში. ჩემი პოლიტიკური ამბიციები პრემიერმინისტრის პოსტზე მაღლა დგას (?! — ნ.კ.) მინდა, უკრაინაში ახალი წესები დამკვიდრდეს და ახალი პოლიტიკური ელიტა მოვიდეს“.**

უკრაინაში გავლენითა და ძალაუფლებით პრემიერმინისტრზე მაღლა პრეზიდენტი დგას და, როგორც ჩანს, სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის პოსტს უმიზნებს. **პეტრე პოროშენკოს ტყუილად ნუ ექნება სააკაშვილის იმედი, რომელიც სწორედ თვითონ დანიშნა (ამერიკელთა მითითებით) ოდესის გუბერნატორის პოსტზე. ამერიკელების ძაღლისშვილი სააკაშვილი მას ისევე არ დაინდობს, როგორც არ დაინდო ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც პოლიტიკურ ასპარეზზე გაუკვალა გზა.**

**ძალაუფლებისადმი სააკაშვილის სიყვარულსა და ბრძოლის მეთოდებზე კი „საქართველო და მსოფლიო“ არაერთხელ წერდა. არაერთხელ გვითქვამს, რომ სააკაშვილის მოღვაწეობა დაფუძნებული იქნებოდა იმ მეთოდებზე, რომლებსაც წლების განმავლობაში იყენებდა საქართველოში. და ჩვენი წინასწარმეტყველება ახდა, ახდა იმიტომ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ და ვიცით, რომ მგელი მგლობას არ მოიშლის, მის თავზე რამდენჯერაც უნდა წაიკითხო სახარება.**

**ნიკა კორინთელი**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რად გვინდა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ელემენტარული საკითხების მოგვარებაც კი არ შეუძლია? ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების სასარგებლოდ არაფერი კეთდება, სულ არაფერი! პირიქით — რჩეულიშვილებმა ჩემი და ბევრი ჩემნაირად გადმოხვეწილის თანხები მიითვისეს წინა ხელისუფლების ხელშეწყობით. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კი პასუხი არ მოსთხოვა, ხელი დააფარა. რა გამოდის, თანამონაწილეობა ხომ? სადაა პატრონი?! საქართველოში რა ხდება? — ისევ შიმშილი, ისევ უიმედობა, უმუშევრობა, ინფლაცია, ლარის კურსი სადამდეა დაცემული?!“**

ლეილა ჯინორია:

# ეს ხელისუფლება გილიოტინაა, გაჭირვებული ადამიანების თავს ზემოთ აღმართული!

**ვერანაირი მატერიალური კეთილდღეობა ვერ გადაწონის იმ სულიერ ტკივილს, რომელსაც სამშობლოსა და ახლობელ ადამიანებს მონატრებული ემიგრანტი განიცდის. ქართველი ქალები სამშობლოდან შორს უმძიმეს პირობებში შრომობენ ოჯახების გამოსაკვებად, ელოდებიან, როდის იქნება საქართველოში ისეთი ეკონომიკური ვითარება, რომ დაბრუნების შემთხვევაში შეძლებენ შვილებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. ვინც არასდროს ყოფილა ემიგრაციაში, მისთვის რთულია, გულთან ახლოს მიიტანოს ის პრობლემები, რომელთა წინაშეც უცხოეთში გადახვეწილი ადამიანი სამშობლოს მიტოვებისთანავე აღმოჩნდება ხოლმე... ლეილა ჯინორია 58 წლის ქალბატონია, პროფესიით ეკონომისტი. დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე როგორც რუსთავსა და თბილისში, ასევე სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. 2003 წელს უმძიმესი მატერიალური მდგომარეობის გამო დატოვა საქართველო. ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს.**



**— ქალბატონო ლეილა, რატომ წახვედით საქართველოდან?**

— 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემის შემდეგ, როდესაც დაიწყო ქართველთა ეთნიკური წმენდა, ჩემი ოჯახი იძულებული შეიქნა, ჭუბერის გავლით დაეღწია მტრისთვის თავი. გამიჭირდება იმის გადმოცემა, რაც გამოვიარე, როგორ გამომყავდა შვილი, როდესაც ბაბუშერის აეროპორტი იბომბებოდა... მამამ ისარგებლა დერეფნით, რომელიც ორი საათის განმავლობაში დაუშვეს მშვიდობიანი მოსახლეობის გასაყვანად და ოჯახი კოდორის გავლით წაიყვანა ჭუბერისკენ. როგორც კი ოჯახის წევრები სამშვიდობოს დაიგულა, გამოეპარა მათ და თავის სახლში დაბრუნდა, რასაც მისი დატყვევება მოჰყვა. დიდხანს არაფერი ვიცოდით მის შესახებ... საბედნიეროდ, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც მამა დრანდის ციხიდან გამოიყვანეს და ენგურის ნაპირებამდე მიაცილეს... მაგრამ **მამა ვერ შეეგუა ფუძიდან აყრას, ძმათა შორის დაღვრილ სისხლს, ზურგს უკან უპატრონოდ მიტოვებულ გარდაცვლილებს, გადათელილ საფლავებს და გული გაუჩერდა.** ჩემს სახლში 27 ლტოლვილი მყავდა შეფარებული — ნათესავები და ოჯახის წევრები. ურთულესი პერიოდი იდგა ქვეყანაში. ამ ყველაფერმა მაიძულა, ბინა გამეყიდა, დამეტოვებინა 14 წლის შვილი, ბიჭი, თანაც — თბილისში. მადლობა ღმერთს, წესიერ, ზრდილობიან და კეთილ ადამიანად ჩამოყალიბდა. ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში: ახლა სად არის? ნეტა, რას შვრება, ვისთან ერთადაა?.. იქნებ როგორ ვჭირდებოდი ჩემს შვილს... ახალგაზრდობაში სულ მშობლებთან მსურდა ყოფნა... მე კი ჩემს შვილს სხვა კონტინენტზე უნდა ვეძებნე... **დავტოვე, დიახ, დავტოვე შვილი ქალმა, რომელსაც გიჟ დედას მეძახდნენ. ტელეფონით გავზარდე შვილი!**

## «დავტოვე, დიახ, დავტოვე შვილი ქალმა, რომელსაც გიჟ დედას მეძახდნენ. ტელეფონით გავზარდე შვილი!»

2003 წლის ნოემბრის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვემგზავრე. პირველი სამუშაო მქონდა ბრუკლინში (ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი — ქ. ტ.), მოლდოველ ებრაელ მოხუც ქალს ვუვლიდი. **დესპოტი იყო, მას ადამიანს ვერ ვუწოდებ. დეპრესიაში მყოფი კინაღამ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა. თავის მოსაკლავად ოკეანისკენ გავიქეცი... რობოტივით ვარ, ფიზიკურად თუ სულიერად მძიმე ავადმყოფების მოვლა-პატრონობას ვუნდები. მოხუცებს, როგორც პატარა ბავშვებს, ისე სჭირდებათ მოვლა. ზოგჯერ, როცა მოხუცი კვდებოდა, მიცვალებულის გაპატიოსნება მე მიწევდა...** ასეთია ემიგრანტის მძიმე ჯვარი! გამოცდილებიდან გამომდინარე ვთვლი, რომ შეცდომა დავუშვი, არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ დიდება უფალს, დღეს ცოცხალი ვარ და შემიძლია, მონატრებულ შვილს, დედასა და ჩემს დიდ ოჯახს დავეხმარო! ჩემს იმედზეა მოხუცი დედა, ძმა, სამი და, სტუდენტი დისშვილი, ჩემი ვაჟი მეუღლით და მცირეწლოვანი შვილით. 13 წელია, ტანჯვასა და უიმედობაში ვარ... **ის, რაც ევალება ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ემიგრანტებმა ვიტვირთეთ.**

## «პირველი სამუშაო მქონდა ბრუკლინში (ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი — ქ. ტ.), მოლდოველ ებრაელ მოხუც ქალს ვუვლიდი. დესპოტი იყო, მას ადამიანს ვერ ვუწოდებ. დეპრესიაში მყოფი კინაღამ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა. თავის მოსაკლავად ოკეანისკენ გავიქეცი... რობოტივით ვარ, ფიზიკურად თუ სულიერად მძიმე ავადმყოფების მოვლა-პატრონობას ვუნდები. მოხუცებს, როგორც პატარა ბავშვებს, ისე სჭირდებათ მოვლა. ზოგჯერ, როცა მოხუცი კვდებოდა, მიცვალებულის გაპატიოსნება მე მიწევდა. ასეთია ემიგრანტის მძიმე ჯვარი»

**— როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მუშაობას, აკეთებს ის რამეს ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად?**

— 2012 წელს ცვლილებებს მივეცი ხმა, იმედი მქონდა, ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. თურმე სადა ხარ?! კიდევ ერთხელ მოვტყუვდი! მიუხედავად ასაკისა და გამოცდილებისა, შეცდომა მაინც დავუშვი! **რად გვინდა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ელემენტარული საკითხების მოგვარებაც კი არ შეუძლია? ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების სასარგებლოდ არაფერი კეთდება, სულ არაფერი! პირიქით — რჩეულიშვილებმა ჩემი და ბევრი ჩემნაირად გადმოხვეწილის თანხები მიითვისეს წინა ხელისუფლების ხელშეწყობით. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კი პასუხი არ მოსთხოვა, ხელი დააფარა. რა გამოდის, თანამონაწილეობა ხომ? სადაა პატრონი?! საქართველოში რა ხდება? — ისევ შიმშილი, ისევ უიმედობა, უმუშევრობა, ინფლაცია, ლარის კურსი სადამდეა დაცემული?! მოკლედ, ეს ხელისუფლება გილიოტინაა, გაჭირვებული ადამიანების თავს ზემოთ აღმართული!**

**— რთულია სამშობლოსგან, ახლობლებისგან შორს ყოფნა...**

— ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს, უფერული და უსიცოცხლო. საკუთარი ნებით ამბობ უარს თავისუფლებაზე, ნუთუ ამაზე დიდი ტკივილი და სევდა არსებობს სხვა? საკუთარ თავს არ ვეკუთვნი. ზოგიერთი ეგუება ოჯახიდან შორს ყოფნას, ზოგი კი ოთახის ყვავილივითაა, სხვაგან ვერ ხარობს. მე დიდი ხნის წინათ მოვკვდი თბილისის აეროპორტში საბაჟოს გავლის შემდეგ, როდესაც მე და ჩემი შვილი სხვადასხვა მხარეს აღვმოვჩნდით. მას შემდეგ თითქოს სული ამომაცალეს. სამ დღეზე მეტს ვერსად ვძლებდი და წარმოიდგინეთ, ამდენი წელია, ოჯახს მოწყვეტილი ვარ. ან როგორ ვარსებობ?.. ხანდახან ჰაერს რომ ვსუნთქავ, ისიც მენანება ჩემთვის! შეწირულები ვართ ახლობლების კეთილდღეობას. გარემოების მსხვერპლი აღმოვჩნდით ქართველების უმრავლესობა. **სკამის მაძიებელთა ხელში, რომლებიც ამბიციურები, მაგრამ უუნარონი და უსუსურები არიან, ის საქართველო აღარ არსებობს, რომელსაც დიდი ოჯახის სახელით ვიცნობდი და მიყვარდა!**

**— რას ფიქრობენ ამერიკაში ქართველებზე?**

— ბევრი სალანძღავი სიტყვა ისმის ქართველების მისამართით, როცა პირიქით უნდა იყოს. რამდენიმე ათეული წელია, მკაცრი ეკონომიკური კრიზისის პირობებში უწევთ ბრძოლა არსებობისთვისო!

**— რას ეტყოდით სამშობლოში დარჩენილ ქართველებს?**

— მადლობა მინდა ვუთხრა მათ, დავლოცო, მოვეფერო და ვუსურვო ნათელი დღეები, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა! აფერუმ, მათ გამძლეობას, ამტანობას და მოთმინებას! უფალი იყოს ყველა ქართველის მფარველი! **ხელისუფლებამ სამოთხის სადარი ქვეყანა უდაბნოდ გადააქცა, გააუკაცრიელა, არადა, ქვეყნისთვის ისე უნდა მოევლოთ, როგორც ტაძრისთვის... მდიდარი მოსახლეობა, ხომ ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს!**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

მოკლედ

## სირიის სამთავრობო ჯარებმა კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს

**„სირიის სამთავრობო ჯარებმა რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების მხარდაჭერით ტერორისტებისგან გაათავისუფლეს ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი კინსიბა (პროვინცია ლატაკია), — იუწყება სააგენტო „როიტერი“.** სამხედრო ექსპერტების აზრით, კინსიმას გათავისუფლება სირიის სამთავრობო ჯარებს საშუალებას მისცემს, დაიწყოს ფართომასშტაბიანი ოპერაცია ქალაქ ჯისრ-ეშ-შუგურსა და შემდეგ პროვინცია იდლიბზე კონტროლის დასამყარებლად.

მხოლოდ თებერვალში სირიის სამთავრობო არმიამ რუსეთის ავიაციის დახმარებით 73 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა ტერორისტებისგან.



**ამჟამად ესპანეთი ევროკავშირის წევრია და ვინ იფიქრებდა, რომ ჰაბსბურგების ტახტისთვის გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტიდან 300 წლის შემდეგ, რომელშიც ბევრი ქვეყანა იყო ჩართული, ევროპაში სერიოზულად დაიწყებდნენ მსჯელობას ინცესტის დაკანონებაზე.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

# აკრძალული ხილი მწარეა

## ე.წ. ახალი გენდერული საზოგადოება ინცესტის დაკანონებას მოითხოვს



გერმანელ სისხლის აღმრევებს — პატრიკსა და სუზანს — ორი შვილი ინვალიდი ჰყავთ

**ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა და ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანის დაკანონების შემდეგ ევროპაში სერიოზულად დაიწყეს მსჯელობა ინცესტის ლეგალიზებაზე. ე.წ. ახალი გენდერული საზოგადოება თვლის, რომ ასეთი ურთიერთობის დაკანონება ახლო მომავალში სრულიად რეალურია შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში. მეტიც — მოუწოდებენ, კანონმდებლობით დაისაჯონ ინცესტოფობები — ნორმალური ადამიანები, რომლთათვისაც სისხლით ნათესავების სექსუალური კავშირი მიუღებელია.**

**შვედეთში ინცესტის** დაკანონებას მოითხოვს **მონიკა გრენი** — სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, **დანიაში** — პოლიტიკოსი **პერნილე შკიპერი, გერმანიაში** კი ეთიკის საკითხების საბჭოს თავმჯდომარე **კრისტიანა ვოპენმა** მოუწოდა, გაუქმდეს კანონი, რომელიც კრძალავს სისხლის აღრევას. გერმანია ჯერჯერობით უძლებს ე.წ. ახალი გენდერული საზოგადოების შეტევას. ცოტა ხნის წინათ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ღვიძლი და-ძმის — **პატრიკ შტიუბინგისა** და **სუზან კაროლევსკის** საქმე, რომლებმაც ოთხი ბავშვი გააჩინეს, მათ შორის, 2 — ინვალიდი. გერმანიის სასამართლომ ეს კავშირი დანაშაულად ჩათვალა და პატრიკ შტიუბინგს 14 თვით აღუკვეთა თავისუფლება, „ოჯახის დედა“ კი ფსიქიკური გადახრების გამო პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

**შვეიცარიის** პარლამენტმა გააუქმა მუხლი, რომელიც ინცესტის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ბუნება კი საუკუნეების განმავლობაში მიგვითითებდა, რომ ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი დეგრადაციისკენ მიმავალი გზაა.

### ბიძის პისტოლეტი

ცოტა შორიდან დავიწყოთ. ეგვიპტელი ფარაონები მხოლოდ სისხლით ნათესავებზე ქორწინდებოდნენ, რათა „წმინდა სისხლი არ დაებინძურებინათ“. შედეგად ლეგენდარული ქალი-მეფე **ნეფერტიტი** იძულებული იყო, მაღალი თავსაბურავი ეტარებინა — მისი კვერცხის მსგავსი თავის ქალა ჩვეულებრივზე 2-ჯერ დიდი იყო. ნეფერტიტის ქმარი **ეხნატონი** „ცხენისებრი სახით“ გამოირჩეოდა, ცნობილ **ტუტანხამონს** კი, რომელიც 18 წლისა გარდაიცვალა, სხეული, ხერხემლის შუიდან ზემოთ, ძვლოვანი ჰქონდა — თავს ვერ აბრუნებდა და იძულებული იყო, მთელი ტანით შემობრუნებულიყო.

სისხლის აღრევის გამო **ჰაბსბურგების** სამეფო დინასტიის ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც ევროპის ბევრ სახელმწიფოს საუკუნეების განმავლობაში მართავდნენ, ინვალიდი და მახინჯი დაიბადა.

მაგალითად, 1661 წლის 6 ნოემბერს ესპანეთის სამეფო ოჯახში დაიბადა დიდი ხნის ნანატრი მემკვიდრე, რომელსაც, 4 წლისაც არ იყო, თავზე გვირგვინი რომ დაადგეს. ამ წლოვანების ბიჭი ვერ ლაპარაკობდა, 8 წლამდე ვერ დადიოდა. ეპილეფსია, დიარეა, სიფილისი, ფსიქიკის პრობლემები — ეს არ არის სრული ჩამონათვალი პრობლემებისა, რომლებიც ჭაბუკ მონარქს ჰქონდა. **კარლ II მოჯადოებულმა** ორჯერ იქორწინა, ორივე ქორწინება უნაყოფო აღმოჩნდა. 30 წლის მეფე მოხუცივით გამოიყურებოდა, სიცოცხლის ბოლო წლებში კი საწოლიდან ვერ დგებოდა (სულ 39 წელი იცოცხლა). მახინჯი „ჰაბსბურგული ტუჩი“ არაფერია მოღრეცილ ქვედა ყბასთან შედარებით, რომელიც მეფეს საკვების ღეჭვაში ხელს უშლიდა. ეს კი იმის ბრალი იყო, რომ ჰაბსბურგები დეიდაშვილ-ბიძაშვილებზე ქორწინდებოდნენ. სწორედ ასეთი ნათესაური კავშირის შედეგად გაჩნდა კარლ II. მისი სიკვდილის შემდეგ ჰაბსბურგებიდან ტახტის მემკვიდრე აღარავინ დარჩა. 4 დეგენერატი ძმა დაბადებისთანავე დაიღუპა, შედეგად ესპანეთის მეფის ტახტისთვის დაიწყო ომი, რომელმაც ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქვეყანა ძალიან დაასუსტა. ამჟამად **ესპანეთი ევროკავშირის წევრია და ვინ იფიქრებდა, რომ ჰაბსბურგების ტახტისთვის გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტიდან 300 წლის შემდეგ, რომელშიც ბევრი ქვეყანა იყო ჩართული, ევროპაში სერიოზულად დაიწყებდნენ მსჯელობას ინცესტის დაკანონებაზე.**



ნეფერტიტი



კარლ II მოჯადოებული

### ღმერთის სახელით

ევროპელი გარყვნილები არა მხოლოდ არ მალავენ თავიანთ სექსუალურ გადახრებს, არამედ თავის გასამართლებლად ბიბლიას იშველიებენ. აქაოდა, ყველა ადამიანი ადამისა და ევასგან წარმოიშვა და ნათესავებს შორის სექსუალური კავშირები გარდაუვალი იქნებოდაო. არადა, ძველ აღქმაში პირდაპირ არის მითითებული სისხლის აღრევის აკრძალვაზე.

**სპეციალისტთა აზრით, ადამიანის გენოფონდი ისეა დაბინძურებული, რომ გარყვნილთა „პროგრესული“ ინიციატივები, სრულ გადაშენებამდე მიგვიყვანს.**

## ქმრებს, რომლებიც განქორწინებაზე უარს ამბობდნენ, მღვდელმსახურთა მითითებით აწამებდნენ

**აშშ-ში სამართალდამცველებმა რაბინების (ებრაელი მღვდელმსახურები) ჯგუფთან ერთად (ამ ჯგუფში შედიოდნენ მენდელ ეპშტეინი, მარტინ უოლმარკი და ჯეი გოლდშტეინი) დააპატიმრეს მათი თანამზრახველებიც — ძირითადად, ათლეტური აღნაგობის მამაკაცები.**

დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სადისტურად ექცეოდნენ ქმრებს, რომლებიც არ თანხმდებოდნენ განქორწინებაზე რელიგიური კანონის (ამ დოკუმენტს ეწოდება „გეტი“) გამო. იტაცებდნენ მათ და იქამდე სცემდნენ და აწამებდნენ, სანამ არ აღიარებდნენ, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ბოროტმოქმედები იყენებდნენ ელექტროშოკერებს, სკალპელებსა და პლასტიკატის ტომრებს თავზე წამოსაცმელად. მომსახურებისთვის თითოეული კლიენტი ქალისგან 20 ათას დოლარს იღებდნენ. შეკვეთების დეფიციტი კი არ ჰქონდათ. საქმე ის არის, რომ განქორწინების შემდეგ იუდეველი მამაკაცი ვალდებულია, კმაყოფაზე ჰყავდეს არა მხოლოდ შვილები, არამედ ღირსეული ცხოვრების დონით უზრუნველყოს ყოფილი ცოლიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კვლავ გათხოვდება. ამის გაკეთება კი ქალს მხოლოდ „გეტის“ მიღების შემდეგ შეუძლია.



უცხოურ მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სატანკო ათეულმა პურის ყანაში ოთხი წითელარმიელი ალყაში მოვაქციეთ. ისინი იბრძოდნენ თავგანწირვით, ხელში მხოლოდ ავტომატები ეჭირათ... როდესაც ტყვიები გაუთავდათ, ერთ-ერთი ჩვენკენ გამოემართა დაჭრილი, სისხლში ამოსვრილი. ჩვენ სათვალთვალოდან მათ გმირულ შემართებას ვუყურებდით და არ ვესროდით. ჩვენკენ წამოსულზე, ვიფიქრე, ალბათ, გვნებდება და მოენედ დაგვჭირდება-მეთქი. ტანკის ლუკებიდან ამოვედით და ხელი დავუქნიეთ. როცა ახლოს მოვიდა, ჯარისკაცის ნიჩაბი უსწრაფესად ამოაძრო გუდიდან და ძლიერად გვესროლა, თან შემოგვძახა: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“, ამ ხალხს ვერანაირი ძალა ვერ დაამარცხებს“.

# სტალინი მესამე მსოფლიო ომში

**„მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიადი ერია. ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია, ისინი დარჩებიან...
ამიტომ ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ გერმანელები შეიძლება კვლავ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ ასე მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისკენ“, — ეს არის ამონარიდი 1945 წლის 23 მარტს კრემლში ჩეხოსლოვაკიელების მიღების გამო გამართულ სადილზე სტალინის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოდან.**

ევროპა თვეში ჩამდგარი ქალბატონია, რომელმაც ეს-ეს არის უნდა შვას ახალი ჰიტლერი. მკითხველმა ცუდად რომ არ გამიგოს და ახალი ფიურერის დაბადება ანგელა მერკელზე არ გადაიტანოს, უნდა განვმარტო, რომ მონები ფიურერებსა და მთავარსარდლებს ვერ შობენ...

1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლების გმირული ეპოპეის შემდეგ, ფაშიზმის მზის ჩასვენების აღსანიშნავად გენიალური ტილო შექმნა დიდმა ესპანელმა მხატვარმა **სალვადორ დალიმ**, მან თავის შედევრში — **„გეოპოლიტიკური ჩვილი, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“** — ზრდასრულად ცნო კვერცხის ფორმის დედამიწის შუაგულში ჩასახული ადამიანი, რომელმაც კვერცხის თუ დედამიწის სფეროს კედელი გამოანგრია, რადგან მეტი სივრცე და ჰაერი სჭირდებოდა და გარეთ გამოსვლას ცდილობს. დაბადებას, როგორც ჩანს, ყველგან სისხლი სდევს და არც ამ ტილოზეა სისხლის ნაკლებობა, მაგრამ საინტერესო არის ის, რომ დედამიწის სფეროს შუაგულიდან სიცოცხლის დაბადებას თვალყურს ადევნებს გეოპოლიტიკოსი და მისი საჩვენებელი თითი მიმართულია ორ ზღვას შუა მდებარე კავკასიონზე, სადაც დიდმა მხატვარმა, პირობითად, სრულიად ახალი სიცოცხლის დაბადება იწინასწარმეტყველა.

**ვერც ევროპა შობს ახალ ჰიტლერს და ვერც დედამიწის ქერქს გამოანგრევს ახალი სტალინი, მაგრამ, თუ რეალურად შევხედავთ მოვლენებს, დავინახავთ, რომ აშკარაა კაპიტალიზმის კრიზისი, რომელმაც თავის უფსკერო ჯურღმულებში ჩაითრია არა მხოლოდ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ თითქმის მთელი მსოფლიო. რით შეუძლია იხსნას თავი კაპიტალისტურმა სისტემამ საფრთხისგან, რომელიც, ალბათ, გარდაუვალია?**

ცნობილი გამოთქმა „ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია“ მიესადაგება 1934 წლის 26 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობაზე სტალინის მიერ წინასწარმეტყველურად ნათქვამს:

„კაპიტალიზმს აღარ შეუძლია, გამოსავალი გამონახოს ახლანდელი მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამოც იძულებულია, მიმართოს ომის პოლიტიკას. როგორც ხედავთ, საქმე მიდის ახალი იმპერიალისტური ომისაკენ, როგორც გამოსავლისაკენ ახლანდელი მდგომარეობიდან. რასაკვირველია, არ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ომს შეუძლია მისცეს მათ ნამდვილი გამოსავალი. პირიქით, მან კიდევ უფრო უნდა გაართულოს მდგომარეობა. უფრო მეტიც, ის უეჭველად ხელს გაუხსნის რევოლუციას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კაპიტალიზმის არსებობას მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველი იმპერიალისტური ომის მსვლელობისას. Dდა თუ, მიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილებისა, ბურჟუაზიული პოლიტიკოსები მაინც ებღაუჭებიან ომს, როგორც წყალწაღებული ხავსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ, ჩიხში მოემწყვდნენ და მზად არიან, თვალდახუჭული გადაეშვან უფსკრულში. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, მოკლედ განვიხილოთ ომის ორგანიზაციის გეგმა, რომელსაც ახლა ამუშავებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსების წრეებში. კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს „უმაღლესმა რასამ“, ვთქვათ, გერმანულმა, „დაბალი რასის“, პირველ რიგში, სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია, გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე. დავუშვათ, ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებისგან, როგორც ცა დედამიწისგან, — დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია განახორციელეს პრაქტიკულად. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ცნობილია, რომ **ძველი რომი სწორედ ისე უყურებდა გერმანელებისა და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად უყურებენ „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას“, „ბარბაროსებს“, რომლებიც მოწოდებული არიან, მუდამ ემორჩილებოდნენ „უმაღლეს რასას“ — „დიდ რომს“, ამასთანავე, — ჩვენ შორის დარჩეს, — „ძველ რომს“ ამისათვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ამჟამინდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლებზე.** მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ ყველა არარომაელი, ესე იგი, ყველა „ბარბაროსი“ გაერთიანდა საერთო მტრის წინააღმდეგ და იერიშით დაამხეს რომი. ჩნდება კითხვა — სად არის გარანტია, რომ ამჟამინდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენელთა პრეტენზიები არ მიიყვანს მათ სავალალო შედეგებამდე? სად არის გარანტია, რომ ფაშისტი პოლიტიკოსები ბერლინში უფრო ბედნიერნი აღმოჩნდებიან, ვიდრე ძველი და გამოცდილი დიდმპყრობლები რომში? განა უფრო მართებული არ იქნება, წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი? მეორენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **ისინი ფიქრობენ გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ სამხედრო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის წრეებში.** დავუშვათ, ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისთვის ყველაზე საშიში. ის იქნება ყველაზე საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრისთვის, არამედ იგი ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისათვის იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მხოლოდ ფრონტებზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეიტანოს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან თავიანთ მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ მათთვის ახლობელი მთავრობები, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“. თუ გახსოვთ, 15 წლის წინათ უკვე იყო ერთი ასეთი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ყველასგან პატივცემულმა ჩერჩილმა მაშინ ეს ომი გამოხატა პოეტური ფორმულით — „თოთხმეტი სახელმწიფოს შესევა“. რასაკვირველია, ამ ომმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მჭიდროდ გააერთიანა ბანაკად თავდადებული მებრძოლებისა, რომლებიც მკერდით იცავდნენ თავიანთ მუშურ-გლეხურ სამშობლოს მტრებისგან. თქვენ იცით, იგი რით დამთავრდა. იგი დამთავრდა ინტერვენტების განდევნით ჩვენი ქვეყნიდან და რევოლუციური „მოქმედების კომიტეტების“ შექმნით ევროპაში. **არა მგონია, საეჭვო იყოს, რომ მეორე ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობების დამხობა.** ასეთია გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარი გეგმები. როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით, არც მამცობით“ (სტალინი საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-17 ყრილობაზე. 1934 წელი გვ. 16-17).



**ერთი სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე, თუნდაც, უიარაღოდ, სტალინის გენერალისიმუსისფორმიანი ფოტოს ჩატარება მავზოლეუმის ტრიბუნების წინ და მსოფლიო მიხვდება, რომ ახალ ჰიტლერს ახალი სტალინი დაუხვდა წინ. დაუხვდება რუსული პატრიოტიზმი და მართლმადიდებლობა, გაიღვიძებს რუსული ნაციონალიზმი, რომელსაც აბრერიგად ლანძღავდნენ და ვლანძღავდით ჩვენც. რუსულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უნდა გადაარჩინოს მსოფლიოს მართლმადიდებლობა და კეთილშობილი სლავი ხალხი**

ნათელმხილველის ნათქვამის ახდენა 1939 წელს დაიწყო, როდესაც კაპიტალისტური სამყაროს წაქეზებითა და მხარდაჭერით ჰიტლერი პოლონეთში შეიჭრა. სლავური სახელმწიფოები ფიურერმა საზეიმო მარშით შემოიარა. დაპყრობილი ქვეყნების მილიონობით ადამიანი ქუჩაში ხვდებოდა კაბრიოლეტში ხელაწეულ ჰიტლერს და ერთხმად შესძახოდა: „ჰაილ, ჰიტლერ!“. პასუხიც ერთი იყო: „ჰაილ!“.

**წინასწარმეტყველის (სტალინის) მეორე ნათელხილვა კი 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო, როდესაც მსოფლიოში უძლიერესი არმია 170 დივიზიით თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.**

ისტორიის ზოგიერთი ფალსიფიკატორი მუქ ფერებში ხატავს 22 ივნისს, როგორც ომის დაწყების პირველი დღის დაბნეულობას და პირველ მარცხს, რომელიც დიდხანს მოყვებოდა წითელ არმიას. თითქოს სტალინი მოუმზადებელი შეხვდა ომს, რადგან სჯეროდა, რომ ფიურერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს არ წამოიწყებდა.

მაგალითისთვის მხოლოდ ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო: **1941 წლის აპრილის ბოლოს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები თათბირზე მიიწვიეს და გააფრთხილეს, რომ 5 მაისს ისინი მიწვეულნი იყვნენ კრემლში.** მწყობრად დაწყობილი აკადემიის კურსდამთავრებულები 5 მაისს კრემლისაკენ დაიძრნენ. სათანადო შემოწმების შემდეგ ახალგაზრდები კრემლის ანდრეევის დარბაზში მიიწვიეს. 17 საათსა და 55 წუთზე პრეზიდიუმში გამოჩნდენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი **ტიმოშენკო,** მარშლები და ადმირალები. სცენის სიღრმეში პოლიტბიუროს სრულ შემადგენლობას წინ მოუძღოდა სტალინი. ოვაციებისაგან დარბაზი ინგრეოდა. ტიმოშენკომ დამსწრეთ დაწყნარებისკენ მოუწოდა და გამოაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით სიტყვა ეძლევა ამხანაგ სტალინს. ტრიბუნაზე ასულმა **სტალინმა** დაიწყო:

— უპირველესად, გილოცავთ სასწავლებლის დამთავრებას თქვენს პროფესორმასწავლებლებთან ერთად. ალბათ, გაინტერესებთ, რისთვის მოგიწვიეთ აქ. უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როცა წახვალთ ახალ სამსახურში ზღვაზე თუ ხმელეთზე, აუცილებელად შეგეკითხებიან: რა ხდება ქვეყანაზე? რა დაემართა საფრანგეთს, რატომ ითმენს ამდენ დამარცხებას ინგლისი? ნუთუ მართლა უძლეველია გერმანული არმია? როგორი იქნება მსოფლიო მომავალში? — ამ საკითხებზე მინდა გელაპარაკოთ და გავცე პასუხი ამ კითხვებს.

გერმანელები, — განაგრძობს სტალინი, — ძალზე დაჩაგრულად გრძნობენ თავს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომ მათ არ აქვთ სასიცოცხლო სივრცე, მაშინ, როცა: „გერ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი ჰიტლერი გამოჩნდა მაშინ, როდესაც ნატომ შუაგული ევროპა და Kკოსოვო დაბომბა, როდესაც დაშალეს და დაანგრიეს ევროპის ერთ-ერთი ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო იუგოსლავია, როდესაც ციხეში მოკლეს თავისი ქვეყნის პატრიოტი მილოშევიჩი; როდესაც მოსპეს და დაანგრიეს ცივილიზაციის პირველსაწყისი — შუამდინარეთი; სამარცხვინოდ, ჭორების საფუძველზე საქვეყნოდ ჩამოახრჩეს სადამ ჰუსეინი; ჯერ ჯოხით გააუპატიურეს, ხოლო შემდეგ ბრბოს ჩააქოლინეს მუამარ კადაფი.**

◀ მანია ყველაზე ძლიერი ქვეყანაა მსოფლიოში“, „ჩვენ, გერმანელები, ყველაზე ჭკვიანი და ძლიერი ერი ვართ. ღმერთისგან გაჩენილი რასა, რომელსაც ეკუთვნის, იბატონოს დანარჩენ ხალხებზე“. „გერმანულ არმიას აქვს ყველაზე საუკეთესო იარაღი მსოფლიოში“.

ჰიტლერელთა ეს განცხადება არის ყველაზე საშიში, არა მხოლოდ რიგი ქვეყნებისთვის, არამედ ძირითადი საფრთხეა საბჭოთა კავშირისთვის.

რაც შეეხება საფრანგეთის დამარცხებას, ეს ასეც იქნებოდა, რადგან საფრანგეთის არმიას ჰყავს ყველასათვის უცნობი გენერლები და მინისტრები. ისინი ჯარის მშენებლობის ნაცვლად ჩართულნი არიან ბიზნესში, თავიანთ საქმეს აკეთებენ და აქვეითებენ ფრანგული ჯარის პრესტიჟს. მათი ავტორიტეტი ისე დაეცა, რომ ფრანგ ოფიცრებს გოგონებიც აღარ მიჰყვებიან ცოლად. რაც შეეხება გერმანულ არმიას, ის მართლაც ძლიერი და კარგად შეიარაღებულია, მაგრამ არა უძლეველი. კართაგენსაც ეგონა, რომ უძლეველი არმია ჰყავდა **ჰანიბალის** სარდლობით, მაგრამ ის რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს. ასე ფიქრობდა **ნაპოლეონიც** თავის უძლეველობაზე, მაგრამ, ის რუსეთმა კუტუზოვის მეთაურობით დაამარცხა. ასევე ცდებიან გერმანელები, როდესაც თავიანთ უძლეველობაზე ლაპარაკობენ, ჩვენ საკმაოდ ძლიერი არტილერია გვყავს და ვიბრძვით მისი შემდგომი გაძლიერებისთვის. ჩვენმა შესანიშნავმა კონსტრუქტორებმა შექმნეს საშუალო ტანკი T-34-ი, რომელიც არათუ ჩამოუვარდება გერმანულ შესაბამის ტანკებს, არამედ გაცილებით აღემატება მათ. ასევე გვაქვს მძიმე ტანკი KB. მართალია, ჩვენ არ გვყავს ისეთი ძლიერი ავიაცია, როგორიც გერმანელებს, მაგრამ გვყავს უნიჭიერესი ავიაკონსტრუქტორები, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ ამ ნაკლის გამოსასწორებლად. თქვენ სამი-ოთხი წლის წინათ დატოვეთ თქვენი ხომალდები. აი, დაბრუნდებით უკან და ვეღარ იცნობთ თქვენს ხომალდებს. ჩვენ ისინი ძირფესვიანად შევცვალეთ. იქ სულ სხვა გარემო და სამუშაო დაგხვდებათ“.

შემდგომ სტალინმა ყურადღება გაამახვილა ხელმძღვანელი კადრების აღზრდაზე არმიაში:

„აკადემიაში ახალგაზრდებს უნდა შევასწავლოთ ახალი ტექნიკა. უნდა ვასწავლოთ ახალი აზროვნება. თანამედროვე ომს თანამედროვე აზროვნება სჭირდება. მე მყავს ნაცნობები, რომლებიც სწავლობენ საარტილერიო აკადემიაში, მე წავიკითხე ერთ-ერთის კონსპექტები და გამაკვირვა, რომ ის დიდ დროს კარგავს ისეთი ტექნიკის ათვისებაში, რომლებსაც 1916 წლიდან აღარ იყენებენ. ეს ხომ ყოვლად დაუშვებელია!“

ამ მომენტში წინა რიგებიდან მსხდომი აკადემიის ხელმძღვანელებიდან ვიღაცამ წამოიძახა: „არასწორია“. მას სტალინმა უპასუხა:

„გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ, მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, გეუბნებით, მე თვითონ წავიკითხე თქვენი აკადემიის მსმენელის ჩაწერილი კონსპექტი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინი თავისი შვილის — იაკობისაგან ფარულად კითხულობდა მის ყველა კონსპექტს. იაკობი სწორედ საარტილერიო აკადემიაში სწავლობდა და ამ თათბირსაც ესწრებოდა).

სტალინმა ხაზი გაუსვა **კადრების მორალურ-პოლიტიკურ აღზრდას**, რაშიც თავისი როლი უნდა შეესრულებინა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

ხაზი გაუსვა **ფინეთის ომს** — მიუხედავად გამარჯვებისა, წითელი არმიის მიერ დაშვებულ შეცდომებს და მოუმზადებლობას, „რასაც არა ყოველდღიურად, არამედ საათობრივად უნდა ვასწორებდეთ ყველგან, ყველა ფეხის ნაბიჯზე. ჩვენ არ ვართ მზად თანამედროვე ომში გამარჯვებისათვის, არც ტექნიკით და არც მებრძოლთა მომზადებით, მაგრამ ამის შესახებ, ძალიან გთხოვთ, არ იყბედოთ“.

დასასრულ, სტალინმა განაცხადა:

**„გერმანიას სურს, მოსპოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, გერმანიას სურს, გაანადგუროს ჩვენი დიადი სამშობლო, მოსპოს მილიონობით ჩვენი მოქალაქე, ცოცხლად გადარჩენილები კი მონებად გაიხადოს. ჩვენი ქვეყნის ხსნა არის მტრის ღირსეული დახვედრა და გამარჯვება ამ ომში გერმანულ ფაშიზმზე.**

**გაუმარჯოს მომავალ ომში ჩვენს გამარჯვებას!“**

აი, ასე დაასრულა 1941 წლის 5 მაისს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებთან თავისი შეხვედრა ქვეყნის მეთაურმა სტალინმა.

47 დღის შემდეგ, 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

22 ივნისი მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და გმირული ეპოპეებით სავსე დღეა.

რამდენიმე ხნის წინათ გერმანულმა მედიასაშუალებამ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, გაეგზავნათ მეორე მსოფლიო ომის ფრონტიდან ახლობლებისგან მიღებული წერილები. სიზუსტისა და აკურატულობის სანიმუშო მაგალითია ფრონტიდან გაგზავნილი წერილების კვალიფიკაცია და მათი პირუთვნელად გამოქვეყნება.

ყველაზე ყურადსაღები მაინც ომის პირველი დღის, 22 ივნისის, წერილებია. **შვილი მამას წერს:**

„აქ ის ომი არ არის, ევროპაში რომ ვაწარმოებდით. აქ, გამარჯვებისათვის კი არა, სიკვდილისთვის იბრძვიან”.

**ქმარი მეუღლეს ფრონტიდან წერს:**

**„სატანკო ათეულმა პურის ყანაში ოთხი წითელარმიელი ალყაში მოვაქციეთ. ისინი იბრძოდნენ თავგანწირვით, ხელში მხოლოდ ავტომატები ეჭირათ. მოდიოდნენ ახლოს და მიჯრით გვესროდნენ. როდესაც ტყვიები გაუთავდათ, ერთ-ერთი ჩვენკენ გამოემართა დაჭრილი და სისხლში ამოსვრილი. ჩვენ სათვალთვალოდან მათ გმირულ შემართებას ვუყურებდით და არ ვესროდით.**



**1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლების გმირული ეპოპეის შემდეგ, ფაშიზმის მზის ჩასვენების აღსანიშნავად გენიალური ტილო შექმნა დიდმა ესპანელმა მხატვარმა სალვადორ დალიმ. მან თავის შედევრში — «გეოპოლიტიკური ახალშობილი, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას» — ზრდასრულად ცნო კვერცხის ფორმის დედამიწის შუაგულში ჩასახული ადამიანი, რომელმაც კვერცხის თუ დედამიწის სფეროს კედელი გამოანგრია, რადგან მეტი სივრცე და ჰაერი სჭირდებოდა, და გარეთ გამოსვლას ცდილობს... დედამიწის სფეროს შუაგულიდან სიცოცხლის დაბადებას თვალყურს ადევნებს გეოპოლიტიკოსი და მისი საჩვენებელი თითი მიმართულია ორ ზღვას შუა მდებარე კავკასიონზე, სადაც დიდმა მხატვარმა, პირობითად, სრულიად ახალი სიცოცხლის დაბადება იწინასწარმეტყველა**

**ჩვენკენ წამოსულზე ვიფიქრე, ალბათ, გვნებდება და მოენედ დაგვჭირდება-მეთქი. ტანკის ლუკებიდან ამოვედით და ხელი დავუქნიეთ. როცა ახლოს მოვიდა, ჯარისკაცის ნიჩაბი უსწრაფესად ამოაძრო ბუდიდან და ძალზე ძლიერად გვესროლა, თან შემოგვძახა: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“. ეს უკვე ომი აღარ არის, ეს სულ სხვა რამეა, რასაც ჩვენ აქ ვუყურებთ. ამ ხალხს ვერანაირი ძალა ვერ დაამარცხებს“.**

რა არის ეს — იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, სიმდიდრისაკენ სწრაფვა, დიდების მაძიებლობა, მოჩვენებითობა თუ იოლი გაჯირითება? — არა და არა!

ეს არის ის, რასაც რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატი „ედინაია როსიას“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერი **მაქსიმ მიშენკო** ამბობს:

**„თუ ხვალ გამოჩნდება ახალი ჰიტლერი, ჩვენ მას ახალი სტალინით ვუპასუხებთ“.**

რას ნიშნავს ახალი ჰიტლერის გამოჩენა?

ახალი ჰიტლერი გამოჩნდა მაშინ, როდესაც შუაგული ევროპა და კოსოვო ნატომ დაბომბა, როდესაც დაშალეს და დაანგრიეს ევროპის ერთ-ერთი ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო იუგოსლავია, როდესაც ციხეში მოკლეს თავისი ქვეყნის პატრიოტი **მილოშევიჩი**; როდესაც მოსპეს და დაანგრიეს ცივილიზაციის პირველსაწყისი — **შუამდინარეთი**; სამარცხვინოდ, ჭორების საფუძველზე საქვეყნოდ ჩამოახრჩეს **სადამ ჰუსეინი**; ჯერ ჯოხით გააუპატიურეს, ხოლო შემდეგ ბრბოს ჩააქოლინეს **მუამარ კადაფი.** მსგავსად ფაშიზმისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ შექმნა „ალ ქაიდა“, „თალიბანი“ და სხვა უამრავი ტერორისტული ორგანიზაცია და ბოლოს — ტერორისტული დაჯგუფება **„ისლამური სახელმწიფო“.**

ფაშიზმი და ჰიტლერის გაცოცხლებაა, როდესაც ამერიკა სრულიად უმიზეზოდ მოუწოდებს ევროპას და მსოფლიოს, დაირაზმონ რუსეთის წინააღმდეგ და ბლოკადა გამოუცხადონ ამ ქვეყანას.

სად არის სტალინი?

სტალინის წინაშე რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილსა და რუსეთის ლიდერებს სინდისი სუფთა არ აქვთ და ამიტომაც არ სურთ ქარქაშიდან ყოვლისმძლეველი სტალინის ხმლის ამოღება. **ერთი სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე, თუნდაც უიარაღოდ, სტალინის გენერალისიმუსისფორმიანი პორტრეტის ჩატარება მავზოლეუმის ტრიბუნების წინ და მსოფლიო მიხვდება, რომ ახალ ჰიტლერს ახლი სტალინი დაუხვდა წინ.** დაუხვდება რუსული პატრიოტიზმი და მართლმადიდებლობა, გაიღვიძებს რუსული ნაციონალიზმი, რომელსაც აგრერიგად ლანძღავდნენ და ვლანძღავდით ჩვენც. რუსულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უნდა გადაარჩინოს მსოფლიოს მართლმადიდებლობა და კეთილშობილი სლავი ხალხი.

აი 1934 წელს სტალინის ნათქვამი სიტყვები:

**„რატომ, ჰგონიათ გერმანელებს, რომ მათ უფრო ცუდი დღე არ დაადგებათ რაიხსტაგში, ვიდრე რომაელებს რომში?“**

ხომ გამართლდა ბელადის სიტყვები, როდესაც ჰიტლერმა 1945 წლის 30 აპრილს თავისი ხელით გადაისხა თავზე ბენზინი კანისტრიდან, გებელსმა და მისი მეუღლემ კი შვილებსა და ერთმანეთს საწამლავის მომაკვდინებელი ინიექციები გაუკეთეს. ჰიტლერის გვამის ამოცნობა მხოლოდ და მხოლოდ მისი კბილებით შეძლეს.

**ოლიგარქობა და ქვეყნის მსახურება-მეთაურობა ერთად არ გამოდის. ქვეყნის მართვას ცივი გონება და სუფთა ხელები სჭირდება. არის კი ქვეყანა ამისთვის მზად?**

ძაღლებისა და კატების ჭამა უფრო იოლი საქმე მგონია, ვიდრე განავლისა, რასაც ასე ხშირად მიირთმევენ ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფალნი. **არც ვასილი სტალინსა და არც იაკობ ჯუღაშვილს თვითონ არ აურჩევიათ სამხედრო სასწავლებლები, ისინი მამის დავალებით ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, რადგან სამშობლოს დაცვა სჭირდებოდა და ქვეყანას უნდა დაენახა, რომ სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი, უპირველესად, ქვეყნის მეთაურიდან უნდა იწყებოდეს.** დღევანდელი სახელმწიფო მოღვაწეები თუ მოხელეები კი თავიანთ შვილებზე ამბობენ:

„ჩვენ შვილებს ვერ ვეტყვით, რომ მათ სამშობლოს შესწირონ თავი, მათ ისე უნდა იცხოვრონ, როგორც სურთ“.

მიწაში გადაბრუნდებოდა **ხევისბერი,** რომელმაც ნაროვანთან ხევის ღალატისთვის შვილი ხანჯლით განგმირა; ალბათ, როგორ ოხრავს **გიორგი სააკაძე,** რომელმაც ულამაზესი პაატა ანაცვალა მარტყოფის ველზე გამართულ ბრძოლებს, რომ არაფერი ვთქვათ **იაკობ ჯუღაშვილზე,** რომელმაც სიკვდილი ამჯობინა ღირსეული მამის სახელისთვის ოდნავი ჩრდილის მიყენებას.

მართალია, ქართველ ხალხს პატრიოტული და ნაციონალური სული ამოგვაცალეს და ამერიკული სული ჩაგვბერეს, მაგრამ, როგორც ადრეულ ეპოქაში, ახლაც იმედით ვცხოვრობთ და ვიცოცხლებთ, რადგან სულიერად ჯერ კიდევ ვარ დიდი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მოქალაქე და მსოფლიოში ყველაზე დიდი ერის, რუსი ხალხის იმედად, რომელსაც აქვს ყველანაირი თანამედროვე იარაღი და დამატებით — ჯერ კიდევ შუსწავლელი და შეუდარებელი, ყოვლის მძლეველი და განუზომლად დიდი ენერგიის მქონე ბომბი — **სტალინური პატრიოტიზმი,** რომელიც ნებისმიერ ომში გამარჯვების ყველაზე საიმედო გარანტი იქნება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანეთის გასვლა შეამცირებს ევროკავშირის ეკონომიკურ წონას. მასზე მოდის ევროკავშირის მოსახლეობის 13%, ხოლო მისი ეკონომიკა მოწინავეთა სამეულშია — 28 წევრი ქვეყნის საერთო სიმდიდრის დაახლოებით 15%-ს შეადგენს. ლონდონი ევროპული ინსტიტუტების ბიუჯეტის 12%-ს იძლევა, ბრიტანეთის კავშირიდან გასვლის შემთხვევაში ევროპული კომისია და პარლამენტი წელიწადში 14 მილიარდ ევროს დაკარგავს.**



# რას მოიტანს ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა

**ბრიუსელში გამართულ სამიტზე, რომლის მიზანი იყო, დაერწმუნებინა ბრიტანეთი, დარჩენილიყო ევროკავშირში, ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი ცდილობდა, მაქსიმალური დათმობები გამოეტყუებინა ევროპელებისთვის, რათა ბრიტანელები ევროკავშირში დარჩენაზე დაეთანხმებინა. კემერონმა პირობა დადო, რომ 2017 წლის ბოლოს ქვეყანაში რეფერენდუმს გამართავს ბრიტანეთის ევროკავშირის წევრობის შესახებ. მისი აზრით, ბრიტანეთის კავშირიდან გასვლა ქვეყანას არაერთგვაროვან შედეგებს მოუტანს.**



თუკი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავა, მას ახალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმება დასჭირდება კავშირში დარჩენილ 27 ქვეყანასთან, რათა ბრიტანულმა კომპანიებმა შეძლონ საკუთარი საქონლის გაყიდვის გაგრძელება ევროპულ ბაზარზე ისე, რომ გაზრდილ ტარიფებსა და სხვა შეზღუდვებს არ გადააწყდნენ.

გასვლის მომხრეები თვლიან, რომ ბრიტანეთი შეძლებს მშვიდობიანად გაყრას და ეს მას საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს მჭიდრო სავაჭრო კავშირები ევროკავშირის ქვეყნებთან.

ამ საკითხზე არსებობს რამდენიმე შესაძლო ვარიანტი.

**ნორვეგიული ვარიანტი:** ბრიტანეთი გადის ევროკავშირის შემადგენლობიდან და უერთდება ევროპულ ეკონომიკურ ზონას, რომელიც უზრუნველყოფს მას ერთიანი ევროპული ბაზრისადმი წვდომით. გამონაკლისი იქნება მხოლოდ ეკონომიკის ფინანსური სექტორის ნაწილი. ეს ბრიტანეთს გაათავისუფლებს ევროკავშირის წესებისგან სოფლის მეურნეობის, თევზჭერის, სამართლისა და სხვა სფეროებში.

**შვეიცარიული ვარიანტი:** დიდი ბრიტანეთი მიბაძავს შვეიცარიის მაგალითს. ეს ქვეყანა კი, როგორც ცნობილია, არ შედის არც ევროკავშირის და არც ევროპული ეკონომიკური ზონის შემადგენლობაში. ის ბრიუსელთან ცალცალკე ხელშეკრულებებს აფორმებს ეკონომიკის თითეული სექტორისთვის.

**თურქული ვარიანტი:** დიდ ბრიტანეთს შეუძლია საბაჟო კავშირში შევიდეს ევროკავშირთან, რომელიც მის მრეწველობას ევროპული ბაზრისადმი თავისუფალი წვდომით უზრუნველყოფს, მაგრამ ფინანსური სექტორი ამგვარ წვდომას ვერ მიიღებს.

* ბრიტანეთს ასევე შეუძლია, სცადოს ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, შვეიცარიის მოდელის მსგავსად, მაგრამ ეკონომიკის ფინანსური სექტორის ევროპული ბაზრისადმი წვდომის გარანტიით, ასევე, საერთო სავაჭრო წესების ფორმირებისა და შესრულების კონტროლში გარკვეული წილით.

* დიდ ბრიტანეთს შეუძლია სრულად გაწყვიტოს ურთიერთობა ევროკავშირთან და მხოლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს დაეყრდნოს.

ვინც ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის მომხრეა, ამბობს, რომ ბრიტანეთს არ შეეფერება არც ნორვეგიული, არც შვეიცარიული და არც თურქული მოდელი.

მათ სურთ, **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გააფორმონ ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ბრიტანეთზე არ გავრცელდება ევროკავშირის კანონები, ქვეყანა დატოვებს ევროპული სასამართლოს იურისდიქციას, მასზე არ გავრცელდება ევროპაში ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უფლება და ის არ გადაიხდის არანაირ საწევრო შენატანს.**

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამჟამად დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის კანონმდებლობები სრულ ნორმატიულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, ამგვარი შეთანხმების გაფორმება შედარებით გაადვილდება, ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევენ ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის მომხრეები.

ისინი მიანიშნებენ კანადის მაგალითზე, რომელმაც ახლახან გააფორმა ევროკავშირთან შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს შეთანხმება განაპირობებს თითქმის ყველა სავაჭრო შეზღუდვის მოხსნას, მაგრამ არ ითვალისწინებს რომელიმე მხრიდან მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას, არც კანადის მხრიდან რაიმე შენატანებს ევროკავშირის ბიუჯეტში.

**ბრიტანეთის ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ნისლიან ალბიონზე მშრომელების ჩასვლის მასშტაბები. ის დაახლოებით 15 000 პოლონელის ჩასვლას ვარაუდობდა, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ქვეყანას 900 000-დან მილიონამდე ადამიანი მიაწყდა. ევროპული შეთანხმებების მიხედვით კი ამ იმიგრანტებს დახმარებების მიღების ისეთივე უფლება აქვთ, როგორიც ბრიტანელებს**

**ევროკავშირიდან გასვლის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ მშვიდობიანი გაყრა ფუჭი ოცნებაა. საფრანგეთი, გერმანია და ევროკავშირის სხვა ქვეყნები არასდროს მისცემენ ნებას დიდ ბრიტანეთს, თვითონ აირჩიოს, კავშირის რომელ წესებს დათანხმდეს.**

ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ნორვეგია და შვეიცარია ვალდებულნი არიან, დაიცვან ევროკავშირის წესების უმეტესობა, ამასთანავე, მათ ხმის არანაირი უფლება არ გააჩნიათ ამ წესების შემუშავებისას. გარდა ამისა, ისინი ვალდებულნი არიან, თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროკავშირის ბიუჯეტში.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას წლები დასჭირდება, თანაც ამ მოლაპარაკებების შედეგი უცნობია. **თუკი ბრიტანეთი სრულად გაწყვეტს კონტაქტებს ევროკავშირთან, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, მის საქონელს დაედება ტარიფები, მეორეც: ბრიტანელი მეწარმეები მაინც იქნებიან იძულებულნი, დაიცვან ევროკავშირის სტანდარტები, ეს კი მათ კონკურენტუნარიანობას დაასუსტებს.**

ამ ყველაფერმა, შესაძლოა, სავაჭრო ომი განაპირობოს ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის, რომელიც უმძიმეს დარტყმას მიაყენებს ბრიტანელ ექსპორტიორებს.

## რა ელის ბრიტანეთის შრომის ბაზარს?

რეფერენდუმის წინ უკვე დაიწყო დებატები იმის თაობაზე, რამდენ მილიონ სამუშაო ადგილს შექმნის ან დაკარგავს დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში.

ყველა მსგავსი განცხადების მიმართ უპრიანი იქნებოდა სკეპტიკური დამოკიდებულება. **ზუსტი ციფრების განსაზღვრა შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ არავინ იცის, შეასრულებენ თუ არა უცხოური კომპანიები დანაპირებს და შეამცირებენ თუ არა ბრიტანეთში წარმოებებს ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლის შემთხვევაში. ასევე არავინ იცის, რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნება ქვეყნის ახალ, შეცვლილ ეკონომიკაში.**

გასვლის მომხრეები ამბობენ, რომ ევროკავშირის ბიუროკრატიისა და მისი ურიცხვი წესების არარსებობის პირობებში მცირე და საშუალო წარმოება აყვავდება, რომელიც განაპირობებს დასაქმების ზრდას, რადგან ისინი სხვა კომპანიებზე ნაკლებს ვაჭრობენ ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან.

გასვლის მოწინააღმდეგეები კი ირწმუნებიან, რომ მილიონობით სამუშაო ადგილი დაიკარგება, რადგან ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოებებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადაიტანენ.

ეს განსაკუთრებით შეეხება საავტომობილო მრეწველობას, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად უცხოური კომპანიების საკუთრებაშია.

**ფინანსურ სექტორს, რომელშიც დაკავებულია 2,1 მილიონი ბრიტანელი, აშინებს ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლის შედეგები, რადგან სექტორის წარმატება დაფუძნებულია ევროპულ ბაზართან თავისუფალ წვდომაზე და ამგვარი წვდომის დაკარგვა ძალზე სერიოზულ რისკებს განაპირობებს.**

## რა ელის მთლიანად ეკონომიკას?

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ კონკრეტულად როგორი შეთანხმებების გაფორმებას შეძლებს ბრიტანეთი ევროკავშირთან და სხვა სახელმწიფოებთან.

საუკეთესო შემთხვევაში, როგორც კვლევითი ინსტიტუტი „ღია ევროპა“ ირწმუნება, 2030 წლისთვის ბრიტანეთის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა დამატებით 1,6%-ით გაიზრდება. ამისათვის ბრიტანეთის ხელისუფლებას დასჭირდება მასობრივი დერეგულაციის დაწყება, ასევე მომგებიანი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ქვეყანასთან.

იგივე ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ გაცილებით უფრო რეალურია სცენარი, რომლის შემთხვევაშიც 2030 წლისთვის ბრიტანეთის საერთო შიდა პროდუქტი 0,8%-იან კლებასა და 0,6%-იან მატებას შორის ითამაშებს.

ლონდონის ეკონომიკის უმაღლეს სკოლასთან არსებული ეკონომიკური ეფექტიანობის ცენტრი თვლის, რომ უარეს შემთხვევაში ბრიტანეთის მთლიანი შიგა პროდუქტი 6,3%-დან 9,5%-მდე შემცირდება, რომელიც 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის მაჩვენებლებს შეესაბამება.

საუკეთესო შემთხვევაში მთლიანი შიგა პროდუქტი მხოლოდ 2,2%-ით შემცირდება, — მიიჩნევენ აღნიშნული კვლევის ავტორები.

მოკლედ



## ლე პენი რუსეთს 27 მილიონ ევროს სთხოვს

**გავლენიანი გამოცემა The Times-ის ინფორმაციით, რუსულმა ორგანიზაციებმა, შესაძლოა, საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერ მარინ ლე პენს საპრეზიდენტო კამპანიის დასაფინანსებლად 27 მილიონი ევრო გამოუყონ.** ფინანსური რესურსი რუსეთს თვითონ ლე პენმა მოსთხოვა. გამოცემის ინფორმაციით, ფინანსებს ლე პენის პარტიას შუამავალი კომპანიის საშუალებით მიაწვდიან. სავარაუდოდ, ეს ჩეხურ-რუსული ბანკი იქნება, რომელმაც წინა არჩევნების დროს უკვე დააფინანსა ლე პენი 9 მილიონი ევროთი. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ფინანსურმა პროკურატურამ შემოსავლების დამალვის მუხლით გამოძიება დაიწყო „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერის — მარინ ლე პენისა და მამამისის — ჟან-მარი ლე პენის წინააღმდეგ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირიდან გასვლის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ მშვიდობიანი გაყრა ფუჭი ოცნებაა. საფრანგეთი, გერმანია და ევროკავშირის სხვა ქვეყნები არასდროს მისცემენ ნებას დიდ ბრიტანეთს, თვითონ აირჩიოს, კავშირის რომელ წესებს დათანხმდეს.

## რა ელის იმიგრაციას?

ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის მომხრეები ამბობენ, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება კვლავ მოიპოვებს სრულ კონტროლს ქვეყნის საზღვრებზე.

გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიას სურს, დააწესოს მუშაობის ნებართვები, რომელთა პირობებშიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებზეც იგივე შეზღუდვები იმოქმედებს, რაც სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე.

პარტიაში აცხადებენ, რომ ამგვარი მიდგომა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას წლიური 298 ათასიდან 50 ათასამდე შეამცირებს და საშუალებას მისცემს ბრიტანელებს, თვითონ დაიკავონ სამუშაო ადგილები, რაც განაპირობებს ხელფასების ზრდას და შეუმსუბუქებს სამუშაოს სკოლებს, საავადმყოფოებსა და სხვა მსგავს ინსტიტუტებს.

ევროკავშირიდან გასვლის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ევროპული ბაზრის მიმართ ბრიტანული საქონლისა და მომსახურებების წვდომის სანაცვლოდ ქვეყანა, შესაძლოა, იძულებული შეიქნას, დათანხმდეს მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას.

გარდა ამისა, მათივე განცხადებით, ევროკავშირიდან იმიგრაციამ არგო ბრიტანულ ეკონომიკას. ბრიტანული ეკონომიკის სამომავლო ზრდის პროგნოზებიც ნაწილობრივ დაფუძნებულია იმიგრაციის მაღალ დონეზე მომავალშიც.

საბიუჯეტო პასუხისმგებლობის ბრიტანული ბიურო აცხადებს, რომ ბრიტანეთის ეკონომიკა დამოკიდებულია იმიგრანტების შრომაზე, ხოლო გადასახადები, რომლებსაც ისინი იხდიან, ასაზრდოებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

## რას დაზოგავს ბრიტანეთი ევროკავშირის ბიუჯეტისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში?

**2013 წელს, ბრიტანეთის მიერ მიღებული ფასდაკლების პირობებში, ქვეყანა ევროკავშირის ბიუჯეტში იხდიდა 14,5 მილიარდ ევროს. ეს ოთხჯერ აღემატება 2008 წლის იმავე მაჩვენებელს. დაახლოებით ამდენივეს ხარჯავს წელიწადში ბრიტანეთის ხელისუფლება სატრანსპორტო საჭიროებებისთვის.**

ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მომხრეები ამბობენ, რომ ლონდონი ამ ფულს დაზოგავს. მოწინააღმდეგენი კი ირწმუნებიან, რომ ეს თანხა ზღვაში წვეთია იმ მოგებასთან შედარებით, რომელსაც ბიზნესი ევროპულ ბაზართან წვდომის წყალობით იღებს.

## როგორ აისახება ეს საერთაშორისო ვაჭრობაზე?

ევროკავშირიდან გასვლის მომხრეები ამბობენ, რომ ევროკავშირი, როგორც ბაზარი, არც ისე მნიშვნელოვანია ბრიტანეთისთვის, როგორც ადრე იყო და რომ ევროზონის განგრძობადი კრიზისი მხოლოდ გაამყარებს ამ ტენდენციას.

ეკონომისტი **როჯერ ბუტლი** ირწმუნება, რომ **ბრიტანეთმა თუნდაც ვერ მოახერხოს ბრიუსელთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, ეს ტრაგედიად არ იქცევა, რადგან იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც არიან აშშ, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია, რომლებიც თითქმის უპრობლემოდ ახერხებენ ევროკავშირში საკუთარი საქონლის ექსპორტირებას.**

ბრიტანეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საშუალებით ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება შეუძლია სწრაფად მზარდ ეკონომიკებთან, მაგალითად, ჩინეთთან, სინგაპურთან, ბრაზილიასთან, ინდოეთსა და რუსეთთან.

**გასვლის მომხრეები იხსენებენ, რომ ევროკავშირი ბრიტანეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც ბრიტანული ექსპორტის 52% მოდის. ევროკავშირიდან სრული გასვლა კი სავაჭრო ბარიერებს წარმოშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, ბრიტანეთში წარმოებულ მანქანებს დაედება 15%-იანი ტარიფი, სხვა ქვეყნებში წარმოებულებს კი — 10%-იანი.**

## როგორ შეიცვლება ბრიტანეთის როლი საერთაშორისო არენაზე?

გასვლის მომხრეები აცხადებენ, რომ ბრიტანეთი დარჩება ნატოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს საკვანძო წევრად და ბირთვულ სახელმწიფოდ.

ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი თვლიან, რომ **დროა, ბრიტანეთმა შეწყვიტოს ხიდის როლის შესრულება აშშ-სა და ევროპას შორის და საკუთარ ინტერესებს მიხედოს.**

ევროკავშირიდან გასვლის მოწინააღმდეგენი კი ამბობენ, რომ ლონდონი დაკარგავს გავლენას ბრიუსელში, პარიზსა და ბერლინში, ვაშინგტონი სულ უფრო ხშირად დაიწყებს მის იგნორირებას, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, უსაფრთხოება და ვაჭრობა.

**ამერიკასა და მის მოკავშირეებს სურთ, რომ ბრიტანეთი დარჩეს ევროკავშირის შემადგენლობაში. თუკი ბრიტანეთი მაინც გავა, ის არცთუ დიდ იზოლირებულ სახელმწიფოდ იქცევა.**



**ბრიტანელები ბრიუსელს ქვეყნის მრავალ უბედურებაში ადანაშაულებენ, მაგრამ განსაკუთრებულად ბრაზობენ აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასულ იმიგრანტებზე და ირწმუნებიან, რომ ისინი 2004 წლიდან ართმევენ სამუშაო ადგილებსა და დახმარებებს**

ბრიუსელში გამართულ ევროპულ სამიტზე ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ბრიტანეთი, არ გავიდეს ევროკავშირიდან. მის ფეხქვეშ ევროპელი პარტნიორები მუდმივად წითელ ხალიჩებს აფენენ, ოღონდაც ქვეყანამ კავშირი არ დატოვოს.

ეს გასაგებია. ბრიტანეთის პრემიერი **დევიდ კემერონი** ბოლო არჩევნებისას ხომ დაჰპირდა თანამემამულეებს, რომ აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმს გამართავდა 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის დასასრულამდე პერიოდში. ბრიუსელში გამართულ სამიტზე კი იგი ცდილობდა, მაქსიმალური დათმობები გამოეტყუებინა ევროპელებისთვის, რათა ბრიტანელები ევროკავშირში დარჩენაზე დაეთანხმებინა.

ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის ისტორია უკვე ლამის 10 წლისაა. ჯერ კიდევ 2007 წელს დევიდ კემერონმა, ბრიტანელი მემარჯვენეების ლიდერმა, 2010 წელს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ლისაბონის შეთანხმებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების პირობა დადო.

მან გაიმარჯვა, ოღონდ არა ცენტრისტების დაუხმარებლად. **იმისათვის, რომ ევროპელი მოკავშირეები არ გაენაწყენებინა, კემერონმა დაპირება დაივიწყა. მაგრამ მოგვიანებით, ქვეყანაში ევროსკეპტიციზმის აღზევების პერიოდში, კვლავ გაიხსენა და გაიმეორა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში (ამჯერად 2015 წლის არჩევნებში) რეფერენდუმს ჩაატარებდა.**

საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ ბრიტანელები ბრიუსელს ქვეყნის მრავალ უბედურებაში ადანაშაულებენ, მაგრამ განსაკუთრებულად ბრაზობენ აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასულ იმიგრანტებზე და ირწმუნებიან, რომ ისინი 2004 წლიდან ართმევენ სამუშაო ადგილებსა და დახმარებებს. ლეიბორისტი პრემიერის — ტონი ბლერის პერიოდში შრომის ბაზარი ლიბერალიზებული იყო და ქვეყანაში გაჩნდა მილიონობით დაბალი ანაზღაურებისა და კვალიფიკაციის სამუშაო ადგილი. უცხოელები იოლად შოულობდნენ სამუშაოს მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვის სფეროში.

**ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ნისლიან ალბიონზე მშრომელების ჩასვლის მასშტაბები. ის დაახლოებით 15 ათასი პოლონელის ჩასვლას ვარაუდობდა, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ქვეყანას 900 000-დან მილიონამდე ადამიანი მიაწყდა. ევროპული შეთანხმებების მიხედვით კი ამ იმიგრანტებს დახმარებების მიღების ისეთივე უფლება აქვთ, როგორიც ბრიტანელებს.**

ახლა ბრიტანეთის პრემიერის მოთხოვნები, უპირველეს ყოვლისა, ოთხ საკითხს მოიცავს:

**1. ევროკავშირის სხვა ქვეყნების წარმომადგენელთათვის სოციალური დახმარებების ავტომატურად მიღების გაუქმება;**

**2. ნაციონალური პარლამენტების უფლებამოსილებათა გაფართოება: ევროკავშირის დირექტივასთან უთანხმოების შემთხვევაში ეს დირექტივა შეიძლება დაიბლოკოს ნაციონალური პარლამენტების ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით;**

**3. გარანტიები, რომ ევროზონაში მიღებული გადაწყვეტილებები დარტყმას არ მიაყენებს იმ ცხრა ქვეყანას, რომლებიც არ შედიან მასში (მათ შორის ბრიტანეთსაც);**

**4. იმ ზომების რაოდენობის შემცირება, რომლებიც, ლონდონის აზრით, ევროკავშირის ქვეყნების კონკურენტუნარიანობას ამცირებენ.**

კემერონმა უკვე მიაღწია მნიშვნელოვან დათმობებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად არყევს ევროკავშირის პრინციპებს.

საქმე ისაა, რომ **ბრიტანეთის გასვლა შეამცირებს ევროკავშირის ეკონომიკურ წონას. მასზე მოდის ევროკავშირის მოსახლეობის 13%, ხოლო მისი ეკონომიკა მოწინავეთა სამეულშია — 28 წევრი ქვეყნის საერთო სიმდიდრის დაახლოებით 15%-ს შეადგენს. ლონდონი ევროპული ინსტიტუტების ბიუჯეტის 12%-ს იძლევა, ბრიტანეთის კავშირიდან გასვლის შემთხვევაში ევროპული კომისია და პარლამენტი წელიწადში 14 მილიარდ ევროს დაკარგავს.**

გარდა ამისა, ევროპული ხელმძღვანელობა შიშობს, რომ ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირის დაშლისთვის ბიძგი იქნება. ამ და სხვა მიზეზების გამო ევროკავშირს თავი ისე მოაქვს, თითქოს თანხმდება ბრიტანელებს შეღავათებზე, რათა დაეხმაროს პრემიერს და ამომრჩეველმა ხმა ევროკავშირში დარჩენის სასარგებლოდ მისცეს. როგორც ცნობილია, ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის შედგა შეთანხმების წინასწარი ვარიანტი, რომელიც ექსპერტების განხილვის შემდეგ სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა უნდა განიხილონ.

დათმობების მოპოვების შემდეგ კემერონმა ბრიტანელებს რეფერენდუმის თარიღი უნდა დაუნიშნოს. თუკი სიტუაცია ოპტიმალური იქნება, იგი რეფერენდუმს, სავარაუდოდ, 2016 წლის ივნისისთვის დანიშნავს და ჩაატარებს კამპანიას ევროკავშირში ქვეყნის დარჩენის სასარგებლოდ.

France Info, BBC

**P.S. სამიტზე ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ იმ რეფორმების პაკეტზე, რომლის რეალიზებაც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას აიცილებს. ბრიტანეთის პრემიერმინისტრ დევიდ კამერონის შეფასებით, ქვეყანამ ევროკავშირში განსაკუთრებული სტატუსი მიიღო. მიღწეული შეთანხმების თანახმად, მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში ლონდონი ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ჩასულ იმიგრანტებს სოციალურ დახმარებას არ გადაუხდის. დოკუმენტში ასევე ჩამატებულია პუნქტი, რომლის მიხედვით დიდ ბრიტანეთს არ ეხება ევროკავშირის მიერ დაანონსებული „ინტეგრაციის გაღრმავების“ პოლიტიკა, ასევე, დიდი ბრიტანეთი არ გაიღებს ხარჯებს ევროზონის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. შეთანხმებაში გათვალისწინებულია ისიც, რომ გაერთიანებულ სამეფოს აქვს უფლება, ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაში არ მიიღოს მონაწილეობა.**

მოკლედ



## ირანი ნავთობმოპოვების გაყინვის ინიციატივას არ შეუერთდება

**ირანის მთავრობის განცხადებით, ის ვერ ხედავს ნავთობის მოპოვების გაყინვაში ვერანაირ ლოგიკას. შესაბამისად, არ აპირებს შეუერთდეს რუსეთისა და ოპეკის სამი ქვეყნის მიერ მიღწეულ შეთანხმებას ნავთობის მოპოვების 11 იანვრის მაჩვენებელზე გაყინვის შესახებ.**

ირანელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ მაშინ, როდესაც ირანს სანქციები ჰქონდა დაწესებული, დანარჩენი ნავთობმომპოვებლები მოპოვებას ზრდიდნენ. ახლა კი, როდესაც ირანს სანქციები მოეხსნა, მოპოვების გაზრდას თეირანიც აპირებს. თეირანის ეს გადაწყვეტულება შეუძლებელს ხდის დოჰაში მიღწეული შეთანხმების განხორციელებას, რადგან ამ შეთანხმების აუცილებელი პირობა იყო ოპეკის ყველა ქვეყნის, მათ შორის ირანის, მიერ მისი გაზიარება.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბარტერული ოპერაციების მკვეთრი მატება შეიმჩნევა ყოველთვის, როდესაც ეკონომიკა კრიზისის ფაზაში შედის და კორპორაციული სტრუქტურებისა და მოქალაქეების მხრიდან მკვეთრად ეცემა გადახდისუნარიანი მოთხოვნა.**

# ბარტერი, ანუ ცხოვრება უფულოდ

**ფული ისტორიული კატეგორიაა, ამიტომაც არამუდმივი. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი მასა მსოფლიო ეკონომიკაში განუხრელად იზრდება, მსოფლიოში სულ უფრო მეტად იგრძნობა ფულადი შიმშილი. მიზეზი მარტივია: ფულის საბეჭდი მანქანების პროდუქცია მიდის ფინანსურ ბაზრებზე, სადაც სპეკულაცია ყვავის, რეალური ეკონომიკა კი შიმშილობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სამეურნეო სუბიექტებს საბანკო ანგარიშებზე ფული აქვთ, ამ ფულით სარგებლობა დღითიდღე რთული ხდება, რადგან ეს უკვე მთლად ფულიც აღარაა, არამედ იქცა სპეკულაციის ინსტრუმენტად და საზოგადოებრივი ქონების გადანაწილებად მათ სასარგებლოდ, ვისაც საბეჭდი მანქანა ეკუთვნის.**

ფულის მუტაციაზე საზოგადოების რეაქცია გამოიხატება ისეთი მეურნეობების სტიქიურ გაჩენაში, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს ოფიციალური ფულის გამოყენება ან სულაც მის გარეშე გადიან იოლად. დღეს მეურნეობის ყველაზე გავრცელებული არაფულადი სახე ბარტერია. ეს არის შეთანხმებული რაოდენობის ერთი სახეობის საქონლის გადაცვლა მეორე სახეობის საქონელზე ანგარიშსწორების ფულადი ფორმის გამოყენების გარეშე.

ბარტერული ოპერაციების მკვეთრი მატება შეიმჩნევა ყოველთვის, როდესაც ეკონომიკა კრიზისის ფაზაში შედის და კორპორაციული სტრუქტურებისა და მოქალაქეების მხრიდან მკვეთრად ეცემა გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

კარგადაა ცნობილი, რომ გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციები აქტიურად სარგებლობენ ეგრეთ წოდებული ტრანსფერული ფასებით. საუბარია ნედლეულის, დეტალების შიგაკორპორაციულ მიწოდებებსა და კვანძებზე „შვილობილებსა“ და „შვილიშვილობილებს“ შორის იმ ფასებით, რომლებიც მსოფლიო ფასებისგან განსხვავდება. მათ შეიძლება მიმართონ ბარტერულ სქემებსაც. ეს მომგებიანია ტრანსნაციონალური კორპორაციების მოღვაწეობის „საგადასახადო ოპტიმიზაციის“ თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მსხვილი კორპორაციები, რომლებიც მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე მოქმედებენ, როგორც წესი, შედიან საერთაშორისო კარტელებში. კარტელების წევრები ცდილობენ, მიიტაცონ ახალი საბაზრო სივრცეები.

დღეს ამის შესახებ სულ უფრო ხშირად გვესმის. მაგალითად, 2015 წელს საბერძნეთში გაჩაღდა მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. საბერძნეთის ეკონომიკაში ფული ძალიან ცოტა იყო. სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ დაწესდა შეზღუდვები ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით წარმოებულ ოპერაციებზე. ბერძნული საზოგადოების რეაქცია გაჩენილ ფულად შიმშილზე იყო ბარტერული სქემების სწრაფი განვითარება. ამგვარ სქემებში მონაწილეობდნენ როგორც გიგანტი კომპანიები, ისე წვრილი ბიზნესის წარმომადგენლები და უბრალო მოქალაქეები.

იმისათვის, რომ გაფართოვდეს ბარტერის გამოყენების სფერო, იქმნება სპეციალური საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც თავს უყრიან განაცხადებს სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შეთავაზებებისა და მოთხოვნების შესახებ. ზოგიერთი საინფორმაციო ცენტრი დროთა განმავლობაში იქცევა სპეციალიზებულ ბარტერულ კომპანიად, კლუბად, ბირჟად და საკუთარ კლიენტებს მომსახურებების უფრო ფართო სპექტრს სთავაზობს.

პირველ რიგში იგულისხმება საბროკერო მომსახურება: პარტნიორების მოძიება, სასაქონლო ჯაჭვების აგება, კონტრაქტების მომზადება, ამ კონტრაქტების შესრულების გაკონტროლება. ყველაზე განვითარებული საბარტერო ცენტრები ქმნიან თავიანთ საბარტერო ფულს. ამგვარი ფულის საშუალებით ცენტრებს შეუძლიათ, კლიენტებისგან თავად შეისყიდონ საქონელი და საბარტერო ფული მათ ანგარიშებზე გადარიცხონ. გამყიდველებს შეუძლიათ, ეს ფული სხვა კლიენტების საქონლისა და მომსახურების შესაძენად გამოიყენონ. შესაძლებელია კრედიტების გაცემაც საბარტერო ფულით.

ეკონომიკური ურთიერთობების საბარტერო ფორმებთან დაკავშირებული ინფორმაცია ცალკეულ ქვეყნებში ძალზე ფრაგმენტულია. მით უმეტეს არ არსებობს საერთო სტატისტიკა და ეს გასაგებიცაა. უპირველეს ყოვლისა, საბარტერო სქემების განვითარებას ეწინააღმდეგებიან საგადასახადო სამსახურები, რადგან გადასახადები, ჩვეულებრივ, ერიცხება ფულადი ხასიათის ოპერაციებს.

**მრავალი ბარტერული გარიგება თანამედროვე გადასახადების ამკრეფთა თვალთახედვის მიღმა რჩება, მიუხედავად მცდელობებისა, როგორმე გააკონტროლონ ისინი.**

მაგალითად, 1982 წელს აშშ-ში მიიღეს საკანონმდებლო აქტი სახელწოდებით „Tax Equity and Fiscal Responsibility Act“, რომელიც მოითხოვს, რომ გადასახადების გადამხდელებმა გაითვალისწინონ ბარტერული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებიც.

გარდა ამისა, ბარტერი ამცირებს მოთხოვნილებას ცენტრალური ბანკების საბეჭდი მანქანების პროდუქციაზე. ცხადია, ესეც ბარტერის წინააღმდეგ განაწყობს თანამედროვე მევახშეებს.




**ექსპერტები განვითარებულ საბარტერო ურთიერთობების მქონე ქვეყნებს შორის ინდოეთსა და ესპანეთს ასახელებენ. ითვლება, რომ ყველაზე ძველი ბარტერული ბაზარი არსებობს ინდოეთის ქალაქ კოჩში — ის 200-ზე მეტი წლის წინათ შეიქმნა. ესპანეთში მძლავრი ბარტერული ბაზრები ფუნქციონირებს ბარსელონაში.**

**ბარტერული ურთიერთობების აქტუალურობა საერთაშორისო დონეზე დღეს იმიტომ იზრდება, რომ აშშ სულ უფრო ხშირად მიმართავს ცალკეულ სახელმწიფოებზე ზეწოლის ისეთ საშუალებას, როგორიცაა ეკონომიკური სანქციები. სანქციებს შორის კი იგულისხმება დოლარსა და სხვა სარეზერვო ვალუტებში ტრანზაქციების დაბლოკვაც. ამგვარი სანქციების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება სწორედ ბარტერია**



ბარტერი უკვე აღარ არის ეგზოტიკა ჩრდილოეთ ამერიკაში. უკვე რამდენიმე ათწლეულია, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობენ ბარტერული სააგენტოები, რომლებიც დაკავებულნი არიან საქონლის გაცვლის გარიგებების ორგანიზებით, პარტნიორების შერჩევით. ზოგიერთი მათგანი ბირჟად გადაიქცა. აშშ-ისა და კანადის მსხვილი ქალაქების უმეტესობას საკუთარი ბარტერული ბირჟები აქვთ. ამჟამად აშშ-ში უმსხვილესი ბარტერული ბირჟა არის „International Monetary Systems“, ხოლო კანადაში — „Tradebank“.

ამერიკაში ბარტერული ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა სავაჭრო გაცვლების ნაციონალური ასოციაცია (NATE). სხვათა შორის, NATE-მ შემოიღო საკუთარი საბარტერო ვალუტა სახელწოდებით BANC-ი. ზოგიერთი შეფასების თანახმად, 2010 წელს აშშ-ში ბარტერული ვაჭრობის ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო 450 000-ზე მეტმა კომპანიამ. ცხადია, მათი უმეტესობა გარიგებების ტრადიციულ საშუალებებს მიმართავს საქონლის ყიდვა-გაყიდვისთვის, მაგრამ ყველა მათგანს აქვს ჭარბი, არარეალიზებული პროდუქცია, რომლებიც გააქვთ კიდეც ბარტერულ ბირჟებზე.

**აშშ-ში საბარტერო გარიგებების ყოველწლიური მოცულობა 10 მილიარდ დოლარს აღემატება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს აისბერგის მხოლოდ მწვერვალია, რადგან ბარტერული გარიგებების მრავალი მონაწილე ცდილობს, არ გამოჩნდეს.**

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ სავაჭრო სისტემა „ევრობარტერი“ — „Euro Barter Business International Limited, EBB“. მასში ჩართულია ევროპისა და თურქეთის 17 000-ზე მეტი წვრილი და საშუალო ბიზნესის მქონე კომპანია. სისტემის მონაწილენი ყოველ კვარტალში იხდიან საწევრო შენატანებს და იღებენ წვდომას კომპიუტერული მონაცემთა ბაზისადმი, რომელიც შეიცავს ბარტერის შეთავაზებებს ევროპის სხვადასხვა ნაწილში.

1991 წელს ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ დააარსეს ბარტერული ბირჟა Bartercard. მოგვიანებით მან საკუთარი განყოფილებები გახსნა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, კვიპროსზე, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებსა და ტაილანდში. დღეისათვის ეს ბარტერული ბირჟა მსოფლიოში უმსხვილესად ითვლება, ის 75 აქტიურ წევრს ითვლის.

გლობალურ დონეზე მოქმედებს დაახლოებით 400 ბარტერული კომპანია, რომლებიც სავაჭრო გაცვლით გარიგებებს აწარმოებენ ▶



## ბარაკ ობამა: დონალდ ტრამპი ვერ იქნება პრეზიდენტი!

**რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი ვერ იქნება პრეზიდენტი, რადგან პრეზიდენტობა სერიოზული საქმეა, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.**

„მე კვლავ მჯერა, რომ ბატონი ტრამპი არ იქნება პრეზიდენტი. ეს იმიტომ, რომ მე ამერიკელ ხალხს ვენდობი. ისინი აცნობიერებენ, რომ პრეზიდენტობა სერიოზული საქმეა. ეს არ არის „თოქ-შოუს“ ან „რეალითი შოუს“ წაყვანა. ეს არ არის მარკეტინგი, ეს რთული საქმეა.“ — აღნიშნა თეთრი სახლის ლიდერმა. მილიარდერი დონალდ ტრამპი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი წამყვანი კანდიდატია. ის ბარაკ ობამას განცხადებას უკვე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისთვის კომპლიმენტია კრიტიკა იმ პრეზიდენტის მხრიდან, „რომელმაც ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა“.



**APPLE-ის საიტზე განთავსებულ განცხადებაში კუკი იტყობინება, რომ კომპანია გაასაჩივრებს გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნებს, რადგან APPLE-ის საკუთარი დაცვის სისტემების გვერდის ასავლელად პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა „ძალზე სახიფათოა“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფირმებთან. ნაციონალური საბარტერო ორგანიზაციების კოორდინაციას ახორციელებს შემხვედრი ვაჭრობის საერთაშორისო ასოციაცია „International Reciprocal Trade Association, IRTA“. ის მჭიდროდ ურთიერთობს „Bartercard“-თან და თავის წევრებს რეკომენდაციას აძლევს, გამოიყენონ ბარტერული ფულადი ერთეული სახელწოდებით მსოფლიო ვალუტა — Universal Currency (UC).

**ბარტერული ურთიერთობების აქტუალურობა საერთაშორისო დონეზე დღეს იმიტომ იზრდება, რომ აშშ სულ უფრო ხშირად მიმართავს ცალკეულ სახელმწიფოებზე ზეწოლის ისეთ საშუალებას, როგორიცაა ეკონომიკური სანქციები. სანქციებს შორის კი იგულისხმება დოლარსა და სხვა სარეზერვო ვალუტებში ტრანზაქციების დაბლოკვაც. ამგვარი სანქციების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება სწორედ ბარტერია.**

ირანი მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ძლიერ პრესს ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების მხრიდან, რის გამოც იძულებული იყო, თავისი ვაჭრობის ნაწილი ბარტერული გაეხადა (ნავთობის სხვადასხვა საქონელზე გადაცვლის გარიგებები).

ირანის ბარტერული ურთიერთობები ჩინეთთან, ინდოეთთან და სამხრეთ კორეასთან სანქციების პერიოდში ირანელებს უზრუნველყოფდა ყველაფრით — მობილური ტელეფონებით დაწყებული, სარკინიგზო აღჭურვილობებით დასრულებული.

ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო რუსეთის ფედერაციისა და ირანის მსხვილი საბარტერო გარიგებისთვის მზადება. იგულისხმებოდა ირანის მიერ უპირატესად ერთადერთი საქონლის — ნედლი ნავთობის მიწოდება იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი სამომავლოდ განახორციელებდა მის რეექსპორტს. რუსეთის ფედერაცია გეგმავდა საქონლის ფართო ასორტიმენტის მიწოდებას, ასევე ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობას ირანში. გარიგება რამდენიმე წელზე იყო გათვლილი, მისი მოცულობა, როგორც მედიასაშუალებები წერდნენ, შეიძლება 20 მილიარდ დოლარამდეც ყოფილიყო, მაგრამ დასავლეთის მიერ ირანის წინააღმდეგ სანქციების ნაწილობრივი გაუქმების გამო გარიგების მზადება შეჩერდა.

უკვე 2016 წელს თეირანში გაკეთდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყანა საგარეო ვაჭრობაში ბარტერულ სქემებზე სრულად არ იტყვის უარს. ირანი განიხილავს არა მხოლოდ ტრადიციულ სქემას „ნავთობის გაცვლა საქონელზე“, არამედ ნავთობის გაცვლას აქტივებზეც. კერძოდ, ირანული მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა შვეიცარიასა და საფრანგეთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შეძენაზე, მაგრამ ვაშინგტონის ზეწოლის გამო გარიგებები ჩაიშალა. ამჟამად თეირანი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შეძენაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ინდოეთთან, ბრაზილიასა და ესპანეთთან.

fondsk.ru

# APPLE-მა გამოძიების ფედერალურ ბიუროს ტელეფონის პაროლის გატეხვაზე უარი უთხრა

**კომპანია Apple-ის ხელმძღვანელმა ტიმ კუკმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ „უპრეცენდენტო ნაბიჯი“ გადადგა და კორპორაციას უბრძანა, დახმარებოდა გამოძიების ფედერალურ ბიუროს iPhone-ის იმ სმარტფონზე წვდომის მიღებაში, რომელსაც კალიფორნიის ქალაქ სან-ბერნარდინოში მომხდარი ტერაქტის ერთ-ერთი მონაწილე იყენებდა. დეკემბერში მომხდარ აღნიშნულ ტერაქტს 14 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**



ცოტა ხნით ადრე მოსამართლემ დაადგინა, რომ კომპანიამ ხელისუფლებას უნდა მისცეს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელს გახდის, პაროლის ზედიზედ ათჯერ შეყვანის შემთხვევაში iPhone-დან მონაცემების ავტომატურად წაშლის ფუნქციისათვის გვერდის ავლას. ხელისუფლება ცდილობს, დაადგინოს, ჰქონდათ თუ არა თავდამსხმელებს — **საიედ რიზვან ფარუკსა** და **მის მეუღლეს ტაშფინ მალიკს** კავშირი ტერორისტულ დაჯგუფებებთან, მაგრამ პაროლის გარეშე ფარუკის ტელეფონიდან მონაცემების მიღება ვერ ხერხდება.

Apple-ის საიტზე განთავსებულ განცხადებაში კუკი იტყობინება, რომ კომპანია გაასაჩივრებს გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნებს, რადგან Apple-ის საკუთარი დაცვის სისტემების გვერდის ასავლელად პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა „ძალზე სახიფათოა“. მან მოიშველია მომხმარებელთა მონაცემების დაცვის აუცილებლობა ჰაკერებისა და დამნაშავეებისაგან და არ დაეთანხმა მოსამართლის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენებოდა.

Apple ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. **„აშშ-ის ხელისუფლებამ მოითხოვა APPLE-სგან იმ უპრეცენდენტო ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ჩვენი მყიდველების უსაფრთხოებას ემუქრება“**, — აღნიშნულია კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებაში.

„ჩვენ არ ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას, რომლის შედეგებიც მოცემული სასამართლო პროცესის ფარგლებს გასცდება“, — დაასკვნა ტიმ კუკმა.

კომპანიაში ხაზი გაუსვეს, რომ **IPHONE-დან ინფორმაცია შეუძლია მიიღოს მხოლოდ იმ ადამიანმა, რომელმაც მოწყობილობის პაროლი იცის. პაროლის ზედიზედ 10-ჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოწყობილობა იბლოკება და მასში შენახული ინფორმაცია იშლება. კომპანიაში აცხადებენ, რომ თანამშრომლებსაც კი არ აქვთ წვდომა ტელეფონებში არსებულ ინფორმაციასთან.**

iPhone-ის გატეხვაზე მისი მწარმოებელი კომპანიის მხრიდან გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის უარის თქმა განპირობებულია მერკანტილური მისაზრებებით და ფაქტების მცდარად გადმოცემით და არა სამართლებრივი საფუძვლებით, — განაცხადეს ამერიკის იუსტიციის სამინისტროში.

**„იმის ნაცვლად, რომ 2016 წლის 16 თებერვლის სასამართლო დადგენილების თანახმად, სასიკვდილო ტერორისტული შეტევის გამოძიებაში დახმარება გაეწია, APPLE-მა უარით გვიპასუხა“**, — განაცხადეს სახელმწიფო მოხელეებმა.

კომპანიისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დავას ტერორისტის ტელეფონიდან

**iPhone-დან ინფორმაცია შეუძლია მიიღოს მხოლოდ იმ ადამიანმა, რომელმაც მოწყობილობის პაროლი იცის. პაროლის ზედიზედ 10-ჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოწყობილობა იბლოკება და მასში შენახული ინფორმაცია იშლება. კომპანიაში აცხადებენ, რომ თანამშრომლებსაც კი არ აქვთ წვდომა ტელეფონებში არსებულ ინფორმაციასთან**



მონაცემების მიღებაზე აშშ-ის კონგრესი განიხილავს.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ შეიტანა შუამდგომლობა, რათა Apple აიძულონ, შეასრულოს მოსამართლის განკარგულება. კალიფორნიის ფედერალურ სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით მოსმენა 22 მარტისთვისაა ჩანიშნული.

სასამართლო პროცესამდე კი კალიფორნიის ოლქის სან-ბერნარდინოს ხელისუფლებამ გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნით პაროლი შეუცვალეს ტერორისტის Apple-ექაუნთის მონაცემების საცავს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც Apple-ის ხელმძღვანელობამ ტელეფონის გატეხვაზე იმავე უწყებას უარით უპასუხა.

„სან-ბერნარდინოს ოლქი თანამშრომლობდა გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან და ბიუროს თხოვნით გააუქმა პაროლი მისი მონაცემების საცავზე“. ამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია ოლქის ოფიციალურ ექაუნთში ტვიტერზე.

პაროლის გაუქმება, როგორც წესი, ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელს დაავიწყდა პაროლი ან მისი ექაუნტი გატეხეს. ამ ოპერაციის შედეგად მომხმარებელი ქმნის ახალ პაროლს, რომელსაც დამოუკიდებლად მოიფიქრებს ან აირჩევს მათგან, რომელთა გენერირებასაც სისტემა ავტომატურად ახდენს.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში საიედ რიზვან ფარუკმა და მისმა ცოლმა, რომლებიც ორი ავტომატითა და ორი პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულნი, სან-ბერნარდინოში 14 ადამიანი მოკლეს და 21 დაჭრეს. ტერორისტები პოლიციამ დანაშაულის ადგილიდან მიმალვის შემდეგ რამდენიმე საათში დახოცა. ტერაქტამდე ცოტა ხნით ადრე ტერორისტები სოციალურ ქსელებში სიმპათიას გამოხატავდნენ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ.

РИА Новости

# ბუში წინასაარჩევნო მარათონიდან გავარდა?

**სამხრეთ კაროლინაში დასრულდა პრაიმერიზი და გამარჯვება ხმათა 32,5%-ით მილიარდერმა დონალდ ტრამპმა მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ფლორიდელმა სენატორმა მარკო რუბიომ, რომელმაც გაუსწრო ტეხასელ სენატორ ტედ კრუზს. ჯერ კიდევ ხმების დათვლის დასრულებამდე ცხადი იყო, რომ რესპუბლიკური პარტიიდან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაკარგა ჯებ ბუშმა.**

ტრამპის გამარჯვება მოსალოდნელი იყო, მაგრამ **რუბიოს** მეორე ადგილი იმაზე მიანიშნებს, რომ იგი სკანდალური მილიარდერის მთავარ კონკურენტად უნდა განიხილებოდეს.

**ფლორიდის ექსგუბერნატორმა ჯებ ბუშმა ხმათა 7,8% მიიღო, მაგრამ ეს წმინდა წყლის ფორმალობაა, რადგან პოლიტიკოსმა რბოლის დატოვების შესახებ ჯერ კიდევ ხმების დათვლის დასრულებამდე განაცხადა. თავდაპირველად მას ფავორიტად განიხილავდნენ, მაგრამ მისმა ტრადიციულმა კამპანიამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა ტრამპის მიერ თავსმოხვეულ აგრესიულ სტილს.**




პრაიმერიზის შედეგებზეა დამოკიდებული, აშშ-ის პრეზიდენტობის პრეტენდენტებიდან თუ ვის სასარგებლოდ მისცემს ხმას 50 რესპუბლიკელი დელეგატი, რომლებსაც სამხრეთ კაროლინაში ივლისისათვის დაგეგმილ ნაციონალურ ყრილობაზე აირჩევენ. სწორედ იქ დასახელდება პარტიიდან იმ ოფიციალური კანდიდატის ვინაობა, რომელიც თეთრი სახლისთვის იბრძოლებს. იმისათვის, რომ რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის საბოლოო კანდიდატად იქცეს, პრეტენდენტმა ყრილობის მონაწილე 2472 დელეგატიდან 1237-ის ხმა უნდა მოიპოვოს.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ არ ინტერესდებიან მუხროვანის ამბოხის საქმით პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობოები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, მწერლები და პოეტები, კინორეჟისორები? ეს ხომ უბრალო მოვლენა არ იყო. ეს იყო გმირობის მასობრივი გამოვლენის მაგალითი. და ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა თუ გადაღებული ფილმი როგორ შეუწყობდა ხელს ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული აღზრდის პროცესს, სიამაყის განცდას!**

# დაუფასდებათ კი მუხროვანის ამბოხის მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა?

**საქართველოს პარლამენტში პრემიერის თუ მთავარი პროკურორის დამტკიცებისას ოპოზიციას მრავალი კითხვა უჩნდებოდა რაფალიანცის, კიწმარიშვილისა და ჟვანიას საქმეების გამოძიების მიმართ, მაგრამ არც ოპოზიციას და არც საპარლამენტო უმრავლესობას ერთი კითხვაც არ დასცდენიათ ე.წ. მუხროვანის ამბოხის (თუ დაუმორჩილებლობის) შესახებ, როცა პატრიოტმა სამხედროებმა ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ღირსეულად დაიცვეს სამხედრო მოსამსახურის სინდისი, ღირსება და პატიოსნება.**



მაინც რით იყო გამოწვეული ე.წ. მუხროვანის ამბოხი?

საქართველოს მოსახლეობამ და ჯარმა (ალბათ, სხვა უწყებებმაც) მძიმედ განიცადეს 2008 წლის ომის შედეგები და მხოლოდ ქვეყნის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, პრეზიდენტის ჩათვლით, ვერ იგრძნო, რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა, ხალხი, ტერიტორიის 20% რომ დატოვეს საქართველოს იურისდიქციის მიღმა.

**ამ საერთო დეპრესიის პირობებში ქვეყნის შემარცხვენელმა პრეზიდენტმა მოინდომა, 2009 წლის 26 მაისს მოეწყო ჯარების საზეიმო დათვალიერება, ანუ სამხედრო აღლუმის გამართვა, რაც უკვე მეტისმეტი იყო ძალიან მგრძნობიარე პატრიოტებისთვის.**

ასეთები აღმოჩნდნენ **დაბა მუხროვანის რეინჯერთა ბატალიონის მებრძოლები ლევან ამირიძის მეთაურობით, რომლებმაც შეგნებულად, ნებაყოფლობით, მოსალოდნელი რეპრესიების გათვალისწინებით უარი განაცხადეს აღლუმში და შემდგომ აღლუმის მოწინააღმდეგეთა დაშლაში მონაწილეობაზე და ჩაიკეტნენ სამხედრო ნაწილში, რასაც ხელისუფლებამ გაუგონარი სისასტიკით უპასუხა: პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი ვერაგულად ჩაცხრილეს, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე მძიმედ დაჭრეს, შემდეგ კი დაუმორჩილებლობის მუხლით გაასამართლეს და, შესაბამისად, 29 და 28-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, 41 სამხედრო პირი ციხეში გამოამწყვდიეს (ზოგიერთმა მათგანმა საპროცესო გარიგების შედეგად და მრავალათასიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ თავი გამოისყიდა).**

**ცნობისათვის:** საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც კი, როცა ძალიან გამკაცრებული იყო მოთხოვნები დისციპლინის მიმართ, დაუმორჩილებლობა ისჯებოდა 5-დან 10 წლამდე პატიმრობით მშვიდობიანობის პერიოდში, ხოლო სიკვდილით — ომის ან საბრძოლო მოქმედებების პირობებში.

ის, ვინც დეტალურად გაეცნობა მუხროვანის საქმეს, ადვილად დარწმუნდება, რა უსამართლობა სუფევდა იმხანად ქვეყანაში, როგორი დამონებული ჰყავდა პრეზიდენტს სამართალდამცავი სტრუქტურები და, როგორ ლაჩრულად მოიქცა თავდაცვის სამინისტროს იმჟამინდელი ხელმძღვანელობა ამ საქმის გამოძიებისას. მას არც კი უცდია სამხედროების დაცვა.

**იქნებ გამოფხიზლდეს თავდაცვის უწყება, საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა და პოლკოვნიკ გია კრიალაშვილს იქ, სადაც დაიღუპა, მემორიალური დაფა ან ძეგლი დაუდგას, ეს ადგილი კი ფიცის დადების ადგილად აქციოს**

**ძალიან მიკვირს, რატომ არ ინტერესდებიან მუხროვანის ამბოხის საქმით პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობოები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, მწერლები და პოეტები, კინორეჟისორები? ეს ხომ უბრალო მოვლენა არ იყო. ეს იყო გმირობის მასობრივი გამოვლენის მაგალითი.და ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა თუ გადაღებული ფილმი როგორ შეუწყობდა ხელს ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული აღზრდის პროცესს, სიამაყის განცდას!**

მასალა გამზადებულია და ავტორს ელოდება.

უწყება, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს მუხროვანის მოვლენების სამართლიანი გამოძიება და



გია კრიალაშვილი

მისი გმირებისთვის სათანადო პატივის მიგება, თავდაცვის სამინისტროა, მაგრამ იქ რატომღაც ყველა გაჩუმებულია.

**2009 წლის მაისში მუხროვანის ბატალიონის სამხედროებმა კი დაიცვეს სამხედრო მოსამსახურის თავმოყვარეობა, ღირსება და ნამუსი, მაგრამ მათმა „მემკვიდრეებმა“ 2015 წელს ვერ დაადასტურეს თავიანთი მაღალი ზნეობრიობა საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებისას — წნეხს ვერ გაუძლეს და თავი შეირცხვინეს.**

**2009 წლის მაისში მუხროვანის ბატალიონის სამხედროებმა კი დაიცვეს სამხედრო მოსამსახურის თავმოყვარეობა, ღირსება და ნამუსი, მაგრამ მათმა «მემკვიდრეებმა» 2015 წელს ვერ დაადასტურეს თავიანთი მაღალი ზნეობრიობა საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებისას — წნეხს ვერ გაუძლეს და თავი შეირცხვინეს**

იქნებ გამოფხიზლდეს თავდაცვის უწყება, საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა და პოლკოვნიკ **გია კრიალაშვილს** იქ, სადაც დაიღუპა, მემორიალური დაფა ან ძეგლი დაუდგას, ეს ადგილი კი ფიცის დადების ადგილად აქციოს.

საინტერესოა, **რას განიცდიან ის გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები (რომელიმე მათგანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ხომ არ გახდა?), რომლებიც მუხროვანის საქმეებზე მუშაობდნენ?**

ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს საქმეები გამოძიებული რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი „ნაცმოძრაობის“ გასამართლებულ ლიდერებს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა სიაში არ შეიყვანდნენ და პოლიტპატიმრებად არ გამოაცხადებდნენ.

ვინაიდან დღეს მრავალი დაუმთავრებელი საქმე სამხედრო თემებთან არის დაკავშირებული და გამომძიებლებს, პროკურორებს თუ მოსამართლეებს სამხედრო საქმეებში სრული არაკომპეტენტურობის გამო უჭირთ ამ საქმეების დროული განხილვა, მოძრაობა „საქართველო მშვიდობისათვის“ მზად არის მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

საახალწლო და საშობაო დღეებში ტელეეკრანებზე ხშირად უჩვენებდნენ საბჭოთა პერიოდში გადაღებულ კინოფილმებს, რომლებიც დღესაც საინტერესო სანახავია.

იქნებ მომეჩვენა, მაგრამ რატომღაც ვერ გავიხსენე, რომ რომელიმე ტელევიზიას ეჩვენებინა ფილმები: „გიორგი სააკაძე“, „ბაში-აჩუკი“, „მაია წყნეთელი“, „მამლუქი“ და სხვა პატრიოტული შინაარსის კინონაწარმოებები. სხვებმაც დამიდასტურეს, რომ მათაც არ უნახავთ ასეთი ფილმები იმ დღეებში.

**ვიღაცას შეგნებულად ხომ არ სურს მოსახლეობის პატრიოტიზმის დაჩლუნგება?**

ან რა დააშავა კინოფილმმა „ქეთო და კოტე“? რატომ არ უშვებენ მას ეკრანზე?

მუხროვანის ბატალიონის ამბოხებამ გამახსენა 1832 წლის ქართველ პატრიოტთა შეთქმულების ამბავი, რომელთა გმირული ქმედება შთამომავლობამ არ დაივიწყა.

დაუფასდებათ კი მუხროვანის ამბოხის მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა?

პატივისცემით,
**ალექსანდრე ტოლსტოი**

---

მსოფლიო

## უკრაინაში მმართველი კოალიცია დაიშალა

**უკრაინაში ფრაქცია „თვითდახმარებამ“ განაცხადა, რომ მმართველ საპარლამენტო კოალიცია „ევროპულ უკრაინას“ ტოვებს. ამ გადაწყვეტილებამ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა გამოიწვია, რადგან კოალიციაში საჭირო 226-ზე ნაკლები დეპუტატი დარჩა.**

ფრაქცია „თვითდახმარებაში“ განაცხადეს, რომ შეუძლებელია იმ პოლიტიკურ ძალებთან კავშირი, რომლებიც „პარლამენტში ოლიგარქიული გადატრიალების მონაწილეები გახდნენ“. „თვითდახმარება“ რიგით მესამე პარტია გახდა, რომელმაც მმართველი კოალიცია დატოვა. მანამდე პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკის თანამდებობაზე დარჩენის გასაპროტესტებლად ანალოგიური გადაწყვეტილება იულია ტიმოშენკოს „ბატკივშინამ“ მიიღო. შარშან სექტემბერში კი მმართველი კოალიცია ოლეგ ლიაშკოს რადიკალურმა პარტიამ დატოვა.



**სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში უდიდეს როლს ასრულებენ ვერტმფრენები „მი-24“ (Mმ-24)-ები, რომლებითაც რუსეთის გარდა მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის არმიაა შეიარაღებული (მათ შორის, საქართველოს) და რომელიც ამერიკული AH-64 APACLE-ს შემდეგ ყველაზე მეტია გამოშვებული.**

ჰარა ბელუმ!

# «მი-24» — მომაკვდინებელი იარაღი ტერორისტების წინააღმდეგ



სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში უდიდეს როლს ასრულებენ ვერტმფრენები „მი-24“ (Mმ-24)-ები, რომლებითაც რუსეთის გარდა მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის არმიაა შეიარაღებული (მათ შორის, საქართველოს) და რომელიც ამერიკული AH-64 Apacle-ს შემდეგ ყველაზე მეტია გამოშვებული.

**„მი-24“** — (ნატოს კლასიფიკაციით: Hind — ფურ-ირემი) **მიხეილ მილის** საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი საბჭოთა (რუსული) დამრტყმელი სამხედრო ვერტმფრენია. მისი სერიული წარმოება დაიწყო 1971 წელს. აქვს უამრავი მოდიფიკაცია.

აქტიურად იყენებდნენ ავღანეთის ომში, აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.

1970-იანი წლების ბოლოს სპეციალურად „მი-24“-ისთვის დაამზადეს გონდოლები ГУВ-1 (ყუმბარსატყორცნით АГС-17 „პლამია“) და ГУВ 7600 (ერთი ოთხლულიანი ტყვიამფრქვევი Якб-12,7-თა და ორი ოთხლულიანი — ГШГ-7,62-ით) 1980-იანი წლების ბოლოს კი „მი-24“ თავდაცვისა და მოწინააღმდეგის ვერტმფრენებთან საბრძოლველად აღჭურვეს რაკეტებით „ჰაერი-ჰაერი“.





**ტექნიკური მონაცემები:**

* წამყვანი ხრახნის დიამეტრი — 17,3 მ.
* საჭის ხრახნის დიამეტრი — 3,9 მ
* ფიუზელაჟის სიგრძე — 17,51 მ
* ფრთების განშლის სიგრძე — 6,4 მ
* მასა (ცარიელი) — 7580 კმ
* მასა (მაქსიმალური, ასაფრენი) — 11500 კგ
* საწვავის მარაგი — 3000 კგ-მდე
* ძრავის სიმძლავრე — 2X2200 ცხ. ძ.
* მგზავრების გადაყვანა — 8 მედესანტე, 2 მძიმედ დაჭრილი საკაცეზე, 2 მსუბუქად დაჭრილი და ექიმი.
* ეკიპაჟი — 2-3 კაცი
* კრეისერული სიჩქარე — 270 კმ/სთ
* მაქსიმალური სიჩქარე — 270 კმ/სთ
* ფრენის სიშორე (პრაქტიკული) — 450 კმ
* ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 4950 მ
* საბრძოლო მასალებისთვის განკუთვნილი საკიდრები — 6 ერთ.
* 2 სასროლი-საქვემეხო კონტეინერი ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარტყორცნებით.
* უმართავი რაკეტები — C-5; C-8; C-13; C-24.
* რაკეტები „ჰაერი-ჰაერი“ — „იგლა“, „ატაკა“
* ბომბები და კასეტები 50-დან 500 კგ-მდე.

**სირიის სამთავრობო ჯარები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ ტერორისტული დაჯგუფება „დაიშის“ („ისლამური სახელმწიფოს“ არაბული სახელწოდება) წინააღმდეგ ბრძოლაში. სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მომხრეები რუსული ვერტმფრენებისა და თვითმფრინავების მხარდაჭერით სარგებლობენ და ქვეყნის ჩრდილოეთში ტერორისტების მიერ დაკავებულ ქალაქებს ათავისუფლებენ.**



# რუსებმა ახალი თაობის კონვერტოპლანი შექმნეს

**16 თებერვალს სინგაპურში გამართულ ავიასალონზე (Singapure Airshow — 2016) პირველი გაფრენა განახორციელა ჰოლდინგ „ვერტოლეტი როსიის“ უპილოტო კონვერტოპლანმა, რომელმაც სამხედრო ექსპერტებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.**

კონვერტოპლანი — ეს არის განსაკუთრებული კლასის ხრახნიან-ფრთებიანი საფრენი აპარატი, რომელსაც აქვს რიგი უპირატესობისა, ტრადიციულ საფრენ აპარატებთან შედარებით.



MV-22 OSPREY

კონვერტოპლანს შეუძლია ვერტიკალურად აფრინდეს და დაეშვას შედარებით პატარა ზომის ფართობის მოედანზე, ამასთანავე, გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრები შორ მანძილზე და იფრინოს დიდი სიჩქარით — საათში 500 კმ.

ამჟამად სერიულად მხოლოდ ამერიკული კონსორციუმის კომპანიები — Bell Helicopter-ი და Boeing-ი აწარმოებენ კონვერტოპლანებს, კერძოდ, MV-22 Osprey-ს, რომლებითაც შეიარაღებულია აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი. თითოეული აპარატის ღირებულება არის 72 მლნ დოლარი.



ROTEM-L

# დრონი-კამიკაძე

**სინგაპურში გამართულ ავიაკოსმოსური მრეწველობის საერთაშორისო გამოფენა-სალონზე Singapure Airshow 2016 ისრაელის ავიაკონცერნმა Isral Aeropall Industries-მა „ერთჯერადი“ დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატები წარმოადგინა.**

ისრაელის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურებმა სამხედრო ექსპერტების ყურადღება მიაპყრეს სამ დრონზე. ესენია: RotemL-ი; HarpyNG-ი და Green Dragon-ი. შემქმნელებმა კამიკაძე-დრონებს უწოდეს „მოხეტიალე საბრძოლო მასალა“, რომელიც მიზანთან შეხებისას ფეთქდება. მაგალითად, თუ მზვერავ კვადროკოპტერ **RotemL**-ს დაკვირვების სისტემის ბლოკის ნაცვლად საომარი მასალების ბლოკს დაუმონტაჟებენ, მისი გამოყენება შეიძლება, როგორც მართული საომარი მასალისა. აპარატის სამართავად, რომელსაც 1 კგ ასაფეთქებელი ნივთიერების გადატანა შეუძლია, გამოიყენება პლანშეტური კომპიუტერი 10 კმ-ის მანძილზე მოქმედების კავშირგაბმულობის სისტემით, 1,5 კმ-ის მანძილზე კი საფრენი აპარატის მართვა თვალითაც შეიძლება.

**HarpyNG**-ი — ეს არის დიდ მანძილზე მფრენი ბომბი — უპილოტო აპარატი, რომლის ტექნიკურ მონაცემებს შემქმნელები საიდუმლოდ ინახავენ. ამ დრონს შეუძლია ავტომატურ რეჟიმში ფრენა, მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების აღმოჩენა და განადგურება.



HARPYNG

დრონი **Green Dragon**-ი ფრთოსანი რაკეტისა და უპილოტო საფრენი აპარატის ჰიბრიდია. მობილური საგამშვებო დანადგარიდან გაშვების შემდეგ აპარატს შეუძლია ნახევარი საათის განმავლობაში ეძებოს მიზანი 40 კმ-ის რადიუსში, ხოლო, როდესაც იპოვის, მიუახლოვდეს დაააფეთქოს.

დრონი-კამიკაძის შექმნის იდეა 2011 წელს გაჩნდა, როდესაც აშშ-ის არმია შეიარაღდა ფრთოსანი რაკეტისა და უპილოტო საფრენი აპარატის ჰიბრიდებით, სახელწოდებით **Switchblade**-ი. ელექტრომოტორიან დრონს აქვს სადაზვერვო უპილოტო აპარატების ყველა ფუნქცია და შეუძლია ავტონომიურადაც იფრინოს. მიზნის აღმოჩენის შემდეგ კი აპარატი მის თავზე პიკირებს და აფეთქებს კორპუსში ჩადებულ 2 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებას.

სხვათა შორის, სირიის სამთავრობო ჯარები ფართოდ იყენებენ ირანული წარმოების დრონებს, რომლებიც მიცემულ კოორდინატებზე მისვლის შემდეგ ფეთქდება. სირიაში ქალაქ მაარეთ-ენ-ნუუმანთან ასეთი 6 შემთხვევაა აღრიცხული.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღევანდელი პოლიტიკა ნავთობისა და გაზის მილის გარშემო ტრიალებს. ნახშირწყალბადები თანამედროვე ეკონომიკის სისხლია. ნავთობის მსოფლიო მარაგების ოცდაათი პროცენტი ახლო აღმოსავლეთშია, ამიტომ შევიდა აშშ ერაყში. ამერიკას ნავთობი აინტერესებდა და არა ტერორისტების ბაზების ან მითოლოგიური მასობრივი განადგურების იარაღის ძიება. გამოვლენ იქიდან? — რა თქმა უნდა, არა.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზი$ი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (330-335)

თურმე აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებზე „დიდი სამეულის“, სამი ალტერნატიული პარტიის ყველა კანდიდატი რესპუბლიკელია ან დემოკრატი!

**1. ლიბერტარიანული პარტია.**

„ყოფილი რესპუბლიკელი კონგრესმენი **ბობ ბარი** ოფიციალურად ჩაერთო წარდგენისთვის ბრძოლაში ლიბერტარიანული პარტიის ნაციონალური ყრილობის გამართვამდე ორი კვირით ადრე, მაგრამ დრო საკმარისი არ აღმოჩნდა“.

მხოლოდ ერთი ციტატა და რამდენი რამ გავიგეთ. თურმე რობერტ ბარი რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრია. მივაქციოთ ყურადღება მისი წარდგენის ვადებს: პარტიას არანაირი პრაიმერიზი არ დასჭირვებია. არ ყოფილა ნახევარწლიანი შოუ – ერთი კვირაც საკმარისი აღმოჩნდა;

**2. „მწვანეთა“ პარტია.**

**სინტია მაკკინი.** „იგი ყოფილი დემოკრატია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში წლების განმავლობაში მუშაობდა და ასევე რესპუბლიკელების კრიტიკის დიდი გამოცდილება აქვს“;

**3. კონსტიტუციური პარტია.**

„მღვდელმსახური ბაპტისტი **ჩაკ ბოლდუინი...** მსახურობდა პენსაკოლეში, შემდეგ — შტატის დონეზე ცნობილი მოქადაგისა და რელიგიური კონსერვატორების ლიდერის — ჯერი ფარეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „მორალური უმრავლესობის“ განყოფილებას. მაშინ ბოლდუინი რესპუბლიკური პარტიის სასიკეთოდ შრომობდა“.

**აი, ნომერი. ყველა ცხენი, რომლებსაც ასე თუ ისე გამარჯვების შანსი აქვს, ერთი თავლიდანაა. შეხედეთ კიდევ ერთხელ ცხრილს, რომელშიც მოცემულია კანდიდატთა მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა. დამოუკიდებელი რალფ ნეიდერის გარდა, ყველა მოგროვებული ხმა — ესაა ობამა, მაკკეინი პლუს დიდი სამეული იგივე მჭიდიდან.**

**ჩვენ კი ლამაზ ზღაპრებს გვიყვებიან დემოკრატიასა და არჩევანის თავისუფლებაზე. აშშ-ში არ არის რეალური და ღირსეული ბრძოლა პრეზიდენტის სკამისთვის, არა! არის ლამაზი, ძვირად ღირებული შოუ. ნუთუ კასპაროვმა, ნემცოვმა, კასიანოვმა, პოზნერმა და ამგვარი არჩევნების სხვა მოტრფიალეებმა არ იციან, რა ხდება რეალურად აშშ-ში? და თუ იციან და ესმით, მაგრამ მაინც განაგრძობენ შტატების გალმერთებას, მაშინ ვინ არიან ისინი?**

შესაჯამებლად ვთქვათ, რომ „მესამე ხარისხის“ კანდიდატებიც ნაწილობრივ იმავე მჭიდიდან არიან: „როდესაც პენსიაზე გასული დიპლომატი და ყოფილი რადიოწამყვანი **ალან კეიესი** იბრძოდა პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენისთვის რესპუბლიკელებისგან, ყველა პარტიული კადიდატიდან ის ყველაზე შესამჩნევი იყო“. თეთრი სახლის სავარძლისთვის დანარჩენი „მებრძოლები“ — ესაა ბუჩქი, ხეები და ბალახი ამერიკული პოლიტიკური ლადშაფტის პეიზაჟის გასალამაზებლად, რათა იგი ერთგვაროვანი და მოსაწყენი არ მოგეჩვენოთ...

**როგორც ყველა ძლიერ ციხეს, დემოკრატიის ციტადელს, როგორც თავის თავს აშშ უწოდებს, ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს. სხვებისგან? არა, საკუთარი ხალხისგან, რათა, ღმერთმა არ ქნას, ამერიკულ არჩევნებზე არ გაიმარჯვოს აშშ-ის მოქალაქემ, რომელზეც ფსონი უოლ-სტრიტის ბანკირებს არ დაუდევთ.**

**თავდაცვის პირველი ხაზი ორი უძლიერესი პარტიაა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან.**

**მეორე — სამი მეორეხარისხოვანი პარტია.**

**მაგრამ არის მესამე ხაზიც. საქმე ისაა, რომ აშშ-ის მოქალაქეები, არა პირდაპირ, როგორც რუსეთში, ირჩევენ პრეზიდენტს. ისინი წარადგენენ ამომრჩევლებს, რომლებიც ირჩევენ სახელმწიფოს მეთაურს. აი, აქ გადის თავდაცვის მესამე ხაზი.**

ყველა ამერიკული შტატი საერთო ეროვნულ ყულაბაში ამომრჩევლის სხვადასხვა რაოდენობას დებს — თავისი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. არის მნიშვნელოვანი შტატები, არის მეორეხარისხოვანი და არის, როგორც ლენინი იტყოდა, არქმნიშვნელოვანიც. პრეზიდენტის ამრჩევთა ყველაზე დიდი რაოდენობა (55 ადამიანი) ყველაზე დასახლებულ შტატზე – კალიფორნიაზე მოდის. ფლორიდას 27 ამომრჩევი წარადგენს, ტეხასს — 34, ყველაზე მცირე რაოდენობა (3) ჰყავს იუტას, მონტანას, ალასკას, ვერმონტს, დელავერს, ვაიომინგსა და ჩრდილოეთ დაკოტას. სიტუაციაზე კონტროლისთვის აუცილებელი არაა, ყველა შტატს მიექცეს ყურადღება, აუცილებელია მხოლოდ ამომრჩევთა რაოდენობის მიხედვით მნიშვნელოვანი შტატების გაკონტროლება. სწორედ აქ არ მოხვდებიან ბიულეტენებში ისინი, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს. ეს კი უკვე იმის გარანტიაა, რომ გაიმარჯვებს ის, ვინც საჭიროა.

წარმოიდგინეთ უზარმაზარი სამორინე. მის ცენტრში „რულეტკა“ დგას. მას არა 36, არამედ მხოლოდ 14 დანაყოფი აქვს. და აი, უკვე ორასი წლის განმავლობაში ბურთი მხოლოდ ორ დანაყოფზე ჩერდება. ყოველთვის იმარჯვებს ორი ციფრი: 1 და 2. დანარჩენ 12-ში ბურთი არასოდეს ვარდება. ასე გრძელდება ასეულობით წელი. სამორინეს ეს „თავისებურება“ იცის ყველა სტუმარმა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს ან „1“, ან „2“. ნუთუ შედეგი არაპროგნოზირებულია? პროგნოზირება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ეს ბურთი, ერთნაირი ალბათობით, თოთხმეტივე განყოფილებაში ჩავარდებოდა. ასე კი ორ ციფრს აქვს გამარჯვების 50-პროცენტიანი შანსი, ხოლო დანარჩენ თორმეტს — ნულპროცენტიანი.

რომელ ციფრებზე დადებდით ფსონს ამგვარ კაზინოში?

ხომ გაგიჩნდებათ ეჭვი, რომ ასეთ ადგილას ყველაფერი სწორად არ არის?

ხომ გაგიჩნდებათ მოვლენათა უცნაურობის განცდა, რომ აქ თაღლითობენ? რომ მექანიზმი დალპა? რომ ხავერდისა და რკინის ქვეშ რულეტკას რაღაც „მაგნიტები“ აქვს მიმაგრებული?




**აშშ-ის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება არა ამა თუ იმ პიროვნების დაპირებებით, რომლებიც გაცემულია წინასაარჩევნო ბატალიებისას, არამედ ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებით. ამ კუთხით უნდა ავხსნათ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის ქმედებები. ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ სიტყვების კორიანტელია ან მწარე პოლიტიკური აბის შეფუთვა**

**სხვათა შორის, უცნაურებიც მოიძებნებიან. იციან, რომ მოგების ალბათობა სხვა ციფრებზე ნულს უდრის, მაგრამ მაინც დებენ ფსონებს. უბრალოდ, პროტესტის გამო...**

თუ გინდათ, უზარმაზარი მოგება მიიღოთ გაზიანი სასმელის გაყიდვიდან, არაა საჭირო, ლიმონათის ახალი ქარხნის მშენებლობა აკრძალოთ. ძველის, თქვენ მფლობელობაში არსებულის, აფეთქებაც არ გჭირდებათ. საკმარისია, ყველა გაზეთმა, ტელევიზიამ, რადიომ დილიდან დაღამებამდე ისაუბროს თქვენი პროდუქციის შესახებ და მაღაზიაში შესული მოქალაქე სწორედ თქვენს წარმოებულ სასმელს იყიდის, ხოლო კონკურენტები ჩუმად და მშვიდობიანად წავლენ.

**ასე მარტივად? დიახ, ასე მარტივად. ადამიანი შთაგონებას ემორჩილება. ყველა! და, ამასთანავე, თვლის, რომ იგი არ ექვემდებარება შთაგონებას. გაიხსენეთ, რამდენი რეკლამა გინახავთ და მოგისმენიათ დღე-ღამის განმავლობაში. იგი ეფექტიანი რომ არ იყოს, ჩვენ რომ იმ ყველაფერს არ ვყიდულობდეთ, რასაც გვირჩევენ, არავინ შეუკვეთდა რეკლამას და ფულს არ დახარჯავდა. რაკი უკვეთენ, ე.ი. რეკლამა მუშაობს. რაკი მუშაობს, ე.ი. უკვეთენ, თანაც არამხოლოდ ეკონომიკაში. რეკლამა პოლიტიკაშიც ეფექტიანია, თუმცა თქვენ, პატივცემულო მკითხველო, რა თქმა უნდა, მიგაჩნიათ, რომ სწორედ თქვენზე არ ჭრის ამგვარი ხერხი. იმედი უნდა გაგიცრუოთ...**

ადამიანის ფსიქიკის მხოლოდ ერთი შტრიხია გასათვალისწინებელი. ყოველი ადამიანი საკუთარ თავს პიროვნებად მიიჩნევს, ერთეულად და არა ნულად და სურს, რომ მას პატივი სცენ. ადამიანს სურს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები. მას არ სიამოვნებს, როდესაც რაიმეს ახვევენ თავს, ართმევენ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. მას სურს, თვითონ აირჩიოს სასმელი, ამიტომ თაროზე უნდა იდგეს არა მხოლოდ ერთი ლიმონათი, რომელზეც ყველგან საუბრობენ, არამედ, სულ ცოტა, — ორი. „კოკა-კოლას“ აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი „პეპსი-კოლა“. სხვაგვარად „კოკა-კოლის“ ყიდვა, რომელიც ეულად დგას, საინტერესო არ არის. არჩევანი არ არის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი ილუზია არ არის. იმიტომ, რომ **ადამიანს იმ წყობაში, რომელსაც ამაყად უწოდებს „დემოკრატიას“, აძლევენ არა არჩევანს, არამედ მის იმიტაციას. საქმე ისაა, რომ პირველი და მეორე სასმელი კომპანიების, ფონდების, ოფშორების, მესამე პირების, თავმჯდომარეების ქსელის გავლით იწარმოება ერთი და იმავე პირების მიერ. რაც გინდა იყიდოთ, მოგება ერთ ჯიბეში იდება.** ამ მარტივი ჭეშმარიტების გაგება არ უნდოდათ არაფრით კომპარტიის ლიდერებს. არ იყო აუცილებელი მრავალპარტიული სისტემის შექმნა: სკკპ-1 და სკკპ-2... ამას არავინ აკეთებდა და ამიტომაც საჭირო მომენტში საბჭოთა კავშირს არ აღმოაჩნდა ახალი „მზა სასმელი“, როცა ხალხს ძველი მობეზრდა.

**დიდი ხანია, დასავლეთში მრავალპარტიულობა არსებობს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორპარტიულობა. თითქმის ყველგან რეალურად იმარჯვებს, ანუ მართლაც იბრძვის მხოლოდ ორი, იშვიათად — სამი პოლიტიკური ძალა. დანარჩენები უბრალო სტატისტები არიან. არის ორი პარტია — იბრძვის ორი კანდიდატი. ხოლო ამ პარტიების ხელმძღვანელობა და კანდიდატები ერთსა და იმავე ხელში არიან. სინამდვილეში არანაირი ბრძოლა არ არსებობს. არის მხოლოდ შეჯიბრება მჭევრმეტყველებაში, საჯაროდ ქცევის ცოდნაში. ხოლო აზრობრივად — ორ მასხარას შორის, რომლებიც სცენაზე დგანან, პრინციპული განსხვავება არ არის.**

რას გვთავაზობდა **ობამა?** — რვა თვის განმავლობაში ერაყიდან ჯარების გამოყვანას, სამაგიეროდ, დამატებითი კონტინგენტების შეყვანას ავღანეთსა და მის მეზობელ პაკისტანში, სადაც ლეგენდარულ-მითოსური „ალ ქაიდა“ იმალებოდა.

რას გვთავაზობდა **მაკკეინი?** — ერაყსა და ავღანეთში ჯარების დატოვებას. პაკისტანში ჯარების შეყვანაზე საუბარი არ იყო.

საბოლოო ჯამში? **2008 წლის ნოემბერში გაფორმდა ახალი ხელშეკრულება აშშ-სა და ერაყს შორის, რომლის თანახმად იანკები იქ 2011 წლამდე დარჩებიან. წასასვლელად გამზადებულმა ბუშმა მას ხელი მოაწერა, მაგრამ, 100%-იანი ალბათობით, ობამა მას არ დაარღვევს. მოიძებნება მყარი მიზეზები, რათა ერაყიდან გასვლა გადაიდოს. ეს შეიძლება იყოს მასშტაბური ტერორისტული აქტი, გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა. საბაბად ყველაფერი გამოდგება. ხოლო პაკისტანში „შესვლა“ ბარაკ ობამას არ დაავიწყდება. უკვე გაზარდა ავღანეთში სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა.**

მაინც რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ **აშშ-ის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება არა ამა** ▶




ფული და მედია — აი პოლიტიკური ბრძოლის მთავარი საშუალება, მაგრამ ეს საკმაოდ მოკლე სიაც კი ორჯერ შეგვიძლია შევამოკლოთ. ფული გვაძლევს კონტროლს მედიაზე, ე.ი. მხოლოდ ფულია საჭირო. გაზეთები, ტელევიზია და რადიო, შესაძლებელია, უბრალოდ, იყიდო. დასავლეთში ისინი, დიდი ხანია, ნაყიდია. ე.ი. გზა აშშ-ის პოლიტიკური სისტემის კონტროლისაკენ, ხოლო მისი გავლით მთელ მსოფლიოზე, ფინანსური აქტივების ერთ ხელში კონცენტრაციაზე გადის. ამერიკაში აგებულ საარჩევნო სისტემაში, ვისაც მეტი ფული და მედიის ყურადღება აქვს, ის იმარჯვებს.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რისთვის უნდათ ამერიკელებს ავღანეთი? — დახედეთ რუკას. გვერდითაა შუა აზია, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი. არასტაბილურობა, რომელიც ხელოვნურად იქმნება ამ რეგიონში, შეიძლება იოლად იქნას გადასროლილი საჭირო მიმართულებით. იქ ყოფნით შეიძლება დაემუქრო მზარდ მთავარ მეტოქეს — ჩინეთს, განახორციელო ზემოქმედება რუსეთზე, ხელში გეჭიროს ინდოეთი, დაემუქრო ირანს. ყველას, ვინც იცნობს ამ ისტორიას, ესმის, რომ ავღანეთის დაპყრობა შეუძლებელია. ისტორიის განმავლობაში ასეთი შედეგი არავის მიუღია. არ გამოუვათ ამერიკელებსაც, მაგრამ აქ ყოფნა მათთვის ისე მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთში კონტინგენტი ორმაგდება

◀ **თუ იმ პიროვნების დაპირებებით, რომლებიც გაცემულია წინასაარჩევნო ბატალიებისას, არამედ ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებით. ამ კუთხით უნდა ავხსნათ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის ქმედებები. ყველაფერი დანარჩენი — მხოლოდ სიტყვების კორიანტელია ან მწარე პოლიტიკური აბის შეფუთვა.**

დღევანდელი პოლიტიკა ნავთობისა და გაზის მილის გარშემო ტრიალებს. ნახშირწყალბადები თანამედროვე ეკონომიკის სისხლია. ნავთობის მსოფლიო მარაგების ოცდაათი პროცენტი ახლო აღმოსავლეთშია, ამიტომ შევიდა აშშ ერაყში. ამერიკას ნავთობი აინტერესებდა და არა ტერორისტების ბაზების ან მითოლოგიური მასობრივი განადგურების იარაღის ძიება. გამოვლენ იქიდან? — რა თქმა უნდა, არა.

**რისთვის უნდათ ამერიკელებს ავღანეთი? დახედეთ რუკას. გვერდითაა შუა აზია, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი. არასტაბილურობა, რომელიც ხელოვნურად იქმნება ამ რეგიონში, შეიძლება იოლად იქნას გადასროლილი საჭირო მიმართულებით. იქ ყოფნით შეიძლება დაემუქრო მზარდ მთავარ მეტოქეს — ჩინეთს, განახორციელო ზემოქმედება რუსეთზე, ხელში გეჭიროს ინდოეთი, დაემუქრო ირანს. ყველას, ვინც იცნობს ამ ისტორიას, ესმის სისხლით მორწყული ჭეშმარიტება — ავღანეთის დაპყრობა შეუძლებელია. ისტორიის განმავლობაში ასეთი შედეგი არავის მიუღია. არ გამოუვათ ამერიკელებსაც, მაგრამ აქ ყოფნა მათთვის ისე მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთში კონტინგენტი ორმაგდება.** თვითონ ნაკლები დანაკარგი რომ ჰქონდეთ, მოიგონეს „ანტიტერორისტული კოალიცია“. შორეულ ქვეყანაში მსახურობენ... ლატვიელები და ესტონელები. **ღირდა სსრკ-დან გასვლა ისევ ავღანეთში მოსახვედრად? რა თქმა უნდა, „ღირდა“ — ახლა ამ ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ აშშ-ში უვიზოდ ჩასვლა...**

ავღანეთის გვერდითაა პაკისტანი, რომელიც შტატების მოკავშირეა, რაც ხელს არ უშლის ამერიკელ სპეცრაზმელებს, შესაშური რეგულარულობით შეიჭრან იქ. ტერორისტების ძებნაში, რა თქმა უნდა, თავად პაკისტანის თანხმობის გარეშე, ბარაკ ობამაც აპირებს ამ კეთილი ტრადიციის გაგრძელებას. მიზანი კვლავ იგივეა — ჩინეთის საზღვართან არასტაბილურობა.

კიდევ რომელი მნიშვნელოვანი მომენტები არ აღვნიშნეთ ამერიკულ პოლიტიკაში? **ირანი.** აქაც თანამიმდევრულობას ვხედავთ. „აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ძალიან ცოტა შესაძლებლობა აქვს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ შემოთავაზებული საგარეო პოლიტიკის კურსიდან გადახვევისთვის“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **კონდოლიზა რაისმა** გაზეთ The Financian Times-თან ინტერვიუში. მან თქვა, რომ ახალი ადმინისტრაცია, ალბათ, განაგრძობს ბუშის



პოლიტიკას ირანის ბირთვულ პროგრამის მიმართ.“

**მაშ, რა განსხვავებაა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის, თუ, მიუხედავად მათი ბრძოლისა და დაპირებებისა, შტატების პოლიტიკა არ იცვლება?** განსხვავება არის გადასახადებში. **დემოკრატები იძლევიან დაპირებას, შეამცირონ გადასახადები ღარიბთათვის, ხოლო რესპუბლიკელები — მდიდრებისთვის. აშშ-ის მოქალაქეები კი, რომლებიც ძალიან ცუდად იცნობენ მსოფლიოს რუკას და პლანეტის პოლიტიკურ პრობლემებს, ირჩევენ არა საგარეო პოლიტიკას, არამედ საშინაოს.**

დასკვნა მარტივია: **აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებზე ვინ გაიმარჯვებს, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მისი საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები, რამდენადაც შესაძლებელია მსოფლიო პოლიტიკის პროგნოზირება, უკვე დიდი ხანია, გადაწყვეტილია იმ ძალების მიერ, რომლებიც მაყურებლის გასართობად აწყობენ ლამაზ და ძვირფას შოუს სახელად „აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები“.**

ეს ძალიან მოხერხებულია. ჭადრაკის დაფაზე გინდ თეთრებით გითამაშია, გინდ — შავებით, პრინციპში, წაგება შეუძლებელია. ორივე კანდიდატი თქვენია. არაა საჭირო შედეგების გაყალბება, ფალსიფიკაციის საჭიროება არაა. **არასოდეს დაფიქრებულხართ, რატომ არასოდეს იღვრება ქუჩაში პოლიტიკური ბრძოლის შედეგები დასავლეთში? რატომაა იქ „მაიდანი“ შეუძლებელი, როდესაც დამარცხებული ლიდერი არჩევნების შედეგებს ასაჩივრებს და ორგანიზებას უწევს არეულობებს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზრდება? რატომ ეთანხმება თავის მარცხს უილბლო ყოველთვის, თანაც მშვიდობიანად?**




პოლიტიკური ბრძოლის კულტურაა მაღალიო, — იტყვიან ლიბერალები. არა, არავინ ისწრაფვის ძალაუფლებისკენ იმიტომ, რომ ძალაუფლებისთვის ნამდვილი ბრძოლა არ არის. არის ორი ერთი და იმავე ხალხის მიერ დაქირავებული პატივმოყვარე ადამიანი. არის ბრძოლის წესები. ღიმილი, დაპირება, კრიტიკა. პატიოსანი ბრძოლა — ვნახოთ, ვის აირჩევენ. მარცხის შემთხვევაში — ლამაზად წასვლა (მიაქციეთ ყურადღება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ამერიკელი პოლიტიკოსები ხშირად ქრებიან). სულერთია, „კოსმეტიკის“ გარდა, პოლიტიკა უცვლელი იქნება. **აშშ-ის ხელისუფლებაში არასოდეს მოვა ადამიანი, რომელიც დაისახავს პროგრამად ნატოს დაშლას, ახალი სამხედრო კავშირის შექმნას რუსეთთან ან ამერიკული ჯარის ლიკვიდაციას ბიუჯეტის ეკონომიის მიზნით.**

და, რაც მთავარია, ამერიკელი პოლიტიკოსისთვის — არასოდეს შეეხოს ყველაზე წმინდას, ფედერალურ სარეზერვო სისტემას.

ახლა კი დროა, ვიკითხოთ: **როგორ, რომელი ძალების დახმარებით შეგვიძლია გავაკონტროლოთ საარჩევნო პროცესი უზარმაზარ ქვეყანაში? როგორ ვაკონტროლოთ თუნდაც ორი, მაგრამ ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტია?** — ფულის მეშვეობით. **ფული და მედია — აი, პოლიტიკური ბრძოლის მთავარი საშუალება, მაგრამ ეს საკმაოდ მოკლე სიაც კი შეგვიძლია ორჯერ შევამოკლოთ. ფული გვაძლევს კონტროლს მედიაზე, ე.ი. მხოლოდ ფულია საჭირო. გაზეთები, ტელევიზია და რადიო,შესაძლებელია, უბრალოდ, იყიდო. და დასავლეთში ისინი, დიდი ხანია, ნაყიდია, ე.ი. გზა აშშ-ის პოლიტიკური სისტემის კონტროლისკენ, ხოლო მისი გავლით მთელ მსოფლიოზე ფინანსური აქტივების ერთ ხელში კონცენტრაციაზე გადის.**

ამერიკაში აგებულ საარჩევნო სისტემაში, ვისაც მეტი ფული და მედიის ყურადღება აქვს, ის იმარჯვებს. თუ თქვენს ორ კანდიდატს ექნება ათასჯერ დიდი ბიუჯეტი, ვიდრე სხვა კანდიდატებს, გამარჯვების შანსი მხოლოდ მათ ექნებათ.

როგორღა მოვახდინოთ ფულის კონცენტრაცია მხოლოდ საკუთარ ხელში?

ამისათვის არსებობს მშვენიერი ინსტრუმენტი — ფედერალური სარეზერვო სისტემა. ის ამისთვის შეიქმნა. **თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის მფლობელთა პირველადი ამოცანა იყო აშშ-ის გარეთ კონკურენტი სახელმწიფოების დანგრევა, ქვეყნის შიგნითაც მიზნები ზუსტად იგივეა, ოღონდ ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ,** რათა აშშ-ში არავის ჰქონდეს ფულადი სახსრები და არ შეეძლოს ამერკული საარჩევნო მექანიზმით მოიყვანოს თავისი ადამიანი ხელისუფლებაში და, უბრალოდ, კანონის ცვლილებით არ მოახდინოს ფედერალური სარეზრვო სისტემის ლიკვიდაცია. ურჩხულის მოკვლა ჩვეულებრივი ხელმოწერით შეიძლება, მაგრამ ურჩხულმა იცის ამ საფრთხის შესახებ, ამიტომ დიდი ხანია, თავი დაიზღვია, რომ საწერი კალამი არ მოხვდეს მეტოქის ან არასანდო ხელში.

**კონკურენტების განადგურების საუკეთესო ხერხი, მეტოქეთა ფინანსური ძლიერების განადგურების ყველაზე მარტივი და ეფექტიანი საშუალებაა ფინანსური კრიზისი. ყველაფერი თითქოს თავისით ხდება. ზოგი ბანკი კოტრდება, ზოგი რჩება. ბაზარი ბაზარია.**

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ყველაფერი და ყოველთვის იოლი და მარტივი იყო უოლსტრიტის ბანკირებისთვის, რომლებმაც ფსს მოიგონეს. მათ შეასუსტეს და გაანადგურეს კონკურენტები, მაგრამ, როდესაც მათ ძლიერებას საბჭოთა კავშირი უქმნიდა, უხეშმა ხელისუფლებამ კინაღამ დაღუპა მთელი საქმე.

მომდევნო თავში ვისაუბრებთ დიდ დეპრესიაზე და ორ ამერიკელ პრეზიდენტზე.



## გარდაიცვალა გაეროს მეექვსე გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს-გალი

**გაეროს მეექვსე გენერალური მდივანი და ეგვიპტელი ვეტერანი დიპლომატი ბუტროს ბუტროს-გალი 93 წლისა გარდაიცვალა.**

ის კაიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში მენჯის მოტეხილობით გადაიყვანეს, მაგრამ გამოჯანმრთელება ვერ შეძლო. ბუტროს ბუტროს-გალიმ თანამდებობა 1992 წელს დაიკავა, როდესც გაეროს გავლენა მსოფლიოში იზრდებოდა სპარსეთის ყურის ომში მისი როლის გამო. ის პირველი აფრიკელი გენერალური მდივანი იყო. ბუტროს ბუტროს-გალის აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ თავიდან ვერ აიცილა 1994 წელს რუანდაში განხორციელებული გენოციდი. ბუტროს გალის ვაშინგტონიც აკრიტიკებდა ბოსნიაში ნატოს მიერ განხორციელებულ ავიადაბომბვებზე მისი უარყოფითი პოზიციის გამო. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბუტროს ბუტროს-გალი ერთადერთი გენერალური მდივანი გახლდათ, რომელსაც ეს თანამდებობა მხოლოდ ერთი ვადით ეკავა.

## უშიშროების საბჭომ მხარი არ დაუჭირა რუსეთის რეზოლუციას სირიაზე

**გაეროს უშიშროების საბჭომ რუსეთის რეზოლუციას სირიის შესახებ მხარი არ დაუჭირა. როგორც დასავლური მედია იტყობინება, დოკუმენტს ვეტო აშშ-მა და საფრანგეთმა დაადეს.**

რეზოლუცია მოითხოვდა ყველა იმ ქმედების შეწყვეტას, რომლებიც სირიის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საფრთხეს, მათ შორის, სირიაში სახმელეთო დანაყოფების შეყვანაზე უარის თქმას. გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რუსეთის თხოვნით, სირია-თურქეთის საზღვარზე სიტუაციის დაძაბვის ფონზე გაიმართა. სხდომის დასრულების შემდეგ აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში — სამანტა პაუერმა განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა, რუსეთს შეესრულებინა უკვე მიღებული რეზოლუცია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ 2015 წლის დეკემბერში მიიღო.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწეობდა ბევრი სახელგანთქმული ილუზიონისტი. ზემოხსენებული კატერფელტოს გარდა, იყვნენ ვოლფგანგ კემპელენი, ფილადელფუს ფილადელფია, ჯუზეპე ბალზამო, რომელიც გრაფი კალიოსტროს სახელითაა ცნობილი, პინეტი და ცნობილი ჯაკომო კაზანოვა, ბართლომეო ბოსკო, გერმანი, გელერი, ფრანგი ვენტროლოგი, ტრანსფორმატორი და მაგი ალექსანდრე ვატემარი, მოგვიანებით — ჰარი გუდინი და კიდევ ბევრი სხვა.**

# ზოგი რამ ილუზიონისტებზე

**ბავშვობაში სასწაულების ყველას გვჯეროდა. მოგვიანებით კი ვიტყობდით, რომ სანტა კლაუსი გადაცმული მეზობელი იყო და ჩვენი ლოგინის ქვეშ მონსტრები სულაც არ ცხოვრობენ. წლების მატებასთან ერთად ნელ-ნელა პრაგმატულ მატერიალისტებად და მოსაწყენ ადამიანებად ვიქცევით, თუმცა არიან ადამიანები, რომლებმაც ბავშვურ ოცნებებთან განშორება არ მოინდომეს და ჯადოქრობა თავიანთ პროფესიად აქციეს — ილუზიონისტები გახდნენ.**

## პირველი მეფოკუსეები

ილუზიონისტები, თავდაპირველად, ქურუმები და შამანები იყვნენ, მოგვიანებით ფოკუსების კეთებას ჩვეულებრივმა მოკვდავებმაც მიჰყვეს ხელი.

**ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ძველ ინდოეთში იოგა-ფაკირები დაეხეტებოდნენ, რომლებიც აჯადოებდნენ გველებს, წვებოდნენ თიხის წვერწამახულ ნამსხვრევებზე, პირიდან ცეცხლის ალს აფრქვევდნენ და სხვადასხვა ხმით ლაპარაკობდნენ. ძველ ეგვიპტეში კი მეფოკუსეები მაყურებელს სთავაზობდნენ, გამოეცნოთ, სამი ხუფიდან რომლის ქვეშ იდო მრგვალი ქვა.**

ჩვენამდე მოღწეულია ძველბერძნული პაპირუსი, რომელიც ხალხურ თქმულებებსა და რჩევა-დარიგებებს შეიცავს. იგი ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნით თარიღდება, მაგრამ გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს, რადგან ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 2500 წლის ამბებს მოგვითხრობს, როცა ცნობილი ფარაონი — **ხეოფსი** ზეობდა.

ამ პაპირუსის ერთ-ერთ თქმულებაში ლაპარაკია ფოკუსების მცოდნესა და ცხოველების მომთვინიერებელ ვინმე **ჯედიზე**, რომელსაც ფარაონ ხეოფსისთვის უჩვენებია თავისი ოსტატობა — ბატისთვის მოჭრილი თავი მიუბამს. ფარაონის გაოცებას საზღვარი არ ჰქონია, მით უმეტეს, რომ მაშინდელი წარმოდგენით, მკვდრის გაცოცხლება მხოლოდ ფარაონს შეეძლო და არა უბრალო გლეხს. ამიტომ ჯედი ფარაონმა გულუხვად დაასაჩუქრა და თავისი შვილის სასახლეს მიამაგრა, რათა ამიერიდან ასეთი ფოკუსები არავისთვის ეჩვენებინა. უკვე რამდენიმე ათასწლეულია, მოჭრილი თავის ხელახლა გამობმის ფოკუსი არავის უკვირს.

პაპირუსში აღწერილი ფოკუსიდან დაახლოებით ათას ხუთასი წლის შემდეგ **ეგვიპტესა და ბაბილონში გაჩნდა წარმოდგენის ახალი სახეობა — ილუზიონები. იქაურმა ქურუმებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ თავიანთ ცოდნას ფიზიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, მექანიკისა და ქიმიის სფეროებში, შექმნეს ისეთი რთული მოწყობილობები, რომელთა მეშვეობით ელვისა და ჭექა-ქუხილის დროს თავისით იღებოდა ტაძრის კარიბჭე, მიწიდან ამოდიოდა ღვთაების ქანდაკება, რომელიც ტიროდა და წინ იწვდიდა ხელებს; თავისით ინთებოდა სამსხვერპლო ცეცხლი, ცარიელ დარბაზში ისმოდა იდუმალი ხმები, რომლებიც მომავალს წინასწარმეტყველებდნენ, უჩინარი მუსიკალური ინსტრუმენტები კი ხელის შეხების გარეშე უკრავდნენ. ყოველ ასეთ და კიდევ ბევრ სხვა ილუზიურ ოინს დიდი სახელი და სიმდიდრე მოჰქონდა ტაძრებისთვის.**

როცა ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში სპარსეთის უზარმაზარი იმპერია შეიქმნა, ქვეყნიერებას მოედვნენ ქალდეველი, ეგვიპტელი და ინდოელი მაგები. სხვათა შორის, სიტყვა „მაგი“ ქალდევური „მაგდიმისგან“ წარმოდგება — ასე უწოდებდნენ ასირო-ბაბილონელ ასტროლოგებს.

**ქურუმები ცდილობდნენ, ილუზიის ხელოვნება თავიანთ მონოპოლიად ექციათ, დევნიდნენ მოხეტიალე მაგებსა და ილუზიონისტებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. ძველი საბერძნეთისა და რომის იმპერიის ქალაქებში მოედნებზე, ბაზრობებსა და დღესასწაულებზე კვლავაც თავიანთ ხელოვნებას აჩვენებდნენ ფოკუსებისა და მანიპულაციების ოსტატები. ხალხს ძალიან უყვარდა ისინი და ზოგს ძეგლიც კი დაუდგეს.**

ძველ სამყაროში მეფეთა და დიდებულთა საყვარელი სანახაობა ილუზიური ავტომატების ცქერა იყო. მაგალითად, **ალექსანდრე მაკედონელმა** მცირე აზიაში ნახა ხე, რომელზეც ულამაზესი ხელოვნური ჩიტები ისხდნენ. ისინი ბრძანებაზე გალობას წყვეტდნენ და თითქოს პასუხს სცემდნენ მბრძანებლებს, როცა ისინი რამეს ეკითხებოდნენ.

## ჯადოსნური ფარანი და პირველი კინოჩვენება

XVIII საუკუნიდან ლიტერატურაში ისევ მოიხსენიება უძველესი ფოკუსი „თავის მოკვეთა“, რომელიც ოდესღაც ჯედიმ აჩვენა ფარაონ ხეოფსს, მაგრამ ამჯერად ფრინველზე კი არა, ადამიანის თავის მოკვეთაზეა ლაპარაკი.



**ქრისტიანულ ევროპაში მეფოკუსეები აქტიურად ეხმარებოდნენ მღვდლებსა და მისიონერებს და მათ ქადაგებებს ვიზუალური ეფექტებით აცოცხლებდნენ. განსაკუთრებით პოპულარული იყო იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის ტრიუკი. მეფოკუსე საკუთარ თავს ღრმად რგავდა მხრებში და ტანსაცმელში მალავდა, ზემოდან კი ცვილის თავს იდებდა, რომელზეც ხარის სისხლით ავსებული ბუშტი იყო მიმაგრებული, ასისტენტი მოიქნევდა ხმალს და... აღფრთოვანებული პუბლიკა წიოდა და კიოდა**

**ქრისტიანულ ევროპაში მეფოკუსეები აქტიურად ეხმარებოდნენ მღვდლებსა და მისიონერებს და მათ ქადაგებებს ვიზუალური ეფექტებით აცოცხლებდნენ. განსაკუთრებით პოპულარული იყო იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის ტრიუკი. მეფოკუსე საკუთარ თავს ღრმად რგავდა მხრებში და ტანსაცმელში მალავდა, ზემოდან კი ცვილის თავს იდებდა, რომელზეც ხარის სისხლით ავსებული ბუშტი იყო მიმაგრებული, ასისტენტი მოიქნევდა ხმალს და... აღფრთოვანებული პუბლიკა წიოდა და კიოდა.**



ბიბლიური პერსონაჟები „სჩადიოდნენ სასწაულებს“, ანუ მეფოკუსეები, ფაქტობრივად, ხალხს თვალსა და ხელს შუა ატყუებდნენ, თუმცა იმ შორეული დროის ხალხი ჯადოქრობასა და ილუზიას შორის დიდ სხვაობას ვერ ხედავდა.

**ევროპული ენების უმრავლესობაში „მეფოკუსე“ და „ჯადოქარი“, „მაგს“ ნიშნავს. სიტყვა „ფოკუსიც“ წარმოიშვა არა ოპტიკური ტერმინისგან, არამედ ლათინური გამოთქმისგან HOC EST CORPUS MEUM („ეს არის სხეული ჩემი“), რომელსაც კულტის მსახურები წმინდა ნაწილების გამოტანისას წარმოთქვამდნენ.**

დადგა ბნელი შუასაუკუნეები. ინკვიზიცია მეფოკუსეებს პირდაპირ კოცონზე წვავდა, მაგრამ ეს პროფესია დავიწყებას მაინც არ მიეცა. ყველა ბაზრობაზე გამოჩნდებოდა ვინმე მოხერხებული და ხალხს ბატებისა და მამლების „გაცოცხლებით“ აოცებდა (ფრინველს საძილე არტერიაზე ხელი უნდა დააჭირო და ის დროებით გონებას დაკარგავს), ტრაბახობდა „სიუხვის რქით“, რომლიდანაც „უსასრულოდ“ მოედინებოდა ერთდროულად სამნაირი ღვინო (აქ საჭიროა სპეციალური კონსტრუქციის რქა და ასისტენტის დახმარება, რომელიც შეუმჩნევლად ჩაასხამს ღვინოს რქაში), ან სთავაზობდა სანაძლეოს რკინის ორი გვერგვის გახლეჩაზე, რომლებიც „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ იყო ერთმანეთში ჩაჭდეული (მხოლოდ მეფოკუსემ იცოდა, რა ადგილას უნდა მოეკიდებინა ხელი გვერგვებისთვის).

ბაზრობებზე გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა „ჯადოსნური ჯოხებითაც“. ეს იყო ჩვეულებრივი მავთულის წნელი, რომლის დახმარებითაც რკინის მადნის ან ჭის ამოსათხრელი ადგილის მოძებნა შეიძლებოდა.

**ილუზიური ნომრები შუა საუკუნეებში აღიქმებოდა, როგორც სინამდვილე. შემდეგ კი ფოკუსებიც, ფიზიკა-ქიმიური ცდებიც და ყველაფერი, რაც სიახლესა და ხალხისთვის გაუგებარს წარმოადგენდა, გახდა მაგია.**

ასტროლოგი **მიშელ ნოსტრადამუსი** (1503–1566) უდიდეს მაგად და ჯადოქრად ითვლებოდა სწორედ იმიტომ, რომ იმ დროისთვის უცნობ აპარატს — ეგრეთ წოდებულ „ჯადოსნურ ფარანს“ („ლატერნა მაგიკა“) და სამწახნაგოვან მინის პრიზმებს იყენებდა. ნოსტრადამუსი ამ ხელსაწყოებით მართავდა ილუზიურ წარმოდგენებს და მაყურებელს მათ გასაოცარ თვისებებს უჩვენებდა.

აღორძინების ეპოქამ იქამდე აკრძალული მეცნიერებების, მათ შორის ფიზიკის, ქიმიისა და მექანიკის, რეაბილიტაცია მოახდინა. ილუზიონისტის რეკვიზიტი სხვადასხვა მოწყობილობით გამდიდრდა, როგორიცაა მაგნიტები, რიგებად ჩალაგებული სარკეები, უხილავი მელანი, თვითაალებადი ნარევები და ა. შ.

გაჩნდნენ „მექანიკური ადამიანები“ — ავტომატები, რომლებსაც მოძრაობა და ლაპარაკიც კი შეეძლოთ (რასაკვირველია, მუცლითმეტყველი მაგის დახმარებით). **უილიამ შექსპირმა** აქტიურად გამოიყენა პროგრესის მიღწევები თავის პიესებში, ჰამლეტის მამის მოჩვენება ხომ სცენაზე ჯადოსნური ფარნისა და ჩრდილების თამაშის წყალობით ჩნდება.

**მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს გამოჩნდა წიგნები, რომლებშიც შეტანილია მეცნიერულ ცდებზე დამყარებული სრულიად ახალი ილუზიური ტრიუკები. ამ პერიოდის ილუზიონისტები ერთდროულად მკვლევარებიც იყვნენ, გამომგონებელ-კონსტრუქტორებიც და მექანიკოსებიც, ლექტორებიც და მსახიობებიც.**

ერთ-ერთი ასეთი „ექსპერიმენტატორი“ იყო **კატერფელტო**, რომელიც თავის მაყურებლებს, ილუზიური ნომრების ჩვენებასთან ერთად, უკითხავდა ლექციებს მათემატიკის, ოპტიკის, მაგნეტიზმის, ელექტროობის, პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, სტენოგრაფიისა და სხვა საკითხებზე.

XVIII ასწლეულში მასონებითა და ოკულტიზმით მასობრივი გატაცების ფონზე მეფოკუსეები უკვე არა ბაზრობებზე, არამედ მაღალი წრის სალონებში გამოდიოდნენ და თავიანთ სპექტაკლებს შელოცვებითა და მაგიური რიტუალებით წარმართავდნენ – ძალიან მნიშვნელოვანი იყო იდუმალი ატმოსფეროს შექმნა და მაყურებლის ტრანსში ჩაგდება. რიგითი მანიპულატორების არმიაში გამოირჩეოდნენ ნამდვილი ოსტატები, რომლებმაც თავიანთი უნიკალური ტრიუკებით ილუზიონისტების „ოქროს ფონდი“ შეავსეს.

**XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწეობდა ბევრი სახელგანთქმული ილუზიონისტი. ზემოხსენებული კატერფელტოს გარდა, იყვნენ ვოლფგანგ კემპელენი, ფილადელფუს ფილადელფია, ჯუზეპე ბალზამო, რომელიც გრაფი კალიოსტროს სახელითაა ცნობილი, პინეტი და ცნობილი ჯაკომო კაზანოვა, ბართლომეო ბოსკო, გერმანი, გელერი, ფრანგი ვენტროლოგი, ტრანსფორმატორი და მაგი ალექსანდრე ვატემარი, მოგვიანებით — ჰარი გუდინი და კიდევ ბევრი სხვა.**

**გრაფი კალიოსტრო** (ჯუზეპე ბალზამო) დაიბადა კუნძულ სიცილიაზე, პალერმოში, 1743 წლის 8 ივ- ▶



**დაინამოს ტრიუკები გასაოცარი და ამოუხსნელია ხალხისთვის. მან შოუ მოაწყო ვესტმინსტერის ხიდთან ლონდონში. მან მიწიდან 4,5 მეტრ სიმაღლეზე „გაისეირნა“ ჰაერში და ამ მომენტში მხოლოდ მარცხენა ხელით ეჭიდებოდა სამგზავრო ტრანსპორტს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟურნალ FORBES-ის მიხედვით, ისტორიაში კომერციული თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული ილუზიონისტი გახლავთ ამერიკელი ილუზიონისტი და ჰიპნოზიორი დევიდ კოპერფილდი. «ემის» 38 ნომინაციიდან კოპერფილდს 21 ჯილდო აქვს მოგებული. ის ცნობილია, აგრეთვე, ფსევდონიმით „დავინო“. ჰოლივუდის დიდების ხეივანში გახსნილი აქვს ვარსკვლავი, გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში იგი 11-ჯერ არის მოხვედრილი... საერთო ჯამში, კოპერფილდს გაყიდული აქვს 40 მილიონზე მეტი ბილეთი და მისი საერთო მოგება 4 მილიარდ დოლარს აღწევს**

◀ ნისს, ღარიბი ვაჭრის ოჯახში. ჯუზეპე თავიდანვე ძალიან ნიჭიერი, სხარტი გონებისა და გენიალური წარმოსახვის ბავშვი იყო. სემინარიიდან გაქცევის შემდეგ ის მონასტერში გაგზავნეს. მშობლების აზრით, სასულიერო პირი უნდა გამოსულიყო. ჯუზეპე მთელ დროს ბიბლიოთეკაში ატარებდა.

შემდეგ კი ფინანსური დახმარების სათხოვნელად მესინაში დედის მდიდარ ნათესავთან — ვინჩენცო კალიოსტროსთან ჩავიდა, მაგრამ ნათესავი გარდაცვლილი დახვდა, მისი ქონება კი — განაწილებული. ბალზამომ შეიცვალა სახელი და გვარი, გახდა ალექსანდრე კალიოსტრო და იმხანად იტალიაში ცნობილი ალქიმიკოსის, ტელეპათისა და ასტრონომის — **ალტოტარამის** მოწაფე გახდა. მასწავლებელმა ის ეგვიპტეში წაიყვანა და ოკულტური დისციპლინები შეასწავლა.

**ერთ მშვენიერ დღეს კალიოსტრომ დაამზადა ოქროს ლურსმანი, შეღება გოგირდითა და ყავისფერი საღებავით, შემდეგ კი პატივსაცემი პუბლიკის წინაშე მჟავაში ჩადო. ჩვეულებრივი ჟანგიანი ლურსმანი უცებ ოქროს ლურსმნად გადაიქცა. მეორე დღიდან მოხიბლულმა ხალხმა ყუთებით დაიწყეს „დიდ მაგისტრთან“ რკინის ლურსმნების ზიდვა, რომელიც მშვიდად იღებდა მათგან „ქრთამს“.**

კალიოსტროს საფრანგეთში ინკვიზიციამ ეშმაკეულობა დასწამა და ქვეყნიდან გააძევა. 1776 წელს ის ინგლისელ მასონებს დაუკავშირდა და 1777 წელს მათი მიწვევით ლონდონში ჩავიდა. იქ დაიწყო საქმიანობა, როგორც მედიუმმა, ასტროლოგმა და ალქიმიკოსმა. ის მალე გახდა ცნობილი — ამთელებდა ძვირფას ქვებს, ამზადებდა „უკვდავების ელექსირს“ (გადმოცემის მიხედვით, ვატიკანის არქივებში დღესაც ინახება ამ ელექსირის რეცეპტები, რომლებიც თითქოს მისი დაკითხვისას ჩაიწერეს).

გარდა ამისა, ის დაადანაშაულეს თაღლითობაში, რადგან ყველაფერთან ერთად დაკავებული იყო ლატარიის ნომრების ამოცნობით, რამაც ლონდონში მოგებულთა რაოდენობა ელვის სისწრაფით გაზარდა. ამის გამო ის დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს, რადგან მისი პერსონით ინგლისის მეფე გეორგ III დაინტერესდა. იმ დროს ინგლისს გართულებული ჰქონდა ურთიერთობა ესპანეთთან და საფრანგეთთან, ამასთანავე ომს აწარმოებდა აშშ-თან.

მეფეს კალიოსტროს წინასწარმეტყველება აინტერესებდა. მასთან გეორგ III სანდო პირი მიაგზავნა, რომელსაც კალიოსტრომ უთხრა, ინგლისი აშშ-თან დამარცხდებაო. ამ ცნობის გამო იძულებული შეიქნა, ინგლისიდან წასულიყო.

შემდეგ კალიოსტრო გრაფი ფენიქსის სახელით რუსეთში ჩავიდა. იქ მდიდრებს კურნავდა, ალქიმიის ოპერაციებს ატარებდა, ოქროს „ამრავლებდა“ (ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის ოქროს ადნობდა დაბალხარისხოვან ოქროდ, დარჩენილ ნაწილს კი, უბრალოდ, ითვისებდა). რუსეთის დედოფალი ეკატერინე კალიოსტროსადმი და მისი ცოლისადმი კეთილგანწყობილი იყო.

**დღევანდელი გადასახედიდანაც კი ამოუხსნელი რჩება, თუ როგორ შეეძლო ზოგიერთ მათგანს, ზუსტად ეწინასწარმეტყველა ესა თუ ის მოვლენა, ანდაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი ცოდნა გამოეყენებინა საკუთარ ფოკუსებსა თუ ილუზორულ წარმოდგენებში.**

**ილუზიონისტთა თავდადებულმა გამომგონებლურმა საქმიანობამ, რომელიც მათ თავიანთი ტრიუკების შესასრულებლად სჭირდებოდათ, ბოლოს და ბოლოს, კინემატოგრაფის გამოგონებამდე მიგვიყვანა — 1895 წელს ძმებმა ლუმიერებმა პარიზში წარმოადგინეს კინოსაპროექციო აპარატი.**

ლუმიერებმა პირველი კინოჩვენება ვიწრო წრეში 1895 წლის 22 მარტს ჩაატარეს. პირველი ფასიანი საზოგადო კინოჩვენება კი იმავე წლის 28 დეკემბერს ჩატარდა პარიზის „გრან კაფეს“ ინდურ სალონში. ეს ისhტორიული ჩვენება მათ პირველ ფილმს წარმოადგენდა — 45-წამიანი „მუშები ლუმიერების ქარხანას ტოვებენ“. მიუხედავად იმისა, რომ **მაქს და ემილ სკლადანოვსკებმა** ერთი თვით ადრე მოაწყვეს პროექტიული ცვლადი გამოსახულებების ფასიანი სახალხო ჩვენება ბერლინში, კინოს ისტორიკოსები „გრან კაფეს“ თვლიან კინოს დაბადების ადგილად. სკლადანოვსკების ჩვენება არ იყო მოძრავი სურათების ფილმი, არამედ, უბრალოდ, უძრავი ფოტოების მონაცვლე სლაიდები, რაც თავისი არსით კინემატოგრაფიას არ წარმოადგენს.

## თანამედროვე მაგები

კიდევ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ხალხი „დაჭკვიანდა“ და ჯადოქრობის ბრმად აღარ სჯეროდა. ფოკუსებმა „იმქვეყნიური“ ელფერი საბოლოოდ დაკარგა. გაჩნდა ილუზიონისტთა სტაციონარული თეატრები და ფოკუსები მხოლოდ და მხოლოდ გასართობ ატრაქციონად გადაიქცა.

თანამედროვე საცირკო მაგიის ფუძემდებელად მიიჩნევა ფრანგი ილუზიონისტი **ჟან ეჟენ რობერ-უდენი**, რომლის სახელობის ქუჩაც კი არსებობს პარიზში. ქრესტომათიული ფოკუსი „კურდღელი შლაპაში“, რომელიც ილუზიონიზმის სიმბოლოა, პირველად შოტლანდიელმა ილუზიონისტმა და მსახიობმა **ჯონ ჰენრი ანდერსონმა** შეასრულა. ჰორაციო ჰოლდინმა ასისტენტის გახერხვის ოინი სრულყოფილებამდე აიყვანა — „საწყალ“ გოგონას იგი სიგრძეზე, სიგანეზე და რამდენიმე ნაწილად ხერხავდა. **ჰარი გუდინიმ** მსოფლიოს ადამიანის სხეულის ზეშესაძლებლობები აჩვენა — იგი თამაშთამაშით ითავისუფლებდა თავს ნებისმიერი კვანძებიდან და ჯაჭვებიდან და მიკროსკოპულ ნახვრეტებში ძვრებოდა. **ჯორჯ მელესი** ახალგამოგონილი კინემატოგრაფით ერთობოდა და საკუთარი ფოკუსების საფუძველზე კინოსურათებს იღებდა — ასე გაჩნდა პირველი ფანტასტიკური და საშინელებათა ფილმები.

ჟურნალ Forbes-ის მიხედვით, ისტორიაში კომერციული თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული ილუზიონისტი გახლავთ ამერიკელი ილუზიონისტი და ჰიპნოზიორი **დევიდ კოპერფილდი**. „ემის“ 38 ნომინაციიდან კოპერფილდს 21 ჯილდო აქვს მოგებული. ის ცნობილია, აგრეთვე, ფსევდონიმით „დავინო“. ჰოლივუდის დიდების ხეივანში გახსნილი აქვს ვარსკვლავი, გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში იგი 11-ჯერ არის მოხვედრილი; საფრანგეთის მთავრობისგან მიღებული აქვს რაინდის წოდება. აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკამ კი „ცოცხალი ლეგენდა“ უწოდა. საერთო ჯამში კოპერფილდს გაყიდული აქვს 40 მილიონზე მეტი ბილეთი და მისი საერთო მოhგება 4 მილიარდ დოლარს აღწევს.

**კოპერფილდი 1965 წლის 16 სექტემბერს ნიუ-ჯერსიში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია დევიდ სეთ კოტკინი. ბიჭუნა ჯერ კიდევ ათი წლის ასაკში დაინტერესდა მაგიით. წარმატებასაც არ დაუგვიანია: 12 წლისა მიიწვიეს ამერიკული მაგიის საზოგადოებაში, 16 წლის იყო, როდესაც ნიუ იორკის უნივერსიტეტში მაგიის კურსზე სწავლობდა, მალევე ფორდამის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. სწორედ ფორდამში სწავლის დროს დაირქვა ახალი სახელი — დევიდ კოპერფილდი.**

დევიდმა მალე გაითქვა სახელი და ჯადოქრის რეპუტაციაც დაიმკვიდრა. ის დღემდე ერთ-ერთ ცნობილ ილუზიონისტად ითვლება.

დევიდი დაფრინავს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ფიზიკის კანონები, პლუს ცოტაოდენი მაგია და ფოკუსიც მზადაა. თავიდან ფიზიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ კოპერფილდი სცენის ქვეშ დამონტაჟებული გიგანტური მაგნიტის საშუალებით ფრინავდა, სინამდვილეში დევიდს ორივე მხარეს, წელის ოდნავ მაღლა, მიმაგრებული აქვს ლითონის 12-12 ძაფი, თითეულის სისქე 0,2 მილიმეტრია და თითოეულს 11 კილოგრამზე მეტი ტვირთის გაძლება შეუძლია. მათი ერთობლიობა ზემტკიცე საკიდს ქმნის, რომელიც მიმაგრებულია ჭერზე დამონტაჟებულ სპეციალურ მოწყობილობაზე. ასისტენტები რგოლების საშუალებით ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ დევიდი არაფერზეა ჩამოკიდებული, მაგრამ სინამდვილეში ისინი ისე მოხერხებულად ატრიალებენ რგოლებს, რომ მაყურებლის თვალისთვის შესამჩნევად ერთხელაც არ გადაატარებენ მათ საკიდებზე. რაც შეეხება გამჭვირვალე ყუთს, რომელსაც ასისტენტები ფოკუსის მსვლელობისას



თავს ახურავენ და რომელშიც კოპერფილდი ფრენას განაგრძობს, აქაც პატარა ეშმაკობაა — ყუთის სახურავი მთლიანად არ კეტავს მას, კიდეებზე ტროსებისთვის მცირე ადგილები რჩება და „ფრენაც“ ამ ტროსების საშუალებით ხორციელდება.

**კიდევ ერთი ნამდვილი სენსაცია იყო, როდესაც დევიდმა შეძლო და უამრავი ადამიანის თვალწინ თავისუფლების ქანდაკება გააქრო. როგორ მოახერხა? როდესაც ქანდაკება საფარველის ქვეშ მოექცა, ყველა განათება გამორთო, შედეგად ადამიანებს შეექმნათ „სიბრმავის ეფექტი“, მოგვიანებით კი მათი ყურადღება ვერტმფრენმა მიიპყრო.**

ამბობენ, რომ ილუზიონიზმი სახვით ხელოვნებაში ხილული სამყაროს იმიტაციაა. სწორედ ასეთი მოქმედებით მიიპყრო ილუზიონისტმა **სტივენ ფრეინმა** საზოგადოების ყურადღება.

სტივენ ფრეინი, იგივე დაინამო დაიბადა 1982 წლის 17 დეკემბერს ბრედhფორდში და ბაბუასთან გაიზარდა, პირველი ფოკუსიც მისგან ისწავლა.

დღეს იგი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ილუზიონისტია. „ინგლისელი ჯადოქარი“ — ასე უწოდებენ მას, რომელმაც სახელი გაითქვა განსაკუთრებული ფენომენალური ნომრებით და უკვე მრავლისმნახველი მსოფლიო საზოგადოების განცვიფრებაც მოახერხა.

**დაინამოს ტრიუკები გასაოცარი და ამოუხსნელია ხალხისთვის. მან შოუ მოაწყო ვესტმინსტერის ხიდთან ლონდონში. მან მიწიდან 4,5 მეტრ სიმაღლეზე „გაისეირნა“ ჰაერში და ამ მომენტში მხოლოდ მარცხენა ხელით ეჭიდებოდა სამგზავრო ტრანსპორტს.**

ილუზიონისტმა ლონდონელთა დიდი ყურადრება და აღფრთოვანება გამოიწვია, როდესაც 2011 წელს შეძლო მდინარე ტემზას ნახევარი ჰაერში გასეირნებით გადაელახა. მან მხოლოდ ხიდის ქვემოდან იარა და თავით შეეხო ხიდს.

## ფოკუსი სიცოცხლის ფასად

ცნობილ ტრიუკებში ნაჩვენები ადამიანის შუაზე გახერხვა, ცხადია, სინამდვილეში „მსხვერპლს“ არანაირ საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ისტორიაში ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც მაყურებლის გასაოცებლად მოფიქრებული ნომრები მათ შემსრულებლებს ნამდვილად სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

**ჩარლზ როუენი** სამხრეთ აფრიკელი ილუზიონისტი იყო. მისი ერთ-ერთი მთავარი ტრიუკი გიჟის ხალათიდან თავის განთავისუფლება იყო. 1930 წელს იგი გამოდიოდა სპრინგფონტეინში (პროვინცია ფრი-სტეიტი, სამხრეთ აფრიკა) საკმაოდ სახიფათო ტრიუკით. 180 მეტრის მანძილიდან ავტომობილი 72 კმ/სთ-ში სიჩქარით უნდა მიახლოვებოდა და ამ პერიოდში, ანუ 10 წამში იგი უნდა განთავისუფლებულიყო გიჟის ხალათიდან, მაგრამ იმ დღეს მან ეს ვერ მოახერხა და მანქანამ როუენს ფეხი მოაგლიჯა ათასობით მაყურებლის თვალწინ. სიკვდილის წინ როუენმა ითხოვა, მძღოლი პასუხისგებაში არ მიეცათ.

ტრიუკი იარაღით ილუზიონისტებში ძველთაგანვე ერთ-ერთი ყველზე გავრცელებული ნომერია.მისი შინაარსი ასეთია: ილუზიონისტს ესვრიან რამდენიმე თოფიდან ან პისტოლეტიდან ტყვიებს, ის კი ხელით ან პირით იჭერს. მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ტრიუკი იარაღით ილუზიაა, იგი მაინც ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ნომრად ითვლება. ისტორიაში აღრიცხულია 15 შემთხვევა, როცა ილუზიური ნომერი ტრაგედიით დამთავრდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა გერმანიაში 1820 წელს, როდესაც პოლონელი ილუზიონისტი და მისი მეუღლე **მადამ დელინსკი** ქალაქ ანშტატში გამოდიოდნენ. ცოლ-ქმარმა ჯარისკაცებს სთხოვა, შაშხანაში ფუჭი ვაზნები ჩაელაგებინათ, მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა ეს არ გააკეთა და ნამდვილი საბრძოლო ვაზნა ჩადო შაშხანაში. მადამ დელინსკი მუცელში დაიჭრა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ილუზიონისტ **ჯენესტას** საფირმო ტრიუკი იყო წყლიანი ან რძიანი კასრიდან განთავისუფლება. 1930 წელს განხორციელებული მისი ტრიუკი ტრაგედიით დამთავრდა — მან ნომერი დაჭეჭყილ კასრში განახორციელა, რამაც მისი მოძრაობა შეზღუდა, ილუზიონისტმა ველარ შეძლო კასრიდან ამოსვლა და დაიხრჩო.

**უილიამ რობინსონი**, ცნობილი, როგორც **ჩენ ლაინ სუ**, ამერიკელი ილუზიონისტი გახლდათ, თუმცა ყველას ეგონა, რომ ჩინელი იყო, საუბრის დროს თარჯიმანს იყენებდა. იგი იმხანად მსოფლიოში ერთ-ერთი სახელგანთქმული ილუზიონისტი იყო, უბედური შემთხვევა კი ლონდონში გასტროლების დროს, 1918 წლის 23 მარტს მოხდა.

ტრიუკის — „ტყვიის დაჭერის“ შესრულების დროს ილუზიონისტს იარაღის გაწმენდა დაავიწყდა, რა დროსაც ბევრი დენთი დაგროვდა და გასროლილი ტყვიის ძალა გათვალისწინებულზე ძლიერი აღმოჩნდა. მკერდგანგმირულმა ილუზიონისტმა ინგლისურად ჩაილაპარაკა: „ღმერთო ჩემო, დაუშვით ფარად, რაღაც ისე არ წავიდა“. იგი მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

32 წლის **ჯოზეფ ბურუსის** ოცნება იყო, თავის კერპზე, ჰარი გუდინიზე, უფრო ცნობილი გამხდარიყო. 1992 წელს, ჰელუინის ღამეს, ჯოზეფმა გადაწყვიტა, სახიფათო ნომერი გაეკეთებინა: დამარხულიყო ცოცხლად ჯაჭვებით ხელშეკრული და ზემოდან მისთვის მიწასთან ერთად 7 ტონა ცემენტი დაესხათ. ბურუსი 5 წუთის განმავლობაში უნდა ამომძვრალიყო საფლავიდან. მანამდე მან რამდენიმე რეპეტიცია წარმატებით გაიარა. თუმცა ყველა ეუბნებოდა, რომ ნომერი ძალაზე სახიფათო იყო და გამოსაძრომად ალტერნატიული ვარიანტიც უნდა ჰქონოდა, მან არავის მოუსმინა.

ტრიუკი ტრაგედიით დასრულდა, ყუთმა ვერ გაუძლო ცემენტის წონას და „საფლავი“ ჩაინგრა... ჯოზეფ ბურუსის გვამის ამოღება მხოლოდ 30 წუთის შემდეგ შეძლეს.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ერთ-ერთი მოკლე მდინარე მსოფლიოში საქართველოში მდებარეობს, კერძოდ, აფხაზეთში, გაგრის რაიონში — მდინარე რეპრუა.



# მარტოსული სახლი

**ისლანდიის სამხრეთ სანაპიროსთან ახლოს, ვესტმანაეიარის არქიპელაგზე, პატარა კუნძულზე ერთადერთი სახლი დგას, რომლის ფოტოებმაც ინტერნეტში გამოჩენისთანავე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა, რომ სახლი და კუნძული Elliჰaey ისლანდიელ მომღერალ ბიორკს ეკუთვნის. მეორე ვერსიით, სახლის მფლობელი ექსცენტრული მილიარდერი იყო.**

სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად აღმოჩნდა. დაახლოებით 300 წლის წინათ კუნძულ Elliჰaey-ზე ხუთი ოჯახი ცხოვრობდა. ისინი თავს თევზაობითა და ალბატროსებზე ნადირობით ირჩენდნენ. რთული საცხოვრებელი პირობების გამო ადგილობრივებმა კუნძულის დატოვება გადაწყვიტეს. ბოლო მაცხოვრებელი Elliჰaey-დან 1930 წელს გადასახლდა.

ამჟამად კუნძული და მასზე მდებარე ერთადერთი შენობა (თავშესაფარი და საუნა) ისლანდიის მონადირეთა ასოციაციას ეკუთჰვნის. სახლში ღამეს ალბატროსებზე მონადირენი ათევენ.

# ყველაზე პატარა მდინარეები

**აზიის ყველაზე მოკლე მდინარეა ტამბორა**, რომელიც ინდონეზიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ სულავესის პროვინციაში, ქალაქ კოლაკასთან მიედინება. მისი სიგრძე 20 მეტრია.

**ევროპაში** ერთ-ერთი უმოკლესი მდინარე არის **ომბლა** — ხორვატიაში, დალმატიის რეგიონში, დუბროვნიკის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ომბლას სიგრძე დაახლოებით 30 მეტრია.

მდინარე **არილი**, იტალიაში, გარდას ტბის შორიახლოს მდებარეობს და სიგრძით 175 მეტრია. სოფელ კასონედან წამოსულ ციცქნა მდინარეზე სამი ხიდია გადებული, მას სათავესთან პატარა ტბა აქვს და, სანამ გარდას ტბას შეუერთდება, პატარა ჩანჩქერსაც კი წარმოქმნის.

იტალიაში ბევრი პატარა მდინარეა. არილზე ცოტა გრძელია, 250 მეტრი სიგრძისა, **ფიუმელატე**, იგი ქვეყნის სამხრეთში მიედინება. ის გრიგნაში მდებარე გამოქვაბულიდან გამოდის და მდინარე კომოში ჩაედინება. სახელწოდება Fiumelatte წარმოდგება იტალიური სიტყვებიდან fiume (მდინარე) და latte (რძე), რაც მდინარის მოთეთრო შეფერილობის დამსახურებაა. მდინარის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი მისი სეზონურობაა: ფიუმელატე ოქტომბრის შუა პერიოდში შრება და კვლავ „ცოცხლდება" მარტის მეორე ნახევარში. ეს ფენომენი, სავარაუდოდ, გამოწვეულია გამოუკვლეველი გამოქვაბულის სპეციფიკით, რომელიც წყლით სწორედ ამ პერიოდში ივსება.

კიდევ ერთი პატარა ევროპული მდინარე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის შუაგულშია და მალარენის ტბას ადრიატიკის ზღვასთან აერთებს. ესაა მდინარე **ნორსტრომი.** მასში ბევრი ზღვის კალმახი და ორაგული დაცურავს, შესაბამისად, ნორსტრომის ნაპირები ძალიან პოპულარული ადგილია თევზაობისთვის.



ნორსტრომი

ერთ-ერთი მოკლე მდინარე მსოფლიოში საქართველოში მდებარეობს, კერძოდ, აფხაზეთში, გაგრის რაიონში — მდინარე **რეპრუა.** მისი სიგრძე სულ რაღაც 27 მეტრია. რეპრუა სათავეს კრუბერის გამოქვაბულიდან იღებს და შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის მკვებავი წყარო კრუბერის გამოქვაბულში დაგროვილი გაზაფხულის ნალექებია.

ინგლისში, კერძოდ სამხრეთ იორკშირში, მდებარე მდინარე **ბეინი** სიგრძეში ორ-ნახევარი მილია — ის ყველაზე პატარა მთავარ მდინარედაა აღიარებული ინგლისში, თუმცა არის კიდევ მდინარე **ბრენარდი**, ლანკაშირში, რომელიც სიგრძით ბეინზე ორჯერ მოკლეა.

მდინარე **ვრელო** სერბეთში, ბაჟინა ბასტას მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ვრელოს, ანუ მდინარე დირინას მარჯვენა შენაკადის სიგრძე სულ რაღაც 365 მეტრია. ამ რიცხვის გამო ბევრი მდინარეს წელიწადს უწოდებს და ამბობს, რომ მდინარე ერთი წლის სიგრძისაა. სიმოკლის მიუხედავად, ვრელოს დიდი მდინარის დამახასიათებელი ყველა შტრიხი აქვს — მძლავრი სათავე, საიდანაც მდინარე ძლიერად, მოთეთროდ გადმოსჩქეფს, ტბორი მარჯვენა ნაპირას, წყლის წისქვილი მარცხენა სანაპიროზე, საკუთარი შენაკადი უბის სახით, სოფელი მარცხენა მხარეს და ზედ გადებული ორი ხიდი.

ნორვეგიაში, კუნძულ ჰიტრაზე მიედინება მდინარე **ქოვასელვა**, რომელიც ქოვასვატნეტის ტბას ზღვასთან აერთებს, სიგრძით დაახლოებით 20 მეტრია და ზღვის მიქცევა-მოქცევის მიხედვით იცვლება.

# მსოფლიოს უდიდესი გამოქვაბული

**გამოქვაბული სონ დუნგი (ვიეტნამი) მსოფლიოში ყველაზე დიდ გამოქვაბულად არის მიჩნეული. მისი სიგრძე 9 კილომეტრია, სიგანე — 200 მ, ხოლო სიმაღლე — 150 მ.**




გამოქვაბული 1991 წელს ადგილობრივმა მცხოვრებმა ხანჰმა აღმოაჩინა, მაგრამ 2009 წლამდე წარმოდგენა არავის ჰქონდა, რამდენად გრანდიოზულია სონ დუნგის (ანუ მთის მდინარის) გამოქვაბული სინამდვილეში.

2009 წელს ბრიტანელმა სპალეოლოგებმა, ჰოვარდ ლიმბერტის ხელმძღვანელობით, პირველად გამოიკვლიეს სონ დუნგი და დაასკვნეს, რომ ის მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოქვაბული შეიძლება იყოს.

ამის შემდეგ სონ დუნგმა ყველაზე დიდი გამოქვაბულის წოდება წაართვა ირმის გამოქვაბულს Deer Cave (მალაიზია), რომელიც მანამდე მსოფლიოში უდიდესად მიიჩნეოდა.

სონ დუნგის გამოქვაბულს საკუთარი ეკოსისტემა აქვს თავისი მდინარითა და ჯუნგლებით. წყალმა და კირქვამ მილიონობით წლის განმავლობაში საოცარი წარმონაქმნები გააჩინა. უზარმაზარი სტალაქტიტები მთელ გამოქვაბულში მდინარის გასწვრივ არის ფორმირებული. მიწისქვეშა ჯუნგლების ჩაკეტილ ეკოსისტემაში ისეთი მცენარეებია გავრცელებული, რომლებიც, შესაძლოა, დედამიწაზე სხვაგან არსად გვხვდებოდეს.

სონ დუნგისადმი ინტერესს იშვიათი გამოქვაბულის მარგალიტები და უძველესი ხელშეუხებელი წიაღისეულიც ზრდის. გამოქვაბული ღიაა დამთვალიერებლებისთვის.

ტურისტებს ვიეტნამის მთავრობის მიერ გამოყოფილი ტუროპერატორები და ინსტრუქტორები ეხმარებიან. გამოქვაბულში ჩასასვლელად სპეციალური ნებართვის აღებაა საჭირო.











**კნუფინგენის აეროპორტის დეტალების დამზადება 3,5 მილიონი ევრო დაჯდა. ის ჰამბურგის აეროპორტის ზუსტი ასლია.**

## ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ჰამბურგის მინიატურული აეროპორტი

**ჰამბურგის მინიატურების მუზეუმი Miniatur Wunderland (მინიატურული საოცრებათა სამყარო) მსოფლიოში მინიატურების უდიდეს მუზეუმად არის მიჩნეული.**

Miniatur Wunderland-ში ყველაფერი არაჩვეულებრივად რეალისტურად და ზუსტადაა შესრულებული. აქ შეიძლება ნახოთ დიდი კანიონისა და ალპების მთიანი ლანდშაფტები და ველები, რომლებსაც გვირაბები, გზები და რკინიგზები კვეთს, ათასობით სახლი, მანქანა, ხიდი, ქარხანა, წისქვილი და სხვ.

მუზეუმის ყველაზე დიდი და საინტერესო ნაწილი მინიატურული აეროპორტია.

აეროპორტი კნუფინგენი არაჩვეულებრივად რეალისტურია, განსაკუთრებით, თუ ფოტოგადაღებისთვის საინტერესო რაკურსს შეარჩევ. აქ თვითმფრინავები არა მხოლოდ ანგარებში ან ასაფრენ ბილიკებზე დგანან, არამედ ფრინავენ და მიწაზეც ეშვებიან. მინიატურული თვითმფრინავების ძრავების ხმაურიც კი თითქმის ისევე ისმის, როგორც რეალურ აეროპორტებში.

მინიატურების მუზეუმის სხვა მოძრავი შემადგენლების მსგავსად, თვითმფრინავების ფრენისა და დაშვების ფუნქცია ცენტრალური კომპიუტერიდან ოპერატორის მიერ იმართება. ღამით ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი და მთლიანად აეროპორტი ათასობით ნათურითაა განათებული.

კნუფინგენის აეროპორტის დეტალების დამზადება 3,5 მილიონი ევრო დაჯდა. ის ჰამბურგის აეროპორტის ზუსტი ასლია.














# «ტიტანიკი II» 2018 წელს გაცურავს

**მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ლაინერის მეორე ვერსია „ტიტანიკი II“ 2018 წელს გაცურავს. ხომალდის შექმნაზე მუშაობს ავსტრალიელი მილიარდერი კლაივ პალმერი, რომელიც კომპანია Blue Star Line-ის მფლობელია.**

მილიარდერის თქმით, ხომალდის გაშვება მიმდინარე წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ „ტიტანიკი II“ 2018 წელს გაცურავს.

ახალი ლაინერი პრაქტიკულად იმ ძველი მდიდრული ხომალდის იდენტური იქნება, რომელიც 1912 წელს აისბერგთან შეჯახების შედეგად ჩაიძირა.

ერთადერთი განსხვავება, რომლითაც Titanic II ვიზუალურად განსხვავებული იქნება წინამორბედისგან, გაბარიტებია — ახალი ლაინერი უფრო განიერი იქნება.

„ახალ “ტიტანიკს”, რა თქმა უნდა, თანამედროვე საევაკუაციო სისტემა, სატელიტური კონტროლი, ციფრული ნავიგაცია, სარადარო სისტემა და ყველა ის საჭირო ნივთი ექნება, რომლითაც უნდა იყოს აღჭურვილი 21-ე საუკუნის ხომალდი“, — აცხადებს კლაივ პალმერის კომპანია Blue Star Line-ის გლობალური მარკეტინგის ხელმძღვანელი ჯეიმს მაკდონალდი.

ვიზუალური მინიმალური სხვაობის გარდა, განსხვავება არის მარშრუტშიც — თუ ლეგენდარულმა ტიტანიკმა ინგლისის საუთჰემპტონიდან აიღო კურსი და ატლანტიკის გავლით ნიუ იორკისთვის უნდა მიეღწია, ახალი ხომალდის მარშრუტი აზიაში იქნება — „ტიტანიკი II“ გეზს აღმოსავლეთ ჩინეთის ქალაქ ჯიანგსუდან არაბეთის გაერთიანებული საამიროების მიმართულებით აიღებს.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


„ვენერას დაბადება“



*** 1445 წლის 1 მარტს ფლორენციაში დაიბადა დიდი იტალიელი ფერმწერი სანდრო ბოტიჩელი (ალესანდრო დი მარიანო დი ვინი ფილიპელი).**

მისი ცნობილი ნამუშევრებია: „ვენერას დაბადება“; „მოგვთა თაყვანისცემა“; „გაზაფხული“; „მადონა ჩვილითა და ორი ანგელოზით“; „დანტეს პორტრეტი“; „მისტიკური ჯვარცმა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1510 წლის 17 მაისს.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1887 წლის 26 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნოღაში დაიბადა ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიკოსი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, იენის შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ინგლისის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი აკაკი შანიძე.**

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ქართული დიალექტოლოგიის, ეპიგრაფიკის, ტექსტოლოგიის, ქართული ფოლკლორისტიკის, არმენისტიკის, ალბანოლოგიისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემებზე. სკოლებში ისწავლება მისი შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“.

აკაკი შანიძე გარდაიცვალა 1987 წლის 29 მარტს.



*** 1927 წლის 25 თებერვალს დაიბადა ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი ელგუჯა ბერძენიშვილი.**

მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „დეკორატიული პანო“ ბიჭვინთაში; „ნავები“; „მეუღლის პორტრეტი“; „აბესალომ და ეთერი“ კონსტანტინე გამსახურდიას რომანის — „დიდოსტატის მარჯვენა“ — ილუსტრაციები.



*** 1902 წლის 27 თებერვალს სალინასში (კალიფორნია) დაიბადა ამერიკელი პროზაიკოსი, მსოფლიოში პოპულარული რომანებისა და მოთხრობების ავტორი, ნობელისა და პულიტცერის პრემიების ლაურეატი ჯონ სტეინბეკი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „მრისხანების მტევნები“; „თაგვებსა და ადამიანებზე“; „ედემიდან აღმოსავლეთით“; „მარგალიტი“ და სხვ.

ჯონ სტეინბეკი გარდაიცვალა 1968 წლის 20 დეკემბერს.



*** 1928 წლის 28 თებერვალს თბილისში დაიბადა თეატრისა და კინოს სახელგანთქმული მსახიობი, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე.**

შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ესპანელი მღვდელი“ (ლეანდრო); „ამბავი სიყვარულისა“ (ვეფხია გაბიდაური); „ჭინჭრაქა“ (ქოსა მრჩეველი); „ხანუმა“ (აკოფა); „სამანიშვილის დედინაცვალი“ (კირილე მიმინოშვილი); „საბრალდებო დასკვნა“ (შოშია); „ყვარყვარე“ (ყვარყვარე); „კავკასიური ცარცის წრე“ (აზდაკი); „რიჩარდ მესამე“ (რიჩარდ მესამე); გადაღებულია ფილმებში: „ლონდრე“ (დიამბეგი); „ჩირიკი და ჩიკოტელა“ (გიტარა-მაიორი); „ნატვრის ხე“ (მღვდელი); „ნერგები“ (ლუკა) და სხვ.

რამაზ ჩხიკვაძე გარდაიცვალა 2011 წლის 17 ოქტომბერს.



*** 1841 წლის 25 თებერვალს ლიმოჟში დაიბადა ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი და სკულპტორი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი პიერ ოგიუსტ რენუარი.**

მისი ცნობილი ნამუშევრებია: „ქოლგები“; „დიდი მობანავენი“; „საქანელა“; „ბალი მულენ დე გალეტში“; „აქტრისა ჟანა სამარის პორტრეტი“; „ნიჩბოსანთა საუზმე“; „გოგონები ფორტეპიანოსთან“; „ანა (შიშველი)“; „დაისი ზღვასთან“ და სხვ.



*** 1932 წლის 28 თებერვალს პროფესორ ევგენი ხარაძის თაოსნობით დაბა აბასთუმანში, მთა ყანობილზე (ზღვის დონიდან 1700 მ) დაარსდა პირველი ასტროფიზიკური ობსერვატორია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც.**

ობსერვატორიის კვლევების ძირითადი მიმართულებებია — გალაქტიკების, ვარსკვლავების, მზის, მზის სისტემის ცთომილებისა და დედამიწის ატმოსფეროს შესწავლა.



*** 1802 წლის 26 თებერვალს დაიბადა ფრანგი მწერალი, პოეტი და დრამატურგი ვიქტორ ჰიუგო (ვიქტორ მარი ჰიუგო).**

მისი ცნობილი რომანებია: „განკიცხულნი“; „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; „ადამიანი, რომელიც იცინის“; „93-ე წელი“; „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე“.



***1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მე-11, მე-9, მე-3 და მე-13 არმიები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ლორეს, აზერბაიჯანის, დარიალის ხეობის, მამისონის უღელტეხილის მხრიდან და თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალეს.**

დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დამყარდა ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც დასრულდა 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გამოსცა.



*** 1791 წლის 29 თებერვალს დაიბადა გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი, 39 ოპერის ავტორი ჯოაკინო ანტონიო როსინი.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „სევილიელი დალაქი“; „კონკია“; „ვილჰელმ ტელი“; „მოსე ეგვიპტეში“; „ტანკრედი“; „ოტელო, ანუ ვენეციელი მავრი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1868 წლის 13 ნოემბერს.



*** 1888 წლის 29 თებერვალს გერმანული წარმოშობის ამერიკელმა ინჟინერმა ჰერმან ჰოლერიტმა გამოიგონა პირველი სათვლელი-საანგარიშო მანქანა — ტაბულატორი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კომპიუტერების შექმნის საქმეში.** ჰოლერიტის მიერ შექმნილი ფირმა IBM (Inrernacional Business Machines Corporation) დღესაც წარმატებით მუშაობს.



*** 1836 წლის 25 თებერვალს სემუელ კოლტმა (1814-1862) დააპატენტა ე.წ. ველურ დასავლეთში ლეგენდადქცეული 45 კალიბრის რევოლვერი, რომლის სხვადასხვა ვერსიას დღესაც იყენებენ.**



*** 1892 წლის 1 მარტს დაიბადა იაპონელი მწერალი, იაპონური ლიტერატურის კლასიკოსი რიუნოსკე აკუტაგავა.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „რასიომონის კარიბჭე“; „მოხუცი“; „ზოილის მენზურა“; „თამბაქო და ეშმაკი“; „მარადი ურია“; „ჭალაში“; „მანდარინები“; „იდიოტის ცხოვრება“; „დასავლელი ადამიანები“; „ნანკინელი ქრისტე“ და სხვ.

**სასიკეთო პერიოდია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის. წარმატებას მიაღწევენ ვერძის, ტყუპისა და თევზების ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**24 თებ. - 1 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

შეძლებთ ყველა საქმის წარმატებით დასრულებას, რომლებიც დაწყებული გქონდათ. იაქტიურეთ, გამოიყენეთ ყველა რესურსი, კავშირი და წარმატება არ დააყოვნებს.

თავი აარიდეთ საეჭვო გარიგებებსა და ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპუტაცია შეგელახებათ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

დაიცავით კვების რეჟიმი, რადგან მაღალია კუჭნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 26 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 28 თებერვალი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

გააანალიზეთ წარსულში დაშვებული შეცდომები, დაგეგმეთ სამომავლო საქმიანობა. ერთდროულად რამდენიმე საქმეს ნუ შეეჭიდებით, რადგან შეიძლება ვერც ერთი მიიყვანოთ დასასრულამდე.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ უნდა ელოდოთ, ამიტომ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოერიდეთ ურთიერთბრალდებებს. უთანხმოება კონსენსუსის გზით მოაგვარეთ.

ახლა თქვენი ყველაზე სუსტი წერტილი ძვლებისა და სახსრების სისტემაა. მიიღეთ კალციუმით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 28 თებერვალი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

სასიკეთო პერიოდია. დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ. ყველაფერი თქვენს გაბედულ გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული. ცვლილებების განხორციელება რისკთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ, დიდი ალბათობით, კარგ შედეგს მოგიტანთ.

მარტოხელა ტყუპებს გელით შეხვედრა საინტერესო ადამიანთან. ურთიერთობის გაღრმავება მხოლოდ თქვენს სურვილზე იქნება დამოკიდებული.

შესაძლოა, შეგექმნათ სასუნთქი გზების პრობლემა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 26 თებერვალი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

იმ კირჩხიბებისთვის, რომლებიც სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობენ, კარგი პერიოდია კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად. რეკომენდებული არ არის იურიდიული დოკუმენტების გაფორმება და კრედიტის აღება.

მარტოხელა კირჩხიბებს შეიძლება მოეჩვენოთ, რომ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილი წარმომადგენელი სწორედ ის არის, ვისზეც ოცნებობდნენ, მაგრამ მალე მიხვდებიან, რომ ცდებოდნენ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება — ყველა ვირუსული დაავადება გვერდს აგივლით.

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

თუ დავალებებს კარგად შეასრულებთ, ხელმძღვანელობამ შეიძლება დაგაწინაუროთ. ხელმძღვანელმა ლომებმა კი ემოციები უნდა მოთოკონ და ხელქვეითების ღირსებას გაუფრთხილდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ფასდაუდებელი თანამშრომელი დაკარგონ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ, დაქორწინებული ლომებისთვის კი, შესაძლოა, ფლირტი სკანდალით დასრულდეს.

იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. ეს კარგი პერიოდია პროფილაქტიკური პროცედურების ან მკურნალობის ჩასატარებლად.

**დადებითი დღე: 25 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 1 მარტი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთი პრობლემის წინაშე, რომლის მოგვარებასაც მხოლოდ გავლენიანი მფარველის შემწეობით თუ შეძლებთ.

პასუხისმგებლობით მოეკიდეთ სამსახურებრივ მოვალეობებს და შეეცადეთ, გაიმყაროთ უკვე მოპოვებული პოზიციები.

შესაძლოა, მარტოხელა ქალწულები საწინააღმდეგო სქესის რამდენიმე წარმომადგენელის ინტერესის სამიზნეში აღმოჩნდნენ და სწორი არჩევანი ვერ გააკეთონ.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ მლაშე და ცხარე საკვები. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 27 თებერვალი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი. დაკისრებული მოვალეობების კარგად შესრულება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შეიძლება დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ — გაანებივრეთ ის კომპლიმენტებითა და სასიამოვნო სიურპრიზებით.

თავი აარიდეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვებს, რადგან მაღალია ქრონიკული დაავადების პროვოცირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 26 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 1 მარტი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

თავს ნუ გამოიდებთ და კარიერაში წინსვლას ნუ შეეცდებით, გააკეთეთ მხოლოდ ის საქმე, რომელიც გავალიათ.

შინ და გარეთ მოთოკეთ ემოციები. იმპულსური მოქმედება, რეპუტაციის შელახვის გარდა, არაფერს მოგიტანთ.

მოერიდეთ თქვენს გეგმებზე ლაპარაკს უცხოებთან.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებზე ზრუნვას, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა და კარგად დაისვენეთ.

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 24 თებერვალი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ბევრი მშვილდოსანი მოისურვებს სამუშაო ადგილის შეცვლას, მაგარამ მიუხედავად იმისა, რომ ძველ სამსახურში შესაძლოა, ანაზღაურებით კმაყოფილნი არ იყვნენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ — ღირს კი „შეჩვეულ ჭირს“ ამჯობინონ „შეუჩვეველი ჭირი“. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ახლო ნათესავების თხოვნას, დაეხმარეთ მათ.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 24 თებერვალი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

მოსალოდნელია წინსვლა პროფესიულ სფეროში. თუ უკეთესი ანაზღაურების გამო გსურთ, სამუშაო ადგილი შეიცვალოთ, ახლა ამისთვის კარგი პერიოდია. არ არის გამორიცხული, დამატებითი შემოსავლის წყაროც გაგიჩნდეთ.

დაქორწინებულ თხის რქებს საყვარელ ადამიანთან შესანიშნავი პერიოდი ელით — სიურპრიზებით აღსავსე რომანტიკული დღეები.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით: დილაობით ირბენთ და შეასრულებთ გამამხნევებელ სავარჯიშოებს.

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

სამსახურში, შესაძლოა, შეეჯახოთ ისეთ პრობლემას, რომლის მოგვარებაც თქვენზე არ იქნება დამოკიდებული, ამიტომ დახმარება გამოცდილ კოლეგებსა და ახლობლებს სთხოვეთ.

კარგი პერიოდია ინვესტიციების ჩასადებად იმ სფეროში, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ.

მარტოხელა მერწყულებმა შეიძლება, განაახლონ ძველი ურთიერთობა, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ წარსულში დაშვებული შეცდომები და ყურადღება გაამახვილონ იმ ადამიანის თვისებაზე, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებაზეც ფიქრობენ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 26 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 24 თებერვალი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

კარგი პერიოდია. მოგეცემათ შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

იდეების განხორციელებაში კოლეგები და ახლობლები დაგეხმარებიან.

თუ მუხლჩაუხრელად იშრომებთ, ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მარტოხელა თევზებმა შეიძლება სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, რომელიც მათი მეგობრების წრიდან იქნება.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ მლაშე და ცხარე საკვები. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 28 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი.**

# დაუწერელი კანონის ძალა, ანუ რატომ მიახალა ა. ჩეხოვმა ჩამყაყებულ საზოგადოებას ცნობილი ფრაზა: «СКВЕРНО ВЫ ЖИВЁТЕ, ГОСПОДА»

**ახლახან ერთი უწყინარი რეპლიკა შევთავაზე თბილისის რუსულენოვან ჟურნალს („Русский Клуб“) იმის თაობაზე, რომ ჟურნალის რესპონდენტს, ფრიად პატივცემულ ხელოვანს, უნებურად სხვა გვარი წამოსცდა საუბრისას, მაგრამ მეორე წელია, რედაქცია არ ასწორებს ამ ლაფსუსს. თავდაპირველად რეპლიკა პატივისცემით მიიღეს, თუმცა ერთი თვის შემდეგ მითხრეს, ვერ დაგიბეჭდავთო... ზოგჯერ დაუწერელი კანონი ოფიციალურზე მეტად „ჭრის“ და სწორედ ამიტომაც მივმართე თვითონ ამ ჟურნალს, მაგრამ ახლა სრული უფლება მაქვს, სხვაგან დავბეჭდო. დიახ, საკითხი ისე ფაქიზია (ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვი), ეს ლაფსუსი აუცილებლად უნდა გასწორდეს აქვე, საქართველოში... აი, ის რეპლიკაც:**



ვასილ ყუშიტაშვილი

## ღია წერილი ჟურნალ „РУССКИЙ КЛУБ“-ის რედაქტორს, ბატონ ალექსანდრე სვატიკოვს

**ბატონო რედაქტორო!**

მოგვიანებით, მაგრამ თქვენს მშვენიერ ჟურნალში (№9, 2014) მაინც წავიკითხე ერთობ საინტერესო ინტერვიუ ცნობილ ქართველ რეჟისორთან, საქართველოს სახალხო არტისტ გიზო ჟორდანიასთან. სამწუხაროა, რომ აქ გაიპარა ერთი დასანანი ლაფსუსი — ბატონ გიზოს თავის საყვარელ პედაგოგზე — **ვასილ ყუშიტაშვილზე** (1894—1962) საუბრისას, ალბათ, უნებურად შეეშალა იმ გამოჩენილი ფრანგი რეჟისორის გვარი, რომელმაც ჩამოაყალიბა საფრანგეთში სახელოვანი თეატრი „ატელიე“'. ცხადია, ეს იყო **შარლ დიულენი** (Dullin, 1885—1949) და არა **ანდრე ბარსაკი** (Barsacq, 1909—1973). ბუნებრივია, ასეთი ლაფსუსი ყველას შეიძლება მოუვიდეს, მით უმეტეს, ინტერვიუში, მაგრამ აუცილებლად უნდა გასწორდეს — ა. ბარსაკი 1921 წელს, როცა „ატელიე“ დააფუძნა შ. დიულენმა (მის გვერდით ამ დროს ღირსეულად იდგა ჩვენი შესანიშნავი თანამემამულე, ბატონი ვ. ყუშიტაშვილი), მხოლოდ 12 წლის ბიჭუნა იყო, ამასთანავე, იგი, ა. ბარსაკი, „ატელიეშიც“ მოგვიანებით მივიდა — 1928 წელს, როცა ვ. ყუშიტაშვილს უკვე მოთავებული ჰქონდა თავისი შესანიშნავი დადგმები ამ თეატრში.

უცნაურ ეპოქაში ვცხოვრობთ, ბატონო ალექსანდრე, უცნაურ ეპოქაში — ამ შეჩვენებულმა კომპიუტერმა შეიძლება ისეთი ფრაზა თუ გვარი ამოაგდოს, რომელიც სრულიად მოულოდნელ ყოვლად გაუთვალისწინებელ რეაქციას გამოიწვევს და ათასგვარ კუდსაც გამოაბამენ, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება თქვენს რუსულენოვან პოპულარულ გამოცემას...

იმედია, ყოველივე ამას მიიღებთ მხედველობაში და ამ მეგობრულ-კოლეგიურ, მაგრამ აუცილებელ რეპლიკას გამოიქვეყნებთ. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ახლახან ბატონ გ. ჟორდანიაზე გამოვიდა საინტერესო მონოგრაფია, რომელშიც ნახსენებიც არ არის ეს ინტერვიუ, მაშინ, როცა მონოგრაფიის ავტორი, ცნობილი თეატრმცოდნე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბატონი **ნოდარ გურაბანიძე** ერთობ უხვად იყენებს ყოველგვარ დოკუმენტურ მასალას, მათ შორის, ინტერვიუებსაც, რაც კი ამ ნიჭიერ რეჟისორზე ოდესმე გამოქვეყნებულა... ყოველივე ამან კი, შესაძლოა, ისიც გვაფიქრებინოს, რომ თქვენს რესპონდენტს სულაც არ წამოცდენია სხვა გვარი, რითაც, ერთი ქართული ფილმის გახმაურებული ფრაზისა არ იყოს, ნამდვილად „თავი მოგვეჭრება ევროპაში...“

**პატივისცემით,**

**პროფ. გიორგი (გოგი) დოლიძე,**
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთ. სამეცნიერო კონსულტანტი**

**P.S. სხვათა შორის, ბ-ნი ვ. ყუშიტაშვილი ჩემი მასწავლებელიც გახლდათ — თავის დროზე, როცა ახალგაზრდობაში მსახიობობა მინდოდა და მოვეწყვე კიდეც თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ზ. კვერენჩხილაძესთან, ბ. წიფურიასთან, გ. ბერიკაშვილთან, ჯ. ღაღანიძესთან ერთად (ბ-ნი გ. ჟორდანიაც ჩვენს კურსზე იყო, ოღონდ — სარეჟისოროზე), მთელი წელი მამზადებდა, ცხადია, სრულიად უანგაროდ. ბატონი ვასო ყუშიტაშვილი იმხანად ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა. ეს ჩემთვის ნამდვილად დიდი სკოლა იყო და ფრიად მეამაყება.**





## ყურადღება!

ამა წლის 1 მარტიდან წიგნის მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე მცენარეული პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი, გლომელურონეფრიტი. ქრონიკული ბუასილის ყველა ფორმა, ყურებში შუილი და ხმაური,ჰაიმორიტი, გაციებითი ასთმა, კოქსართროზი, ართროზი, ქრ. ჰოლეცისტიტი. ბ–ჰეპატიტი, პროსტატა, ადენომა, შარდის ბუშტის ანთება, საკვერცხის კისტა, კისტომა, ჰაიმორიტი, მოტეხილობის ყველა ფორმა, ქრონიკული ტუბერკულოზი და სხვა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## ს ი ა ხ ლ ე !

## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)
მის: აღმაშენებლის 154, «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!



**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

**http://www.geworld.ge**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894